# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან სამშაბათი, 26 მარტი 1996 № 23 (248) ფასი 40 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქინქლაძე იყიდება!?

## კრუიფი: 7 000 000
## ინტერი: 7 500 000



ეს ფოტო სამი წლის წინაა გადაღებული. მაშინ ქინქლაძე დილმის ბაზაზე „ბარსელონას" მაისურით ვარჯიშობდა. არაა გამორიცხული, მომავალი სეზონი გიომ სწორედ „ბარსელონაში" გაატაროს.

დავით მჭედლიშვილი

ლონდონიდან

„ვესტ ჰემთან" მარცხიანი თამაშის მერე გიო რომ ვნახე, ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ მისით თვით იოჰან კრუიფი დაინტერესდა. კვირას ყველაფერს ნათელი მოეფინა — გასულ კვირას ფრენსის ლისთან „ბარსელონას" ჰოლანდიელ მწვრთნელს დაურეკავს და პირდაპირ უთქვამს: ქინქლაძის ყიდვა მინდაო. ლის პასუხი მეტად ლაკონური ყოფილა: 7 მილიონ გირვანქას თუ გადაიხდით, პრობლემა არ იქნებაო. კრუიფს მოსაფიქრებლად დრო მოუთხოვია...

გიოს ჯერ კიდევ სამი წლის წინანდელი ინტერვიუ გამახსენდა: ჩემი ოცნება „ბარსელონაში" თამაშიაო — იძახდა. კვირა საღამოს რომ დავურეკე, სწორედ ეს სიტყვები გავახსენე.

— რა თქმა უნდა, მახსოვს. დილმის ბაზაზე მაშინ „ბარსას" ფორმითაც კი ვვარჯიშობდი. მართლაც, რა უნდა იყოს ჩემთვის იმაზე მეტი პატივი, „ბარსელონაში", თან კრუიფის ხელმძღვანელობით ვითამაშო, მაგრამ...

— რა მაგრამ?

— თვითონაც არ ვიცი, ამ სიტუაციაში რა სჯობია. „ბარსელონაში" რომ ისევე მოვხვედრილიყავი, როგორც „სიტიში", ულაპარაკოდ დავთანხმდებოდი — არავინ მიცნობდა და ბევრსაც არავინ მომთხოვდა. ამით იმის თქმა არ მსურს, რომ მეშინია — სრულებით არა, მაგრამ 7 მილიონად ნაყიდ ფეხბურთელს გულშემატკივარი, განსაკუთრებით სამხრეთელი, სასწაულებს მოსთხოვს. ვერ ითამაშებ თუნდაც ორ თამაშს ჩვეულ დონეზე და სტვენით აგიკლებენ. ხომ გახსოვს, „ბარსელონაში" მყარად ვერც მარადონამ მოიკიდა ფეხი...

— მართალი ხარ, აგერ კორნეევმა ცოტა ხანს ითამაშა „ბარსაში", ახლა კი მთლად უგუნდოდ დარჩა. ისე, ჩემთვის ნამდვილად სჯობს ინგლისში რომ დარჩე: „სარბიელის" მკითხველებს ინფორმაცია არ მოაკლდება, მაგრამ „ბარსელონაზე", კრუიფზე და 7 მილიონზე უარის თქმა?

— ჯერ ერთი, მაგ 7 მილიონიდან მე პენსიც არ შემხვდება, მეორე კი ისაა, რომ ჯერჯერობით საქმე მხოლოდ კრუიფისა და ლის სატელეფონო საუბრით შემოიფარგლა. ალალად გითხრა, ჯერ ნამდვილად დაბნეული ვარ. იმედია, როცა საქმე კონკრეტულად გაყიდვაზე მიდგება, უფრო გამოკვეთილი აზრი მექნება. შეიძლება ახლა ნათლად ვერ გადმოგეცი ჩემი განწყობა, მაგრამ მთავარია ის არ იფიქრო, რომ უმაღლეს დონეზე თამაშს ვერიდები.

... გიოს შესაძლო გაყიდვის ამბავი „ვესტ ჰემთან" მატჩის შემდეგ მოწყობილ პრეს-კონფერენციაზეც ითქვა, მაგრამ შევატყე, რომ ფრენსის ლის პოზიცია ალან ბოლისთვის მიუღებელია. „სიტის" მწვრთნელმა აშკარად გაბრაზებულმა უპასუხა ერთ-ერთ ჟურნალისტს — რამდენჯერ უნდა ვთქვა, ქინქლაძე არ იყიდებაო. ბოლი, რასაკვირველია, ვერ იყო ხასიათზე და ზედმეტად არ შემიწუხებია, მასპინძელთა მწვრთნელმა გარი რედნეპმა კი, ჩემს შეკითხვაზე — ქინქლაძის თამაშს როგორ შეაფასებდით-მეთქი — მიპასუხა: „მისი თამაშის ყურება მეტოქეთა მწვრთნელებისთვისაც კი სასიამოვნოა, საათობით შემიძლია ქინქის თამაშის კასეტებს ვუყურო. მართალია, დღეს ექვსი გოლი გავიდა, მაგრამ ბილუთის საფასური სწორედ ქართველის მოედანზე ყოფნამ აანაზღაურა."

გიომ იმ დღეს ჩვეულად ითამაშა. მესმოდა, როგორ ღრიალებდნენ მასპინძელთა ფანები ყოველთვის, როცა კი ბურთს ქინქლაძე მიიღებდა — მოცელეთ, თორემ მაგას რა გააჩერებსო. როულანდიც ადგა და მოცელა, თან საკუთარ საჯარიმოში. ეს 1:0-ზე მოხდა, მაგრამ კერლიმ პენალტი კვლავ გააფუჭა. „აწი პენალტს მე დავარტყამო" — მითხრა თამაშის მერე გიომ...

• • • • • • • • • • • • • • • • •

ლისა და კრუიფის საუბარი ევროპაშიც ერთობ გახმაურებულა: ჩვენს ლონდონელ კორესპონდენტთან საუბარი დასრულებული არ გვქონდა, რომ ტელეტაიპით რეიტერის ცინცხალი ცნობა მივიღეთ: „მანჩესტერ სიტის" მილანის „ინტერის" ხელმძღვანელობა დაკავშირებია და ქინქლაძეში 7,5 მილიონი გირვანქა (ანუ თერთმეტნახევარი მილიონი დოლარი!!!) შეუთავაზებია.

„ვესტ ჰემი" — „სიტისა" და ინგლისის ჩემპიონატის სხვა შეხვედრათა მიმოხილვა იხილეთ მეხუთე გვერდზე.

## ხვალ ლიმასოლში

საქართველოს ნაკრები, რომელიც კვირას გაფრინდა კვიპროსში, იქაურ ეროვნულ გუნდს შეხვდება. მატჩი თბილისის დროით საღამოს ცხრის ნახევარზე დაიწყება. ჩივაძემ ამ თამაშისთვის 16 ფეხბურთელი გამოიძახა: ზოიძე, გრიშიკაშვილი, ცხადაძე, შელია, კუდინოვი, მაჭავარიანი, კალაძე, გოგიჩაიშვილი, ნემსაძე, ღუდუშაური, ქინქლაძე, ჯამარაული, ქეცბაია, შოთა არველაძე, ყაველაშვილი და გოგრიჭიანი. გაზეთის დაბეჭდვის მომენტისთვის არ იყო ცნობილი, მიიღებს თუ არა ამ მატჩში მონაწილეობას ქინქლაძე. როგორც შევიტყვეთ, მას კვიპროსში ჩასვლა დიდად არ სდომებია გასაგები მიზეზების გამო (ჩემპიონატის დაძაბული კალენდარი; არ არსებობს პირდაპირი რეისი მანჩესტერი — ლიმასოლი; და რაც მთავარია, შაბათს „ბოლტონთან" შეხვედრაში „სიტის" პრემიერლიგაში დარჩენა-არდარჩენის საკითხი წყდება), თუმცა არ არის გამორიცხული, რომ გიომ კვიპროსში მაინც ითამაშოს.

# ელდარ კურტანიძე ევროპის ჩემპიონია!

მერაბ რატიშვილი

ბუდაპეშტიდან

ევროპის ჩემპიონატის დაწყების წინ საქართველოს ჭიდაობის ფედერაციას თხოვნით მიმართა ცნობილმა რუსმა მოჭიდავემ, ევროპის 1985 წლის ჩემპიონმა და მსოფლიოს პრიზიორმა ვასილი გოგოლევმა (48 კგ). იგი ამ ჩემპიონატზე თავისი ქვეყნის გუნდში ვერ მოხვდა და სთხოვა ჩვენებს უფლება მიეცათ ეჭიდავა საქართველოს სახელით. საქართველოს ამ წონაში მონაწილე არ ჰყოლია, ამიტომაც რუსეთის ჭიდაობის ფედერაციასთან შეთანხმებით გოგოლევს უფლება მიეცა ეასპარეზა ჩვენი სახელით, თანაც უკვე გარკვეული იყო, რომ ლიცენზია წინაში ეძლეოდა არა კონკრეტულ მოჭიდავეს, არამედ ქვეყანას.

მოჭიდავეებს არც ბოსმანი უნდათ და არც იუპანსონი, ქვეყნიდან ქვეყანაში გადასვლა-გადმოსვლა დიდი ხანია ატეხილი აქვთ. სწორედ ამის გამო, 48 კგ-ის პირველ წრეში „ქართველი" გოგოლევი „ბერძენ" ჭკუასელს შეხვდა, ახლა ბერძნულ ყაიდაზე ნიკოსი რომ ჰქვია. ეს შეხვედრა ჭკუასელმა 5:0 მოიგო. გოგოლევმა მეორე წრეში ევროპის შარშანდელი პრიზიორი უნგრელი ლასლო ოვარი სძლია (3:1), შემდეგ შვეიცარიელ როტლისბერგერს მოერია (9:0). მართალია, მეოთხე წრეში მოლდოველ რაილიანთან 1:9 დამარცხდა, მე-8 ადგილზე გავიდა და საქართველოს 48 კგ. წონაში ოლიმპიური ლიცენზია მოუტანა.

23 მარტს კი ასპარეზობაში 57, 62, 74, 90 და მძიმე წონის ფალავნები ჩაებნენ. საქართველოს 74 კგ-ის გარდა მონაწილე ყველგან ჰყავდა.

52 კგ. გოჩა კირკიტაძე სლოვაკ რომან კოლარის ეჭიდავა. ძირითადი დრო ფრედ დასრულდა — ჯერ მეტოქემ ჩაიყვანა გოჩა ჩოქბჯენში, ამან კი უკნიდან შემოუარა. დამატებითი დროის დამთავრებამდე 7 წამით ადრე გოჩამ ილეთის ჩატარება გადაწყვიტა, სლოვაკი მაგრად დაუდგა, მიაწვა და ხალიჩაზე დაწყებული ფანდი მის გარეთ დაასრულა, რაშიც სამი ქულა მიიღო.

მეორე წრეში კირკიტაძე გამუდმებით უტევდა გერმანელ სტანისლავ კაშმარეკს, ოღონდ ერთი სამქულიანი გდებით დაკმაყოფილდა და გაიმარჯვა. მისი შემდეგი მეტოქე თურქი აქმეთ ორელი გახლდათ. ანგარიში ერთხანს 2:2 იყო. მერე ორელმა უკუგდებით ქულა აიღო, ხოლო გოჩა ზემოდან მოქცევით ერთს დასჯერდა და შეჯიბრებასაც გამოეთიშა.

62 კგ. დავით პოლოსიანს ბედმა უმუხთლა, თორემ ჩემპიონატს ლიცენზიით მაინც აუცილებლად დაასრულებდა. პირველ წრეში მან ბრწყინვალედ იჭიდავა უნგრელ იშტვან ემეტერისთან, თუმცალა თავიდან 0:1 აგებდა. შემდეგ ოთხჯერ ჩოქბჯენში ჩაიყვანა მეტოქე: ორჯერ მიწოლით, ორჯერაც ფეხის აღებით. საბოლოოდ კი 7:2 მოიგო. მომდევნო შეხვედრაც დიდებულად დაიწყო პოლოსიანმა — პირველ წუთზე 4:0 უგებდა რუმინელ შერბან მუნეიევს. აქ კი ადრე ნატკენმა ნეკნმა დაუდო კვანტი. როგორც თავად მითხრა, სუნთქვის დროს ბოლო ორი ნეკნი ერთმანეთს შორდებოდა და აუტანელ ტკივილს აყენებდა. საქმეში ექიმებიც ჩაერივნენ, სახელდახელოდ უწამლეს, მაგრამ დათოს მოძრაობა კი არა, სუნთქვაც უჭირდა. რუმინელმა ღვთისაგან ბოძებული შანსი ხელიდან არ გაუშვა — 14:4. შვეიცარიელ მარტინ მიულერთან შებმის წინ დათომ გამაყუჩებელი ნემსიც კი გაიკეთა, მაგრამ... მე-40 წამზე მისი თხოვნით შეხვედრა შეწყდა. ადგილობრივი ექიმების დიაგნოზით, პოლოსიანს ნეკნი გატეხილი აქვს.

მძიმე წონა. ზაზა თურმანიძეს კარგი კენჭისყრა შეხვდა. ფინალის გზაზე მას არცერთი ფავორიტი არ ხვდებოდა. ეს იმ შემთხვევაში, თუკი ზაზა ფინალამდე ყველა შეხვედრას მოიგებდა. ზაზამ სომეხი არმენ კალოიანი მე-20 წამზე ჩააგდო ჩოქბჯენში, იქიდან არ ამოუშვია, ორი წუთის მანძილზე სული ამოხადა და წმინდად მოიგო. მერე გაბრიტანელებულ ინდოელ ამერჯიტ სინგჰს შეხვდა. სინგჰი არ ჭიდაობდა, ერთთავად გარბოდა და ამისთვის მსაჯებმა ექვსჯერ (!) გააფრთხილეს. დამატებითი დროც 0:0 დასრულდა, თუმცალა მსაჯებმა ზაზას უყოყმანოდ მიაკუთვნეს გამარჯვება.

24 მარტის დილას ჩვენებური გერმანელ ტილე შვებს ეჭიდავა. მეტოქეები დაცვაზე გადავიდნენ და ქულების აღებას არც თავად ჩალიჩობდნენ და არც მოწინააღმდეგეს აძლევდნენ ამის საშუალებას. ზაზა ერთხელ გააფრთხილეს, გერმანელი ოთხჯერ. აქ მოხდა გაუგებარი რამ: შვები ჩოქბჯენიდან წამოუდგა ზაზას და გვერდითი მსაჯებისაგან სავსებით არასწორად ქულა დაიმსახურა. ამან გადაწყვიტა მისი ბედი — შვები მთლად გაპასიურდა, ხოლო თურმანიძემ ჩოქბჯენში იგი ვერ დაატრიალა. ამის შემდეგ საქართველოს წარმომადგენლებმა პროტესტის შეტანა გადაწყვიტეს, მაგრამ მსაჯთა კოლეგიაში ნაცნობ-მეგობრებმა ურჩიეს, აზრი არა აქვს, ტყუილად შეწუხდებითო. ალბათ მართლები იყვნენ: ფილაში თუ პატრონი არა გყავს...

თურმანიძე მედლისთვის აგრძელებდა ბრძოლას, ოღონდ ლიცენზია განაღდებული არ ჰქონდა. გიორგი კაისინოვის მოგება ბრინჯაოს მედლისკენ უხსნიდა გზას, ხოლო მარცხი — ლიცენზიისკენ. ძირითადი დრო 4:4 დამთავრდა. დამატებითი დროის ბოლო წუთზე კაისინოვმა ხალიჩის გარეთ გაიყვანა ზაზა, რაც ერთი ქულის ტოლფასი იყო. თურმანიძემ შეჯიბრება მე-7 ადგილით დაამთავრა და ოლიმპიური ლიცენზიაც მიიღო.

90 კგ. ელდარ კურტანიძე ჯერ კიდევ შეჯიბრების დაწყებამდე სცემდა შიშს ზარს მომავალ მეტოქეებს. თავად ვარ მოწმე, როგორ დასდევდნენ სხვადასხვა ქვეყნის მოჭიდავეები და ეკითხებოდნენ: 90 კგ-ში ჭიდაობ თუ 100-შიო.

კურტანიძეს ერთი რიტუალი აქვს: შეხვედრის წინ ხალიჩაზე ჩაცმული ადის, მიდის კუთხემდე, იხდის ქურთუკს და აწოდებს მწვრთნელს. მერე საჭიდაო ფორმის სარტყელებს ისწორებს, ხელს მაღლა სწევს და მსაჯს ანიშნებს, მზად ვარო. ეტყობა, ელდარს ეს რიტუალი კარგად აქვს დაცდილი. ფინალამდე გამართულ შეხვედრებს მან ჯამში 8 წუთი მოანდომა და ყველა აშკარა უპირატესობით მოიგო. ირლანდიელი დერიკ დერმოტის და აზერბაიჯანელი ფირდოუსი უპმუდოვის ცქერა საცოდაობა იყო — კურტანიძე იატაკის ტილოებივით აქეთ-იქით ათრევდა და რაც სურდა, იმას უკეთებდა. უკრაინელი საგიდ მურთაზალიევი ცოტათი გაუძალიანდა, რაც იმაში გამოიხატა, რომ ქართველ ფალავანს სიმწრისაგან ცხვირ-პირში მუშტი გაუქანა. ელდარმა სამაგიერო იმით გადაუხადა, რომ სამ წუთში წმინდად მოუგო და ცხვირ-პირიც გვარიანად არტყმევინა ხალიჩაზე. ერთი სიტყვით, ელდარმა ისე გაიარა წინასწარი წრეები, რომ ქულა არ გაუცია და ფინალშიც ფავორიტად შევიდა. აქ მისი მეტოქე, ყველა წესისა და კანონის მიხედვით, განთქმული რუსი მახარბეკ ხადარცევი უნდა ყოფილიყო. იგი ელდარმა ერთი თვის წინ კრასნოიარსკში სძლია. მოულოდნელად ხადარცევი ნახევარფინალში 1:4 დამარცხდა გერმანელ ბალცთან და მასთან ანგარიშის გასწორება კურტანიძეს გადააბარა.

ჰაიკო ბალცი 26 წლისაა. ევროპის მეორე პრიზიორი ორჯერ იყო, მესამე პრიზიორი — ერთხელ; მსოფლიოს ჩემპიონატებზე ორჯერ აქვს მესამე ადგილი დაკავებული, ხოლო ბარსელონის ოლიმპიადაზე მეორე იყო. ბალცი ტანმაღალი მოჭიდავეა (188 სმ), რითაც ნებისმიერ მეტოქეს უხერხულობას უქმნის.

ფინალის წინ ელდარმა თავისი რიტუალი ნაწილობრივ შეასრულა (ქურთუკი ხალიჩის გარეთ გაიხადა) და ერთხანს გულმა რეჩხი მიყო, მაგრამ ზამბარასავით მომართული კურტანიძის შეხედვისთანავე ყველა ეჭვი გამეფანტა.

შეხვედრა დაიწყო თუ არა, ელდარი სწრაფად უკნიდან მოექცა მეტოქეს და ერთი ქულა აართვა. შემდეგ ჯერ თავისკენ დაქაჩა ბალცი, დააჩოქა, მერე ტრაქტორივით მიაწვა და ხალიჩის გარეთ გაათრია — ესეც მეორე ქულა. კურტანიძემ პოზიციურად გააგრძელა ბრძოლა, რის გამო გააფრთხილეს და ჩოქბჯენში გადაიყვანეს. ჩოქბჯენიდან წამოხტომა და ელვისებური მოგვერდი ერთი იყო. ელდარს სამი ქულა მისცეს, ხოლო გერმანელს, აქაოდა საბოლოოდ ზემოდან დარჩაო — ორი. შეხვედრა ჩოქბჯენში გაგრძელდა. ბალცმა კურტანიძეს ფეხი აკრძალული მიმართულებით გადაუბრუნა, მაგრამ მაინც ვერაფერს გამორჩა. სამაგიეროდ, ჩვენს ფალავანს ტრავმა მიაყენა და ექიმები თითქმის ერთ წუთს მკურნალობდნენ. ფეხმტკივანმა კურტანიძემ დაცვა ირჩია. ამისათვის იგი მეორედ გააფრთხილეს. ბალცმა ხან აქედან მოუარა ჩოქბჯენში, ხან იქიდან, მაგრამ ბულასავით ღონიერ ელდარს რას დააკლებდა! კურტანიძემ მშვიდად დაიცვა თავი და 5:2 მოიგო. იგი პირველად გახდა ევროპის ჩემპიონი, ხოლო 24 მარტს, ადგილობრივი დროით 18 საათსა და 07 წუთზე ბუდაპეშტის სპორტის სასახლეში პირველად აჟღერდა საქართველოს ჰიმნი!



სულ საქართველოს ნაკრებმა ოლიმპიადის ხუთი ლიცენზია მოიპოვა.

# დინამო კვლავ იგებს, დურუჯი კვლავ აგებს

## საქართველოს ჩემპიონატი

### XVIII ტურის მიმოხილვა

### დინამო 4:0 კოლხეთი

დინამო: ზოიძე, კალაძე, ლობჟანიძე, კობიაშვილი, მაჭავარიანი, გოგიჩაიშვილი, კიკნაძე, ყიზილაშვილი (ხომერიკი 71), კერძევაძე (ხორხელი 75), ანჩაბაძე (გადელია 71), იაშვილი

კოლხეთი: გოგუა, მიქაბერიძე, კაკაჩია, ხუჯაძე, თიბილაშვილი, ინიაშვილი, კიკლიაშვილი, ლალანიძე, გიორგაძე, ამბიძე, ქობულაძე (ბულუხია 61)

1:0 ყიზილაშვილი (14), 2:0 იაშვილი (60), 3:0 ანჩაბაძე (61), იაშვილი (89)

მსაჯი: ე. სილაგავა (თბილისი)

მატჩი, მაყურებლის მოლოდინის საწინააღმდეგოდ, მეტად უინტერესო გამოდგა, არადა, ერთმანეთს ჩემპიონატის ლიდერები ხვდებოდნენ. ფოთელთა მარცხის მიზეზი გასაგებია — გვიან დაწყებულმა მომზადებამ თავი იჩინა, სტუმრებმა მხოლოდ პირველ ტაიმში გაუწიეს წინააღმდეგობა დინამოელებს. მათ დაცვაში თამაში ამჯობინეს, რადგან ფიზიკურად „დინამოს" ვერ დაჯაბნიდნენ, ამიტომ ლოდინის ტაქტიკა აირჩიეს და კონტრშეტევების იმედადღა დარჩნენ. თუმცა, აქაც პრობლემა ჰქონდათ — გაბისონია ტრავმირებული იყო. ტრავმის გამო ვერ ითამაშა შვედეთიდან ახლახან დაბრუნებულმა მალხაზ არზიანმაც. ფოთელთა გუნდის მოუმზადებლობას ეს ფაქტორიც დაემატა და თბილისელებმაც მშვიდად, აუღელვებლად სძლიეს მეტოქეს. ფოთელებზე ის შეგვიძლია ვთქვათ, რომ მათგან გამოირჩეოდა კიკლიაშვილი, თუმცა მისი ბრწყინვალედ განხორციელებული დარტყმები შედეგიანი ვერ გამოდგა. კიკლიაშვილს არც მიქაბერიძე ჩამორჩებოდა: ერთ მომენტში თბილისელი ლობჟანიძე შეცდა, ბურთს მოედნის ცენტრში მიქაბერიძე დაეუფლა და უმალ კარისკენ გააგზავნა: ბურთი ხარიხას მოხვდა და თბილისელები ამგვარად გადარჩნენ.

დინამოელებმა კი თავიანთი შესაძლებლობები სრულიად გამოიყენეს. იაშვილმა ორჯერ, ყიზილაშვილმა და ანჩაბაძემ გოლის გატანის შანსები ხელიდან არ გაუშვეს და საბოლოოდ დამაჯერებლად გაიმარჯვეს. აღსანიშნავია ანჩაბაძისა და ყიზილაშვილის კარგი თამაში, რომლებიც თანდათან იბრუნებენ ჩვეულ ფორმას.

### შევარდენი 0:1 მარგვეთი

შევარდენი: აბუსერიძე, ქველაძე, მელქაძე, კვიტატიანი, ხეტეშვილი, ქოიავა (მოსულიშვილი 80), კანკავა, ჯიქია, გოდერძიშვილი, დათვაძე, მინდიაშვილი (წიტაეშვილი 46)

მარგვეთი: გვენცაძე, ლანჩავა, გურიელიძე, გაბრიჭიძე, მაღლაკელიძე (უვანია 79), წიკლაური (უკლება 27), გენაძე, კაკუბავა, ჩხეტია (ფოცხვერაშვილი 46), ქებაძე, ენდელაძე

0:1 ენდელაძე (57)

გაფრთხილება: გენაძე

მსაჯი: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

მარგვეთს პაერივით სჭირდებოდა სამი ქულა მესამე ადგილზე დასამკვიდრებლად, თუმცა მარცხისთვის არც „შევარდენი" იყო განწყობილი. ამიტომ თამაში საინტერესოდ წარიმართა. სტუმრებმა თავიდანვე შეუტიეს, მაგრამ პირველი სახიფათო მომენტი სწორედ მათ კართან შეიქმნა. ხეტეშვილის ჩაწოდებული გოდერძიშვილმა მკერდით მიიღო და მეკარესთან პირისპირ დარჩა, თითქოს გოლი გარდაუვალი იყო, მაგრამ „მარგვეთის" გოლკიპერმა გვენცაძემ მას შანსი არ დაუტოვა. შევარდნელთა მხრიდან ეს იყო და ეს, მათ მეკარე მეტად აღარ შეუწუხებიათ, სტუმრებს კი სულ ცოტა სამი ნაღდი საგოლე მომენტი გაუცუდდათ. ზესტაფონელთა შორის დებიუტანტი ქებაძე გამოირჩეოდა. მან თუ კვლავაც ასე გააგრძელა, მალე ერთი მაღალი კლასის ფორვარდიც შეგვემატება. აღსანიშნავია, რომ იმერელი ფეხბურთელების ნებისმიერი კუთხური და ჯარიმა მეტად სახიფათოა. ერთადერთი გოლი 57-ე წუთზე „მარგვეთის" გოლიადორმა ზვიად ენდელაძემ შეაგდო, თავის გუნდს სამი ქულა ჩააწერინა, თვითონ კი 24 გატანილი გოლით სათავეში ჩაუდგა ბომბარდირთა სიას. მარგვეთელებს კიდევ შეეძლოთ ანგარიშის გაზრდა, მაგრამ აბუსერიძე საიმედოდ იცავდა კარს. უნდა აღვნიშნოთ ოთარ გუნთაძის კარგი მსაჯობა. მან მთელი თამაში უშეცდომოდ ჩაატარა.

### კახეთი 0:2 მეტალურგი

კახეთი: ხაჩირაშვილი, შონია, ათუაშვილი, წიკლაური, ნაკუდაიძე, შალამბერიძე, ლობჟანიძე, ჯაშიაშვილი, სოლოღაშვილი, ბაბულაიძე, კახოიძე (ლვინიაშვილი 60).

მეტალურგი: გ. დოლიძე, ფოფხაძე, სილაგაძე, არჩვაძე (პერტია 75), თევზაძე, რეხვიაშვილი, ზირაქიშვილი (კედელაშვილი 88), ჩალაძე, ტარტარაშვილი, მეტრეველი (პატარიძე 46), ალადაშვილი.

0:1 ალადაშვილი (68) 0:2 ზირაქიშვილი (80)

გაფრთხილება: რეხვიაშვილი, ნაკუდაიძე

მსაჯი: თ. ლაცაბიძე (სურამი)

პირველ ტაიმში „კახეთმა" ძლიერ მოწინააღმდეგეს ჯეროვანი წინააღმდეგობა გაუწია. გუნდებმა მხოლოდ ის გააკეთეს, რომ ერთმანეთი „დატორეს". მეორე ნახევარში კი მასპინძლებმა ვეღარ გაუძლეს „მეტალურგის" დაწოლას და დანებდნენ. მათ დაცვაში ბზარები გაჩნდა. გამოცდილი სტუმრები შეტევას შეტევაზე ახორციელებდნენ და გუნდის კაპიტანმა კახა ალადაშვილმა ანგარიშიც გახსნა. თვალში საცემი იყო სტუმართა უკეთესი ფიზიკური მომზადება, ამიტომ ზირაქიშვილის მიერ „კახეთის" კარის მეორედ დალაშქვრა სავსებით ლოგიკური გახლდათ. „მეტალურგმა" ზედიზედ მესამედ გაიმარჯვა და იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ გათამაშების კალენდარი რუსთაველთათვის საკმაოდ ხელსაყრელია, მაშინ მათი დიდი პრეტენზიები სულაც არ უნდა იყოს გასაკვირი. ერთადერთი დანკლისი ძოძუაშვილის გუნდისთვის მხოლოდ ის იქნება რომ გუნდის ერთ-ერთი ლიდერი ალექსანდრე რეხვიაშვილი ორი გაფრთხილების გამო მომდევნო თამაშს გამოტოვებს.

### სიონი 0:1 ბათუმი

საპრიზო ადგილის მაძიებელი „ბათუმი" მეორე წრის სტარტზე სტუმრად თამაშისას მაინცდამაინც ვერ იჩენს თავს. აჭარელმა ფეხბურთელებმა ლანჩხუთში წააგეს, ხოლო ბოლნისში მხოლოდ მატჩის მიწურულს შეძლეს სასურველი გოლის გატანა და სამი ქულის მოპოვება. ორივე ტაიმი დაძაბულ ბრძოლაში წარიმართა. მართალია, სტუმრები გამუდმებით უტევდნენ, მაგრამ მასპინძელთა მეკარე და დაცვა უშეცდომოდ თამაშობდნენ. 83-ე წუთზე სიონელებმა მათი კარისაკენ სახიფათოდ გაჭრილი ბათუმელთა თავდამსხმელი საჯარიმოში მოცელეს. მსაჯმაც უყოყმანოდ დანიშნა თერთმეტმეტრიანი. ამ გადაწყვეტილებამ ზოგიერთი გულშემატკივარი ძლიერ აღაშფოთა, მაგრამ, საბედნიეროდ, წესრიგის დამცველებმა იმარჯვეს, ასე რომ, რაიმე ექსცესს ადგილი არ ჰქონია. პენალტი უნაკლოდ შეასრულა მუჯირმა. ამ დამარცხებამ „სიონი" რთულ სიტუაციაში ჩააგდო, „გურია" მოგების შემდეგ ქულებით გაუთანაბრდა მას. სახარბიელო თამაშებიც არ ელის გუნდს. მოკლედ, ბოლნისელებს ძალების სრული მობილიზება დასჭირდებათ, თორემ, ცუდ დღეში აღმოჩნდებიან.

### ივერია 2:1 დილა

ამ ორი გუნდის შეხვედრა ყოველთვის დაძაბულობით გამოირჩევა ხოლმე. გამონაკლისი არც ეს თამაში გახლდათ. „ივერია" ჯერჯერობით ცუდად არ თამაშობს, ხაშურელმა ფეხბურთელებმა ახლაც მეტად საჭირო სამი ქულა ჩაიწერეს აქტივში. „დილას" კი არავითარი საფრთხე არ ემუქრება, გუნდი მყარად დგას მერვე პოზიციაზე და გულარხეინადაა. მატჩის პირველი ნახევარი მშვიდობიანად დასრულდა. მეორეში კი მასპინძლები უფრო გააქტიურდნენ, რასაც შედეგიც მოჰყვა: ჯერ კაციაშვილმა გაიტანა ლამაზი გოლი, ხოლო შემდეგ ლურსმანაშვილმა თერთმეტმეტრიანით მეორედ აიღო მეტოქის კარი. მეორე ნახევარში ანგარიშის გასათანაბრებლად გორელებს ცდა არ დაუკლიათ, მაგრამ მხოლოდ ის შეძლეს, რომ სხვაობა შეამცირეს — მარლიშვილმა საპასუხო თერთმეტმეტრიანი გაიტანა.

### ეგრისი 1:2 სამტრედია

ეგრისმა ამჯერადაც წააგო. ჩანს, გუნდში ყველაფერი რიგზე როდია, მაგრამ ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ სენაკელები სამივეჯერ გათამაშების ლიდერებთან — „დინამოსთან", „მარგვეთთან" და „სამტრედიასთან" დამარცხდნენ. „ეგრისს" აწი შედარებით სუსტ გუნდებთან უწევს შეხვედრები და, ბუნებრივია, მდგომარეობის გაუმჯობესებასაც შეეცდება. რაც შეეხება „სამტრედიას", იგი, დასუსტების მიუხედავად, მაინც სერიოზულ ძალას წარმოადგენს და ლიდერს კვალში მიჰყვება. ასე რომ, წინ საინტერესო საჩემპიონო ორთაბრძოლები გველის.

### გურია 2:0 ტორპედო

„გურიას" მონდომება და თავდადება ნამდვილად მისაბაძია. მეორე წრის წინ მათ რიგებში რაღაც ფაციფუცი შეინიშნებოდა, რამაც ყველას წყალწაღებულისა და ხავსის ამბავი გაახსენა, მაგრამ ლანჩხუთელებმა გვიჩვენეს, რომ მთლად ჯაბანნი არ არიან — „ბათუმს" მათ „ტორპედოც" მიაყოლეს, ამჯერად უფრო დამაჯერებელი ანგარიშით 2:0 მოიგეს. ამ გამარჯვებით „გურია" „სიონს" დაეწია და ამჟამად ბოლნისელები მათ [illegible] უკეთესი [illegible] ეხება „ტორპედოს", გუნდი ჩემპიონატის სტარტზე [illegible] თამაშს [illegible] ისე[illegible] მუკა ხუნდაძის არყოფნა. მართალია, აშვეთია ისევ ფორმაშია და ყისმათიც არანაკლებ უჭრის, მაგრამ როგორც ჩანს, წარმატებისთვის მარტო მიხეილის მონდომება საკმარისი არ არის.

### დურუჯი 0:1 ზუგდიდი

„ზუგდიდმა" „დურუჯს" ერთადერთი გოლის წყალობით მოუგო და საგრძნობლადაც გაიუმჯობესა სატურნირო მდგომარეობა.

მე-18-ე ტურში კვლავ სტუმრებმა იმარჯვეს: მათ 5 მატჩი მოიგეს, სამ შეხვედრაში კი გამარჯვებას მასპინძლებმა მიაღწიეს. 17 გატანილი გოლიდან 9 მასპინძლების ანგარიშზეა. წინა ტურთან შედარებით გოლების რაოდენობამ საგრძნობლად იკლო. ყველა თამაშში მინიმალური ანგარიში დაფიქსირდა, ერთის გარდა, რომელიც 4:0 დასრულდა.

მამუკა კვანტალიანი
მერაბ მამულაშვილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 18 | 13 | 4 | 1 | 54-9 | 43 |
| სამტრედია | 18 | 13 | 4 | 1 | 59-21 | 43 |
| მარგვეთი | 18 | 13 | 1 | 4 | 51-17 | 40 |
| მეტალურგი | 18 | 13 | 0 | 5 | 39-20 | 39 |
| კოლხეთი | 18 | 12 | 2 | 4 | 42-27 | 38 |
| ბათუმი | 18 | 11 | 4 | 3 | 44-15 | 37 |
| ტორპედო | 18 | 10 | 4 | 4 | 41-25 | 34 |
| დილა | 18 | 8 | 4 | 6 | 30-28 | 28 |
| შევარდენი | 18 | 6 | 2 | 10 | 25-33 | 20 |
| ზუგდიდი | 18 | 6 | 1 | 11 | 28-44 | 19 |
| კახეთი | 18 | 5 | 3 | 10 | 17-37 | 18 |
| ივერია | 18 | 5 | 2 | 11 | 18-34 | 17 |
| ეგრისი | 18 | 4 | 2 | 12 | 29-44 | 14 |
| სიონი | 18 | 4 | 0 | 14 | 15-36 | 12 |
| გურია | 18 | 4 | 0 | 14 | 15-47 | 12 |
| დურუჯი | 18 | 0 | 1 | 17 | 5-75 | 1 |

ბომბარდირები

ზვიად ენდელაძე (მარგვეთი) — 24
ზურაბ იონანიძე (სამტრედია) — 23
მიხეილ აშვეთია (ტორპედო) — 19

# მარტოკაცი ჯერჯერობით რჩება...

მარტოკაცი ჭამაშიაც ბრალიაო, — უთქვამთ. ამ მარტოკაცებმა — გურჯაანელმა მიშა ფურცელაძემ, მარგველმა თამაზ შარაშენიძემ, ფოთელმა დავით კუპრეიშვილმა თამამ იდეას მოჰკიდეს ხელი, მაგრამ რაღაც ვერ გათვალეს, რაღაცაში გამოუცდელობის გამო შეფერხდნენ, რაიონიდან თუ ქალაქიდანაც არავინ ამოუდგათ მხარში, ამიტომ იდეა — თბილისის „დინამოს" ბეჭზე გაკვრა იდეადვე დარჩათ — ახლა ფეხბურთში არცერთი აღარ მოღვაწეობს, „დინამო" კი „დინამოდ" რჩება. მარტოკაცებს კვლავაც გამოუჩნდათ მიმდევარი სამტრედიელი ტარიელ ჩხუასა და შევარდნელი ზურა ქიტიაშვილის სახით. ყველანი ქების ღირსნი არიან, აუტკივარი თავი რომ აიტკიეს, სახლში წასაღები ფული გუნდს დაახარჯეს, მაგრამ „დინამოს" ავტორიტეტს ძვრაც ვერ უყვეს.

ძლიერი გუნდის დაყენების იდეას ზესტაფონელი ვასილ ხაჭაპურიძეც შეუპყრია, მაგრამ ეტყობა, ესეც მარტოკაცად დარჩება, რაკილა ამის წინათ განაცხადა, მალე ალბათ გუნდს დავტოვებ და ზესტაფონში საფეხბურთო ლიცეუმს გავხსნიო.

**— ბატონო ვასო, მართლა აპირებთ „მარგვეთის" დატოვებას, თუ ეს ჭორია?**

— ჯერჯერობით ეს ხმები სიმართლეს არ შეეფერება. შუა სეზონში გუნდს ვერ მივატოვებ, ეს არაკაცური საქციელია და ჩემი მხრიდან ბიჭებისადმი ღალატის ტოლფასი იქნება. ამიტომ სეზონის ბოლომდე უეჭველად დავრჩები გუნდში...

**— მერე რას აპირებთ?**

— მერე კი, მოგეხსენებათ მარტოკაცის ამბავი. თუ არავინ დაგვეხმარა, ძალიან გაგვიჭირდება, დახმარება კი ჯერჯერობით არსაიდან ჩანს. ამიტომ ცოტათი განაწყენებულიც კი ვარ იმ ზესტაფონელებზე, ვისაც შეუძლია დახმარება და არ აკეთებს.

**— ქალაქის ხელმძღვანელთაგან არავინ იწუხებს თავს?**

— ქალაქს თავად უჭირს, პირველ წრეში 3 000 ლარით დაგვეხმარნენ, ალბათ, მეტი არ შეუძლიათ, ფეროშენადნობთა ქარხანაც არ მუშაობს.

**— ახლა გუნდის დაშლა შეიძლება? „მარგვეთი" ხომ ევროთასების რეალური კანდიდატია?**

— მეც მაგას არ ვნაღლობ? ახლა ყველაზე მეტად გვჭირდება მხარდაჭერა. არადა, ზესტაფონში ისეთი გუნდის დაყენება შეიძლება, დიდ მიზნებს რომ შეჭიდებოდა. სეზონის ბოლომდე მოვიცდი, ბიჭებს არაფერს მოვაკლებ. მათ ისედაც კარგა ხანი ითამაშეს შიშველ ენთუზიაზმზე და ახლა მათთვის მიცემულ სიტყვას ვეღარ გავტეხავ. მერე კი, ვერ გეტყვით, რა იქნება...

... საქართველოში ფეხბურთს ქვეყნის გაჭირვების კვალობაზე მართლაც რომ არ ულხინს — მეორე წრის წინ ბევრ გუნდს ემუქრებოდა დაშლა, მაგრამ ქალაქის თავები პრესაში მრავალი კრიტიკული წერილის გამოქვეყნების შემდეგ შეფუცხუნდნენ და გუნდებიც დაშლას გადარჩნენ. იქნებ, ზესტაფონშიც იგივე მოხდეს და მარგველებმა ერთხელ რომ იგემონ ევროთასების გემო, მერე იქნებ, აღარ დაივიწყონ...

მამუკა კვარაცხელია

## გრიშიკაშვილი გუნდში რჩება

სოსო გრიშიკაშვილმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა: თუ გაზაევი არ მათამაშებს, გუნდის შეცვლა მომიწევსო. მას შემდეგ დიდი დრო არ გასულა, მაგრამ ვითარება უკვე შეიცვალა. მოსალოდნელია, რომ ვლადიკავკაზელებმა თავიანთი ძირითადი მეკარე ზაურ ხაპოვი გაყიდონ და ამიტომ, ბუნებრივია, სათადარიგო მეკარეებს ვეღარ შეელევიან. „მას შემდეგ, რაც ხაპოვის ესპანეთში წასვლაზე დაიწყო ლაპარაკი, გაზაევი ჩემს მიმართ შეიცვალა — ძალიან თბილი და კეთილმოსურნე გახდა და მარწმუნებს, რომ ჩემთვის „ალანიაში" დარჩენა სჯობს. მოკლედ, ახლა სიტუაცია ისეთია, ალბათ, ადრინდელ გადაწყვეტილებას გუნდის დატოვების თაობაზე შევცვლი და კვლავ „ალანიაში" დავრჩები: ხაპოვის წასვლით ხომ მინდორზე სისტემატური გამოსვლის შესაძლებლობა მომეცემა, რასაც აქამდე მოკლებული ვიყავი".

## მუჯირი ტრავმირებულია

თბილისის „დინამოსა" და ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველი დავით მუჯირი ერთ-ერთი ვარჯიშის დროს დაშავდა.

„14 მარტს, მეორე წრის პირველი მატჩი სენაკში ორი ყვითელი ბარათის გამო გამოვტოვე. მეორე დღეს, 15 მარტს, ვარჯიშისას ფეხი გადამიბრუნდა და მყესები გამიწყდა, — გვითხრა დათომ. თავდაპირველად ექიმებმა დაშავებული ფეხი რომ ნახეს, მითხრეს, შეიძლება 5-6 თვე ვეღარ ითამაშოო. თუმცა შემდგომი გამოკვლევისას აღმოჩნდა, რომ ტრავმა სერიოზული არ ყოფილა. 29 მარტს თაბაშირს მომხსნიან და მეტყვიან, როდის შევძლებ ვარჯიშის დაწყებას. ეს, შეიძლება, მალევე შევძლო, თამაშს კი, თვეზე ადრე, ალბათ, ვერ შევუდგები".

## პორტუგალიაში თამაში სურს

ამ ცოტა ხნის წინ გაუწყეთ იმის შესახებ, რომ „კოლხეთის" ნახევარმცველს, თამაზ კიკლიაშვილს განზრახული ჰქონდა პორტუგალიაში თამაში. პორტუგალიაში იგი ვერ გამეგზავრა. თუ რატომ, თავად გვიამბობს: „ჩემით II დივიზიონის პროფესიონალური გუნდი „ოლანესე" იყო დაინტერესებული. პორტუგალიელებმა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ფაქსიც გამოუგზავნეს და „კოლხეთიდან" ჩემი განთავისუფლების ცნობა მოითხოვეს, აქ კი სატრანსფერო ფურცელი უნდა წარმედგინა, რაც არ შემეძლო — კონტრაქტი პორტუგალიელებთან ჯერ არ მქონდა გაფორმებული. ამან დამაბრკოლა. ჯერჯერობით არ ვიცი, ვითამაშებ თუ არა ახალი სეზონიდან პორტუგალიაში, უნდა დავუკავშირდე „ოლანესეს" და თუ ჩემი ჩასვლის სურვილი [illegible]მოთქვეს, ბუნებრივია, კარიერას იქ გა[illegible]ვრძელებ".

# კახა კალაძე: ფოთიდან კვიპროსამდე



1994 წლის 18 ივნისს ფოთში „კოლხეთთან" მატჩში „დინამოს" რიგებში 16 წლის დებიუტანტი კახა კალაძე გამოჩნდა, თუმცა დებიუტი უიღბლოდ დამთავრდა — 1:5. წლევანდელი, „კოლხეთთან" შეხვედრის თარიღი — 22 მარტი კი კახასთვის მუდამ კარგადმოსაგონარი იქნება, „დინამომაც" 4:0 მოიგო და თანაც ალექსანდრე ჩივაძემ ეროვნულ ნაკრებში მიიწვია. კალაძე ახლახანს, თებერვალში გახდა 18 წლის და თუკი კვიპროსთან ითამაშა, ნაკრების ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი გახდება.

— დილით, ბაზაზე მისვლისთანავე ბორის სიჭინავამ მითხრა — ჩივაძემ ნაკრებში მიგიწვიაო. ძნელად დავიჯერე ჩემი ასაკის ფეხბურთელის ეროვნულ ნაკრებში ჩარიცხვა. „კოლხეთთან" შეხვედრის შემდეგ ყიფიანმა გვარები დაასახელა და გვითხრა, ნაკრებში ხართ გამოძახებულები და ფედერაციაში 23 მარტს უნდა მიხვიდეთო. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ახლა სულ სხვაგვარი სტიმული გამიჩნდა. ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ ჩივაძის ნდობა გავამართლო.

**— „დინამოში" როცა ჩაირიცხე, მაშინაც ყველაზე ახალგაზრდა იყავი. არ გიჭირდა უფრო გამოცდილ ფეხბურთელებთან თამაში?**

— ძალიან, ერთგვარ შიშსაც კი განვიცდიდი. ალბათ, გამოუცდელობის ბრალი იყო. ახლა უკვე შევეჩვიე. ეგაა, რომ თანამეგობრობის თასზე ჩემი თამაშით ძალზე უკმაყოფილო ვარ. თუმცა მიზეზი გამაჩნდა — სიცხე მქონდა, უვარჯიშებელიც ვიყავი და ბევრი ვერაფერი მოვახერხე. საერთოდ, „გრანდების" კომპლექსი არ მაწუხებს. როგორი მეტოქეც არ უნდა გვყავდეს, მთელი გულითა და სულით უნდა ვიბრძოლო — ძლიერ გუნდთან უფრო მეტი ჟინითაც კი ვთამაშობ.

**— წარმოშობით სამტრედიელი ხარ, მამაშენი გუნდის პრეზიდენტიც იყო. დავიჯერო, „სამტრედიაში" გადასვლას არ გთავაზობდნენ?**

— სხვათა შორის, თავის დროზე მე „სამტრედიაშიც" მითამაშია. მაშინ სულ 14 წლის ვიყავი და მოედანზე მხოლოდ ვინმეს შესაცვლელად თუ გამომიყვანდნენ ხოლმე. 15 წლისა კი გივი ნოდიამ „დინამოში" მიმიწვია, თანაც, მაშინ „სამტრედიაში" რაღაც გაუგებრობა მოხდა და დირექტორატის ყველა წევრმა, მათ შორის მამაჩემმაც გუნდი დატოვა.

**— შემჩნეული მაქვს, რომ შეტევებში ჩართვას ერიდები...**

— მიზეზი ის არის, რომ მთავარი მწვრთნელის დავალებას ვასრულებ.

**— დავიჯერო, სურვილიც არ გიჩნდება?**

— ფეხბურთელი არ მეგულება, გოლის გატანა რომ არ სურდეს, მაგრამ მე ჯერ ჩემი საქმე მაქვს გასაკეთებელი, შემდეგ, შეიძლება, თავდასხმაში ჩართვაზეც ვიფიქრო.

**— თავს ყველაზე ლაღად რომელ პოზიციაში გრძნობ?**

— ცენტრალური მცველის ადგილას. კაცის „აყვანაც" ჩემთვის სიძნელეს არ წარმოადგენს.

**— რა მიგაჩნია შენს ნაკლად?**

— ნაკლი ბევრი მაქვს, მათ გამოსასწორებლად ბევრი შრომაც დამჭირდება. ჯერ ერთი, მარჯვენა ფეხით კარგად ვერ ვთამაშობ, თავით თამაშიც მიჭირს. მოკლედ, სრულყოფისგან ჯერ კიდევ შორს ვარ.

მერაბ მამულაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მივიწყებული ჰომბურგელები



გიორგი ნემსაძე და არჩილ არველაძე

...იანვრის შემდეგ „ჰომბურგის“ სატურნირო მდგომარეობა ოდნავ გაუარესებულა, ბოლო ტურში კონკურენტთან სტუმრად წაგების შემდეგ — 1:2. არადა, მოგების შემთხვევაში გუნდი ლიდერთა ოთხეულში გადაინაცვლებდა და მისი შანსებიც მეორე ბუნდესლიგაში გადასვლისა გაიზრდებოდა. თუმცა, ამ წაგების გამო ისე არ უნდა ვიფიქროთ, რომ „ჰომბურგელი“ ქართველები თავს ირცხვენენ:

„ნიკა ჩხეიძე საიმედოდ იცავს კარებს, როცა კი მწვრთნელი შემადგენლობაში აყენებს, — ამბობს გია ნემსაძე — საქმე ისაა, რომ ნიკას გარდა გუნდში ერთი იქაური მეკარეცა ჰყავთ — არცთუ მთლად ხელწამოსაკრავი და თანაც ასაკოვანი. ის და ნიკუშა მორიგეობით თამაშობენ. რაც შეეხება რეზო არველაძეს, იგი საუცხოო ფორმაშია. მე ასეთი რეზო არც მახსოვს — ისე თამაშობს, როგორც არასდროს, გოლებიც გააქვს. საერთოდ, არ გეგონოთ, რომ რადგან რეგიონალური ლიგაა, ამიტომ დაბალი დონისა უნდა იყოს. 10:0-ს რომ გვიგებდეს მეტოქე, მწვრთნელი მაინც არ გვაპატიებს პასიურობას. ყველა თამაში ნამდვილი ომია, თუმცა იქაურ მკაცრ, მებრძოლ სტილთან შეგუება სულაც არ გამჭირვებია. ახლა ვერც კი წარმომიდგენია, როგორ უნდა გავისარჯო დინჯად მოედანზე.

— და მიუხედავად ყველაფრისა, ცსკა-ში გადასვლა გადაგიწყვეტია...

— გერმანელებს ჩვენი გაშვება არ სურთ, ამიტომ სამივეს ისეთ პირობებს გვთავაზობენ, მეორე ბუნდესლიგისთვისაც რომ იშვიათობაა. მაგრამ, რეგიონალურ ლიგაში თამაში უკვე აღარ მაკმაყოფილებს. ცსკა-ში ჩემი გადასვლა თითქმის გადაწყვეტილია, მაგრამ ჯერჯერობით თავს ვიკავებ, და დანამდვილებით ვერ ვიტყვი, ვითამაშებ თუ არა მოსკოვში. ისე კი, გუნდთან თითქმის ყველაფერზე შეთანხმებული ვარ.

— რატომ იკავებ თავს?

— უკეთესის მოლოდინში ვარ — იქნებ უფრო კარგი პირობები შემომთავაზონ. მაისამდე ან ივნისის ბოლომდე ვადა მაქვს — დავიცდი.

— უკეთესს გერმანიიდან ხომ არ მოელი?

— გამოგიტყდებით, გერმანიიდან, რადგან ჩემით სერიოზულად არიან დაინტერესებულნი, თუმცა კონკრეტული წინადადებით ჯერ არ მოუმართავთ.

— მესამე ლიგიდან თავის დაღწევის დიდი სურვილი გაქვს. ეს წელანაც აღნიშნე...

— ახლა მესამე ლიგა ჩემთვის მხოლოდ განვლილი საფეხურიღაა, მაგრამ თავდაპირველად ასე არ იყო. მას შემდეგ, რაც სიყვითლე გადავიტანე, არჩევანი მქონდა — „დინამო“ ან „ჰომბურგი“. მე გერმანია ვამჯობინე, და ჩემი გადაწყვეტილებით ძალზე კმაყოფილი ვარ. იქ წასვლამ ხომ ბევრი რამ შემძინა — ბრძოლისუნარიანობა, გამძლეობა და სხვა ისეთი თვისებები, რომელთა გარეშეც წარმოუდგენელია ფეხბურთის თამაში. თუმცა, ადამიანი ყოველთვის უკეთესისკენ მიილტვის და მეც, ბუნებრივია, უკეთეს ლიგაში თამაშზე ვფიქრობ.

— არჩილ არველაძის ექიმი თურმე შენს მეზობლად ცხოვრობს. ამჟამად როგორ არის აჩიკო?

— ბოლოს რომ ვნახე, უკვე დადიოდა, ყავარჯნების დახმარებით, რა თქმა უნდა. ისე, ფუი ეშმაკს და ფეხი ისე კარგად აქვს, დადგენილზე ადრე უნდა დაიწყოს ვარჯიშიც და თამაშიც.

გიორგი ხუციშვილი

არცთუ დიდი ხნის წინ იყო, „კოლხეთის“ მთავარ მწვრთნელს, სოსო ფილიას რომ ვესაუბრე. ამ მოკლე დროის მანძილზე გუნდში ვითარება მრავალჯერ შეიცვალა, მწვრთნელის დარჩენა-წამოსვლის საკითხიც კი იდგა. ათასი ჭორ-მართალი ისმოდა „კოლხეთის“ კულისებიდან. საბოლოოდ, როგორც იქნა, გაირკვა, რომ გუნდს კვლავ ფილია უხელმძღვანელებს. მოკლედ, ფოთელებმა ამ მცირე კრიზისს თავი დააღწიეს და სერიოზული მიზნებიც დაისახეს, თუმცა...

# პორტი, მერია და ფილია



— მე ადრევე გითხარით, რომ მდგომარეობა რთული და გაურკვეველი იყო. განახლებულ სეზონში პირველი შეხვედრა შინ გვქონდა — თასის მეოთხედფინალში „მარგვეთს“ ვმასპინძლობდით. იმ დღეს, 4 მარტს, გუნდი მე არ გამომიყვანია. 5 მარტს ქალაქის მერი ნუგზარ ნადარაია გუნდის ხელმძღვანელობასა და გულშემატკივრებს შეგვხვდა, საღამოს 7 საათზე კი უკვე მე გამომიძახა. ჩვენი საუბარი დაახლოებით ერთი საათი გაგრძელდა. სიმართლე რომ გითხრათ, მერს იმ განწყობით შევხვდი, რომ გუნდიდან უნდა წამოვსულიყავი. მისი კაბინეტიდან კი შეცვლილი გადაწყვეტილებით გამოვედი. ძალზე გულლიად, მეგობრულად და თბილად ვისაუბრეთ, შეგნებულად მივუდექით ერთმანეთის პოზიციებს. ბატონმა ნუგზარმა გულთან ახლოს მიიტანა ჩვენი გასაჭირი. მისმა საუბარმა დამარწმუნა, რომ ჩემი წასვლა „კოლხეთიდან“ გაუმართლებელი იქნებოდა.

— ასეთი რა გითხრათ?

— ისეთი არგუმენტი მოიყვანა, რასაც ვერაფერი დავუპირისპირე — ჩვენ უფლება არა გვაქვს ქართული ფეხბურთის სამშობლოში ფეხბურთი ჩავკლათ, ეს ჩვენგან ღალატის ტოლფასი იქნებაო. მერი შეგვპირდა, რომ ფოთის პორტთან ერთად შეგვიქმნის საჭირო პირობებს გუნდის გასაძლიერებლად. გარდა ამისა, მთხოვა, პირადად მისთვის გამეცნო, თუ რა თანხებია საჭირო „კოლხეთის“ ფეხზე დასაყენებლად. ფინანსური საკითხი მეორე დღესვე, ქალაქის მერისა და პორტის ხელმძღვანელობასთან ერთად განვიხილეთ, რის შემდეგ შევთანხმდით გადმოსაცემი თანხის რაოდენობაზე. დაისახა გარკვეული გეგმა და მერის მოადგილეებს გურამ ჯურხაძეს და თემურ ხუხუნაიას მისცა მითითება, უფლებამოსილების ფარგლებში დაგვხმარებოდა.

**— ამ ხარჯთაღრიცხვის მიხედვით როგორი გუნდის შექმნაა შესაძლებელი — საპრიზო ადგილისთვის თუ ჩემპიონობისთვის მებრძოლის?**

— დასაწყისისათვის წლევანდელ ჩემპიონატში დაგეგმილი გვაქვს სამეულში მოხვედრა, რათა მომავალ სეზონში ევროპის რომელიმე თასზე ვიასპარეზოთ. შემდეგ კი ჩვენი მოთხოვნები გაიზრდება. შესაბამისი თანხები უკვე გამოინახა. მოკლედ, ისეთი გუნდი გვინდა შევქმნათ, რომელიც მეტოქეობას გაუწევს თბილისის „დინამოს“ და ევროპულ სარბიელზეც არ შეირცხვენს თავს. ეს ითქვა ექვსი მარტის თათბირზე. პირველი ნაბიჯებიც გადაიდგა: ფორმა, ბუცები და საჭირო სპორტული ინვენტარი უკვე შევიძინეთ. დამქანცველი ვარჯიშების შემდეგ, ბუნებრივია, ფეხბურთელებს ძალების აღსადგენად ნორმალური კვება სჭირდებათ. ეს საკითხიც მოგვარდა. თანდათან სხვა პრობლემებიც გადაიჭრება და, ვფიქრობ, ფოთში შეიქმნება ის გუნდი, რომელიც საქართველოს ჩემპიონატს ხიბლს შემატებს. როგორც ხედავთ, ქალაქის მერი ნუგზარ ნადარაია და პორტის უფროსი ვალერი გეგიძე დიდ დახმარებას გვიწევენ. „კოლხეთისთვის“ დახმარება (ზემოხსენებული ვიცე-მერის გარდა პორტის ხელმძღვანელებს აკაკი დარჯანიას და ჯემალ გურგენაძესაც დაევალათ. ჩვენ ყოველდღიურად ვუკავშირდებით ერთმანეთს და მიხარია, რომ ახლა უკვე ნორმალური პირობები გვაქვს და მომზადებასაც შევუდგებით, რითაც დაკარგულ დროს ავინაზღაურებთ.

**— სანამ თქვენი „კოლხეთში“ დარჩენა-არდარჩენის საკითხი გაირკვეოდა, ამბობდნენ, თითქოს თქვენ ვიცე-პრეზიდენტ გივი ხომერიკთან უთანხმოება გქონდათ და რომ ერთ-ერთი თქვენგანი უნდა წასულიყო გუნდიდან. ხომერიკი წავიდა. თქვენ დარჩით. ეს ხმებიც, უნდა ვივარაუდოთ, მართალი აღმოჩნდა...**

— უთანხმოება მართლაც გვქონდა, მაგრამ იგი მხოლოდ და მხოლოდ გუნდის პრობლემებისადმი ჩვენი განსხვავებული მიდგომით იყო გამოწვეული. მე ეჭვი არ მეპარება, რომ ბატონ გივის გულისტკივილი და კეთილი სურვილები ამოძრავებდა. მაგრამ მან ნორმალური, ძლიერი გუნდის შექმნისათვის საჭირო თანხის შოვნა ვერ შეძლო. ფეხბურთში სამეურნეო საკითხები უკანასკნელ როლს როდი თამაშობს, ამ საკითხებში კი ბატონი გივი ვერ გაერკვა. ბოლოს თვითონ თქვა უარი ვიცე-პრეზიდენტობაზე. მიუხედავად ყველაფრისა, იგი ყოველთვის დადის ჩვენს თამაშებზე და ძველებურად გვქომაგობს. რა ჩვენი ბრალია, სხვადასხვაგვარად რომ ვაზროვნებთ? ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ერთმანეთს მტრებად უნდა მოვეკიდოთ.

**— ამას წინათ განიხილეს ფოთის ახალი სტადიონის პროექტი. ქალაქის არქიტექტორის აზრით, სასურველია ახალი სტადიონის არა ძველ, არამედ სხვა ადგილზე აშენება, რადგან მჭიდროდ დასახლებულ ფოთში შეუძლებელია ამხელა ნაგებობის მოთავსება.**

— ჩემი აზრით, სტადიონი მოხერხებულია მაყურებელთა მისასვლელად და ამიტომ მისაღებია პროექტის აღნიშნული ვარიანტი.

**— დავუბრუნდეთ ისევ გუნდს. მეორე წრე არც თუ დამაჯერებლად დაიწყეთ...**

— მე არ მინდა დავამცირო ბოლნისისა და ყვარლის გუნდები, მაგრამ მათთან შეხვედრებს ჩვენ მხოლოდ საკონტროლო თამაშების როლს ვანიჭებდით. ჩვენთვის ეს მხოლოდ მზადების ერთ-ერთი ეტაპი იყო. მანამდეც ინტენსიურად ვვარჯიშობდით. თბილისის „დინამოსთან“ მატჩის წინაც გავიარეთ მოსამზადებელი ეტაპი. 23 მარტიდან კი საშეჯიბრო ციკლზე გადავალთ. გუნდის მოუმზადებლობის გამო იყო, წინა სამ ტურში ასეთ რისკზე რომ წავედით, მაგრამ მზადება ხომ უნდა დაგვესრულებინა.

**— როგორ ფორმაშია მალხაზ არზიანი?**

— არზიანის ჩამოყვანა გუნდის ფინანსურ შესაძლებლობებზე იყო დამოკიდებული. მერთან შეხვედრისას ეს საკითხიც დადებითად გადაწყდა და მისი დაბრუნების გამო პრობლემები არ შეგვქმნია. ჩამოსვლის შემდეგ მალხაზი ვარჯიშს შეუდგა. მართალია, ცოტა მოუმზადებელი კი იყო, მაგრამ გამოცდილება და ოსტატობა თავის სიტყვას მაინც ამბობს. თანაც მეტად მონდომებულია და, იმედია, მალე მწყობრში ჩადგება.

**— „დინამოსთან“ თამაშმა გვიჩვენა, რომ ძალიან მდორე ფეხბურთს თამაშობთ...**

— ეს არ არის გასაკვირი, მოუმზადებელ ბიჭებს მეტი არც მოეთხოვებათ. ამიტომ ჯერჯერობით ვერ ვაჩვენებთ სწრაფ და მოძრავ ფეხბურთს. თუმცა, გარკვეული დროის შემდეგ — ვნახოთ.

**— გუნდი საკმაოდ ასაკოვანი ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული...**

— გუნდის განახლება ამ სეზონის დამთავრებისთანავე დაიწყება. ამ მიზნისთვის რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელი უკვე შეგულებული გვყავს და ალბათ არც მათ „კოლხეთში“ გადმობირებას დაუდგება წინ რამე, ამის თქმის უფლებას მაძლევს ქალაქის მერისა და პორტის ხელმძღვანელთა მატერიალური და მორალური თანადგომა. რაც შეეხება ჩვენს მეორე გუნდს — „კოლხეთი 2“-ს, იგი სწორედ იმიტომ შეიქმნა, რომ პირველი გუნდისთვის ახალგაზრდა კადრები აღეზარდა, მაგრამ ჯერჯერობით მათზე დაყრდნობა არ შეიძლება, ვერ ვხედავ „კოლხეთი 2“-ის ახალგაზრდებში იმ ძალას, ახალი სეზონიდან გუნდს რომ გააძლიერებს. თანაც, რაკიღა შემდეგ ჩემპიონატში მაღალი მიზნებისთვის უნდა ვიბრძოლოთ, მათი სწავლების დრო აღარ მექნება.

**— უეფამ ინტერტოტოზე ერთი ადგილი დაგვითმო — ამან ჩემპიონატის მეორე წრეს დაძაბულობა შემატა. ლიდერთა ჯგუფის ხუთი-ექვსი გუნდი თავს იკლავს. „კოლხეთს“ ევროთასებზე მოხვედრის დიდი შანსები ჰქონდა პირველი წრის მერე, მაგრამ, განა რეალურად მიგაჩნიათ ფაქტიურად მოუმზადებელი გუნდით პირველ წრეში დაკავებული მეოთხე ადგილის შენარჩუნება და წინსვლა?**

— მე მწვრთნელობის საკმაო გამოცდილება მაქვს და ვიცი, ამ მიზნის მიღწევა ძალზე ძნელია. დღეს თავად უყურეთ „დინამოსთან“ მატჩს. პირველ ტაიმში, სანამ ჯანი გვერჩოდა, რამდენიმე სახიფათო მომენტი შევქმენით და მხოლოდ იმიტომ ვერ გამოვიყენეთ, რომ გადამწყვეტ მომენტში ფეხბურთელებს ოსტატობა აღარ ჰყოფნიდათ. მეორე ტაიმმა ჩემი სამწუხარო ვარაუდი გაამართლა: ჩემს ფეხბურთელებს მოუმზადებლობის გამო ძალა აღარ ეყოთ, სისწრაფეში გვარიანად ჩამორჩებოდნენ „დინამოს“ და დიდი ანგარიშითაც დამარცხდნენ. „დინამოს“ ვერ მოუგებ, თუ მასთან სარბიელზე რომელიმე კომპონენტში მოიკოჭლებ. პირველი ჯგუფის ხუთი-ექვსი გუნდი, ვისთანაც მაღალი ადგილებისთვის ბრძოლა გვიწევს, მეორე წრის წინ სერიოზულად მოემზადა, ჩვენ კი ლამის გადავყევით ჩვენს პრობლემებს და შედეგიც სახეზეა. ასევე გაგვიჭირდება ჯგუფის სხვა გუნდებთანაც. ჩემი ყველაზე დიდი ამოცანა ახლა ისაა, ფეხბურთელები მეორე წრის პირველი მატჩების მსვლელობისას მოვამზადო და ასე თუ ისე ფორმაში შევიყვანო. ჩემპიონატში პირველი წრის შემდგომ შესვენებას მწვრთნელები ექსპერიმენტებისა და გუნდის შეთამაშებისთვის იყენებენ, ჩვენ კი, ზემოთ გითხარით, საკონტროლო შეხვედრაც კი არ ჩაგვიტარებია. ამიტომაც, ძალზე ძნელი იქნება იმ მეოთხე ადგილის შენარჩუნება, პირველი წრის მერე რომ გვეკავა.

**— ასეთ შემთხვევაში ხომ არსებობს საშიშროება, ყველაფერი ისევ მთავარ მწვრთნელს დაბრალდეს და კვლავ პრობლემები წარმოგეშვათ?**

— მე ვესაუბრე ამის შესახებ ჩვენს ხელმძღვანელებს. ქალაქის მერიცა და პორტის უფროსიც ფეხბურთში ჩახედული ხალხია. მათ იციან, რომ შესაბამისი მომზადების გარეშე მაღალი მიზნებისთვის ვერ იბრძოლებ, ამიტომ თუ ამ სეზონშივე ვერ მოვიპოვეთ ევროთასების საგზური, არავინ დაგვსჯის. ლოგიკურიცაა: პასუხი მაშინ უნდა მოსთხოვო მწვრთნელს, თუ მას წაყენებულ პირობას შეუსრულებ.

**— ადრე საკმაოდ კარგად შესრულებული სამენოვანი ჟურნალიც გამოუშვით ფოთის „კოლხეთის“ წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე. თუ ევროთასებზე გახვედით, ამგვარი ჟურნალი სავიზიტო ბარათივით გექნებათ უცხოელებისთვის. კვლავაც ხომ არ აპირებთ ჟურნალის გამოშვებას?**

— აუცილებლად. ის წინა ჟურნალი ლამის ბესტსელერად იქცა, მას მერე კი მთელი სეზონი გავიდა. ევროთასებზე გასვლა თავისთავად დააყენებს ამ საკითხს და ვფიქრობ, მალე ამისთვისაც მოვიცლით.

მერაბ მამულაშვილი

# გაფორმარდებული

ამ ერთი თვის წინ „კოლხეთის“ მწვრთნელმა, სოსო ფილიამ სრულიად მოულოდნელი რამ მითხრა: ჩვენს გუნდში მეორე წრიდან, შეიძლება, მალხაზ არზიანმა



ითამაშოსო. მართლაც, დინამოელთა ყოფილმა მარცხენა მცველმა მეორე წრის პირველ ორ ტურში თავისი მშობლიური ქალაქის კლუბში იასპარეზა და ყველას შეახსენა თავი. მას შემდეგ, რაც მალხაზი შვედეთს გაემგზავრა, ჩვენ მის შესახებ, ფაქტიურად, არაფერი ვიცოდით, ამიტომ ფოთელთა ჩამოსვლისათვის სახელდახელოდ მოვემზადე, ფეხბურთელი საგანგებოდ დავიგულე და სწორედ ამ „შვედურ პერიოდზე“ ვესაუბრე.

— თავდაპირველად მეორე დივიზიონის „გსკ ელივარში“ ვთამაშობდი, წამოსვლამდე კი მესამე დივიზიონის „მალბარარიეტში“, რომელიც ჩრდილო შვედეთის ამავე სახელწოდების ქალაქის კლუბია. სხვათა შორის, „მალბარარიეტში“ მე და ზაურ სვანაძე ერთად გამოვდიოდით.

**— სვანაძე კიდევ თამაშობს? აბა, მწვრთნელობა დაიწყოო...**

— არა. თამაშისთვის თავი არ დაუნებებია, მოთამაშე-მწვრთნელია.

**— რამდენი წელი დაჰყავი შვედეთში?**

— იქ სამი სეზონი ვითამაშე.

**— წამოსვლა რამ გადაგაწყვეტინა?**

— რადგან პროფესიონალი ვიყავი, მესამე დივიზიონში თამაშის უფლება არ მქონდა. სხვა მიზეზიც იყო: ვიზა ვერ გამიგრძელეს და იქ გაჩერება აღარ შემეძლო, თორემ გუნდთან კონტრაქტი გაფორმებული მქონდა.

**— ალბათ, ცოტა არასერიოზულიც კი იქნება კითხვა იმის შესახებ, თუ როგორი პირობები გქონდა შვედეთში...**

— სხვათა შორის, განსაკუთრებული ამ მხრივ არაფერი ყოფილა, მაგრამ ქართულ სინამდვილეს თუ შევუფარდებთ, თქმა არ უნდა, პირობები ნორმალური იყო.

**— რამდენადაც ვიცი, ჩამოსვლის შემდეგ ჯერ „კოლხეთში“ მიხვედი, შემდეგ ბათუმში, ბოლოს ისევ „კოლხეთი“ ამჯობინე. რატომ? ფოთში უკეთესი პირობები შემოგთავაზეს თუ მშობლიური ქალაქის ფაქტორმა ითამაშა გადამწყვეტი როლი?**

— ფოთის ვარიანტი იმიტომ ვარჩიე, რომ მშობლები იქ ცხოვრობენ და მსურდა მათთან ახლოს ვყოფილიყავი. გარდა ამისა, პირობებიც უკეთესი შემომთავაზეს.

**— მოდი, ისევ შვედეთს დავუბრუნდეთ იქ რა ამპლუაში გათამაშებდნენ?**

— „ელივარში“ მცველი ვიყავი, სვანაძე კი ხან ნახევარდაცვაში, ხან თავდასხმაში მაყენებდა.

**— თავდამსხმელადაც თამაშობდი?!**

— ვთამაშობდი, სეზონში თხუთმეტი გოლიც კი გავიტანე. ჩვენს დივიზიონში სულ თორმეტი გუნდი იყო.

**— როგორი დონისაა შვედეთის ჩემპიონატი?**

— უმაღლეს დივიზიონში მაღალი დონეა, კარგი ფეხბურთელებიც ჰყავთ და შეხვედრებიც დაძაბულია. მაგრამ მეორე-მესამე ლიგაში უკვე, ბუნებრივია, კლასი დაბალია, ფეხბურთი უფრო ძალისმიერია, ტექნიკას ნაკლებ ყურადღებას აქცევენ.

**— შენი გუნდი რომელ ადგილზე იყო?**

— მეექვსეზე. სხვათა შორის, სვანაძემწვრთნელის წყალობით საკმაოდ კარგ, ტექნიკურ ფეხბურთს ვთამაშობდით.

**— სვანაძეზე რას გვეტყვი: დარჩება შვედეთში თუ საქართველოში დაბრუნდება?**

— მისი გეგმების შესახებ არაფერი ვიცი, მაგრამ არა მგონია, დარჩენას აპირებდეს.

**— როგორ შეეგუე ვითარებისა და გუნდის ცვლას? და საერთოდ, რა განსხვავებაა ქართულ და შვედურ ფეხბურთს შორის?**

— განსხვავება დიდი არ არის. უმაღლესი დივიზიონების დონე დაახლოებით თანაბარია. თუმცა კი, ისიც უნდა ვთქვათ, რომ ჩვენ არ გვყავს ისეთი მაღალი კლასის კლუბები, როგორიც „გიოტებორგი“, „მალმიო“, ან „ნორჩიოპინგია“...

**— სვანაძის გარდა, კიდევ არიან შვედეთში ჩვენი თანამემამულეები?**

— ქართველები არა და რუსები კი არიან — ყოფილი მოსკოვის ტორპედოელები გალაიბა და გიცელოვი, აიკში კი — კიევის დინამოელი ვადიმ ევტუშენკო. სხვათა შორის, როდესაც საქართველოს ნაკრებმა ბულგარეთსა და უელსს მოუგო, ეს არავის გაჰკვირვებია: იქ ხომ საკმაოდ კარგად იცნობენ ჩვენს ფეხბურთს. თუ კვეხნაში არ ჩამომართმევთ ეს გარკვეულწილად ჩემი და ზაურ სვანაძის დამსახურებაცაა.

**— როდემდე აპირებ თამაშს?**

— სანამ გამძლეობა მეყოფა.

მერაბ მამულაშვილი

## იტალია

### რომა 2:1 პიაჩენცა

46 508 მაყურებელი

რომა: ჩერვონე, კერუბინი (დი ბიაჯო 57), კარბონი, სტატუტო, ალდაირი, ლანა, მორიერო, კაპიოლი, დელვეკიო (ტოტი 57), ჯანინი, ფონსეკა (სკარჩილი 86)

პიაჩენცა: ტაიბი, პოლონია, როსინი, დი ფრანჩესკო, მაკოპი (კაპელინი 34), ლუჩი (ტრაპელა 83), ტურინი, კარბონე (მორეტი 70), კაჩა, კორინი, პიოვანი

გოლი: დელვეკიო (18), კაპიოლი (25), კაპელინი (51)

გაფრთხილება: კარბონი, ჯანინი

გაძევება: კაპიოლი (92)

### ვიჩენცა 3:0 ნაპოლი

16 000 მაყურებელი

ვიჩენცა: მონდინი, სარტორი, მენდესი, დი კარლო (პიტანა 89), ლოპესი (დიგნაციო 72), ბელოტი, ამბროზეტი (ამერინი 67), როსი, მურჯიტა, მაინი, ოტერო

ნაპოლი: ტალიალატელა, ბორდინი, ტარანტინო, ბალდინი, აიალა (კოლონეზე 75), კრუსი, ბუზო (დი ნაპოლი 79), პარი, იმბრიანი, პიცი, პეკია

გოლი: დი კარლო (12), მურჯიტა (21), ამბროზეტი (35)

გაფრთხილება: მაინი, ამბროზეტი

გაძევება: ბალდინი (30), ოტერო (77)

### კრემონეზე 2:1 ლაციო

6 200 მაყურებელი

კრემონეზე: ტურჩი, გუალკო, ორლანდო, ჯანდებიაჯი, დალ ინია, ვერდელი, პეტრაკი, პეროვიჩი (კრისტიანი 56), ფლორიანჩიჩი (ფანტინი 63; ალოიზი 75), მასპერო, ტენტონი

ლაციო: მარკეჯანი, ნეგრო (ნესტა 79), ფავალი, დი მატეო, შამოტი, ბერგოდი, რამბაუდი (გოტარდი 55), ფუზერი, ბოკშიჩი, მარკოლინი, სინიორი

გოლი: ნქგრო (46), ტენტონი (53, 84)

გაფრთხილება: მარკოლინი, ფავალი, ბოკშიჩი, გოტარდი

### მილანი 3:0 პარმა

65 000 მაყურებელი

მილანი: როსი, ტასოტი, მალდინი, ალბერტინი (სორდო 74), გალი, ბარეზი, დონადონი, დესაი, სავიჩევიჩი (ლოკატელი 89), რ. ბაჯო, დი კანიო (ლენტინი 46)

პარმა: ბუჩი, მუსი (კასტელინი 70), ბენარივო (პინი 67), მინოტი, აპოლონი, კოუტუ, სენსინი, კრიპა, მელი, ძოლა (ინძაგი 58), ბრამბილა

გოლი: ბაჯო (43), დონადონი (47), სავიჩევიჩი (72)

ბაჯომ მე-11 წუთზე ვერ გაიტანა პენალტი

გაფრთხილება: გალი, ალბერტინი, სენსინი, ბენარივო, მუსი

### უდინეზე 1:2 ინტერი

21 000 მაყურებელი

უდინეზე: გრეგორი, მატრეკანო (შალიმოვი 63), ბერტოტო (მარინო 89), ამეტრანო, კალორი, ბია, როსიტო, დეზიდერი, ბირპოფი, სტროპა, პოჯი

ინტერი: პალიუკა, ბერგომი, კარლოსი, ფრეზი, ფესტა, პაგანინი, ძანეტი, ინსი, ბრანკა (განცი 75), კარბონე, ფონტოლანი

გოლი: ფონტოლანი (23), კარლოსი (64 პ), ბირპოფი (80)

გაფრთხილება: ბირპოფი, ფრეზი, კარბონე, ფონტოლანი

გაძევება: ინსი (45), როსიტო (75)

### ბარი 2:1 პადოვა

23 000 მაყურებელი

ბარი: ფონტანა, რიპა, მანიგეტი, პარენტე, სალა, მონტანარი, გაუტიერი (ურსონი 30), ინგესონი (მანგონე 63), ანდერსონი, პედონე, პროტი

პადოვა: ბონაიუტი, სკონციანო (ფიორე 46), გაბრიელი, როზა, ჯამპიეტრო, ნავა, კრეეკი, ნუნციატა, ამორუზო, კოპოლა (ვან უტრეხტი 77), ვლაოვიჩი

გოლი: რიპა (31), პროტი (38), გაბრიელი (53)

გაფრთხილება: პედონე, მანიგეტი, პარენტე, როზა, კოპოლა

### ფიორენტინა 0:1 იუვენტუსი

42 854 მაყურებელი

ფიორენტინა: ტოლდო, კარნაშალი, სერენა, პიაჩენტინი (ბანკელი 78), ამორუზო, პადალინო, შვარცი, კოისი (რობიატი 63), ბატისტუტა, რუი კოშტა, ბაიანო (ბიჯიკა 40)

იუვენტუსი: პერუცი, ტორიჩელი (კარერა 78), პესოტო, კონტე, ვერხოვოდი, პორინი, დი ლივიო (იუგოვიჩი 66), დეშამპი, ვიალი, დელ პიერო (ლომბარდო 70), პადოვანო

გოლი: ამორუზო (28, საკ. კარში)

გაფრთხილება: პადალინო, ვიალი, პორინი, იუგოვიჩი, პადოვანო, პერუცი

გაძევება: სერენა (30)

### სამპდორია 2:3 ატალანტა

23 000 მაყურებელი

სამპდორია: პაგოტო, ბალერი, ევანი, ინვერნიცი (ბერტარელი 70), მანინი, მიხაილოვიჩი, კარემბუ, ზეედორფი, კიეზა, მანჩინი, სალსანო (მანიერო 84)

ატალანტა: პინატო, როტელა (ვალენტინი 64), პავონე, ერერა, პაგანინი, მონტერო, გალო (სალვატორი 81), ბონაჩინა, ვიერი, ფორტუნატო, მორფეო (ტოვალიერი 81)

გოლი: ბალერი (45), კიეზა (I ტაიმის 47-ე), ვიერი (52), მორფეო (55), ფორტუნატო (83)

გაფრთხილება: ინვერნიცი, პაგოტო, ბალერი, პაგანინი, სალვატორი, პავონე

### ტორინო 1:1 კალიარი

გოლი: 0:1 ოლივეირა (11 პ), 1:1 რიციტელი (20 პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 26 | 16 | 8 | 2 | 44:17 | 56 |
| იუვენტუსი | 26 | 14 | 6 | 6 | 46:25 | 48 |
| ფიორენტინა | 26 | 13 | 8 | 5 | 41:24 | 47 |
| ინტერი | 26 | 12 | 8 | 6 | 34:19 | 44 |
| პარმა | 26 | 11 | 10 | 5 | 35:25 | 43 |
| ლაციო | 26 | 11 | 6 | 9 | 48:33 | 39 |
| რომა | 26 | 10 | 9 | 7 | 33:25 | 39 |
| ვიჩენცა | 26 | 10 | 8 | 8 | 29:27 | 38 |
| სამპდორია | 26 | 9 | 8 | 9 | 40:39 | 35 |
| უდინეზე | 26 | 9 | 7 | 10 | 30:33 | 34 |
| კალიარი | 26 | 9 | 5 | 12 | 28:40 | 32 |
| ნაპოლი | 26 | 7 | 10 | 9 | 23:33 | 31 |
| ატალანტა | 26 | 8 | 6 | 12 | 29:42 | 30 |
| პიაჩენცა | 26 | 7 | 7 | 12 | 26:44 | 28 |
| ტორინო | 26 | 5 | 10 | 11 | 25:37 | 25 |
| კრემონეზე | 26 | 4 | 10 | 12 | 30:39 | 22 |
| ბარი | 26 | 5 | 7 | 14 | 37:55 | 22 |
| პადოვა | 26 | 6 | 3 | 17 | 29:50 | 21 |

## ამერიკაში მსოფლიოს ჩემპიონატია

ჩრდილო-ცენტრალურ ამერიკასა და კარიბეთში მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი-თამაშები გრძელდება. კვირას სანტო დომინგოში დომინიკელთა რესპუბლიკის ნაკრებმა უმასპინძლა არუბას. გაიმარჯვეს მასპინძლებმა 3:2.

ოლიმპიურ სტადიონზე 28-ე წუთზე, 12 მეტრიდან ანგარიში ლალო როდრიგესმა გახსნა. საგოლე პასი მას ომარ ტრიგომ მიაწოდა. მეორე ტაიმის მეხუთე წუთზე რამონ მარიანომ ალბერტო ხიმენესის მიწოდებული ბურთი 20 მეტრიდან სტუმართა მეკარის გალუდ პანტოფეტის კარში შეაგდო. ამას არუბელებმა მე-60 წუთზე რაიმონდ დაველარდის გოლით უპასუხეს, მაგრამ ნელსონ პენიამ 73-ზე სხვაობა კვლავ ორამდე გაზარდა. სტუმრებმა ერთიც უპასუხეს. 84-ზე მალნბერგმა მეკარე ხუნიორ მეხიას შანსი არ დაუტოვა.

## ჰოლანდიაში კუნთები უწყდებათ

„ეინდჰოვენის" ნახევარმცველმა ვიმ იონკმა მარჯვენა ფეხის კუნთი დაიზიანა და ორი კვირა ვეღარ ითამაშებს. ახლა იონკმა დაშავებულ თანაგუნდელთა — რონალდოს, ერნესტ ფაბერის და იან ვაუტერსის კამპანიაში გადაინაცვლა.

„ეინდჰოვენის" ექიმი ჟაკ ვან დერ ჰოოგენბანდი ტრავმებს გადატვირთულ კალენდარსა და უხარისხო მოედნებს აბრალებს.

— ნიშანდობლივია, რომ „ეინდჰოვენისა" და „აიაქსის" ფეხბურთელებს ძირითადად კუნთები უწყდებათ — თქვა ექიმმა.

შეგახსენებთ, რომ „პსვ ეინდჰოვენი" „აიაქსს" ჰოლანდიის ჩემპიონობას ეცილება, ხოლო რაც შეეხება მის ევრომოღვაწეობას, იგი წინა კვირას უეფას თასის მეოთხედფინალიდან „ბარსელონამ" გამოაგდო.

### თასების თასი

21 მარტი. საპასუხო შეხვედრები

პარი სენ ჟერმენი (საფრანგეთი) — პარმა (იტალია) 3:1 (0:1)

რაპიდი (ვენა, ავსტრია) — დინამო (მოსკოვი, რუსეთი) 3:0 (1:0)

ფეიენოორდი (როტერდამი, ჰოლანდია) — მიონხენგლადბახი (გერმანია) 1:0 (2:2)

სარაგოსა (ესპანეთი) — დეპორტივო ლა კორუნია (ესპანეთი) 1:1 (0:1)

22 მარტს ლოზანაში გაიმართა ევროპის საკლუბო ტურნირების ნახევარფინალური შეხვედრების კენჭისყრა.

უეფას თასი

ბაიერნი (მიუნხენი, გერმანია) — ბარსელონა (ესპანეთი)

ბორდო (საფრანგეთი) — სლავია (პრაღა, ჩეხეთი)

თასების თასი

ფეიენოორდი (როტერდამი, ჰოლანდია) — რაპიდი (ვენა, ავსტრია)

პარი სენ ჟერმენი (საფრანგეთი) — დეპორტივო ლა კორუნია (ესპანეთი)

## ძირს ლიდსი, გაუმარჯოს ვილას

### ასტონ ვილა 3:0 ლიდსი

უემბლი. 77 056 მაყურებელი

ასტონ ვილა: ბოზნიჩი, ჩარლზი, რაიტი, საუსგეიტი, მაკგრათი, ეპიოგუ, ტეილორი, დრეიპერი, მილოშევიჩი, იორკი, თაუნსენდი

ლიდსი: ლუკიჩი, კელი, რედიბი (ბროლინი 66), პალმერი, პემბერტონი, უესეროლი, გრეი, ფორდი (დინი 46), იებოა, მაკალისტერი, სპიდი

გოლი: მილოშევიჩი (21), ტეილორი (55), იორკი (90)

გაფრთხილება: საუსგეიტი, მაკგრათი, უესეროლი, ფორდი

ინგლისის ლიგის თასის ფინალი „უემბლიზე" დანიშნულზე ორი საათით გვიან დაიწყო. მიზეზი: ქალაქის პოლიციამ დააჭირა 50 მთვრალი გულშემატკივარი, საზიზღრად რომ იქცეოდა. როგორც წესრიგის დამცველებმა თქვეს, კიდევ 200 შეჭიკჭიკებული ქომაგი მზად იყო რაგინდარა აურზაურისთვის.

თამაშის შემდეგ „ლიდსის" მწვრთნელი ჰოვარდ ვილკინსონი განაწყენებული ბრბოს წივილ-კივილში, თავდახრილი შევიდა გასახდელისკენ მიმავალ გვირაბში. 23 წელიწადია „ლიდს იუნაიტედი" ლიგის თასის ფინალში არ ყოფილა და ახლა, როდესაც პრიზამდე ერთი მოგებალა რჩებოდა, გუნდი ისე დამარცხდა, რომ მიმომხილველებს „ასტონ ვილაზე" ათქმევინა, დიდი ხანია ასეთი ღირსეული გამარჯვებული ამ შეჯიბრებას არ ჰყოლიაო. ერთადერთი ნათელი წერტილი ვილკინსონის გუნდში 18 წლის ენდი გრეი იყო. ეს საუცხოოდ მოთამაშე ბიჭი ფრენკ გრეის ვაჟია, თუმცა ნიჭით და თამაშის მანერით ბიძამის ედის ალიკვალია.

„ვილკინსონ, სად არის ბროლინი!" — ღრიალებდა აღშფოთებული ხალხი, 7,2 მილიონ გირვანქად შეძენილი შვედი ვარსკვლავი სათადარიგოთა სკამზე რომ იხილა. მწვრთნელმა 66-ე წუთზე ბროლინი მოედანზე გაუშვა. ვარსკვლავმაც სცადა თამაშის გამოსწორება, მაგრამ ამაოდ. იმ დროისთვის უკვე 2:0 იყო.

„ასტონ ვილას" ბელგრადის „პარტიზანისგან" შეძენილმა სავო მილოშევიჩმა გაუმართლა. ანგარიში სწორედ მან გახსნა 21-ე წუთზე. 55-ზე ტეილორმა გაზარდა სხვაობა, ბოლოს 90-ზე კი იორკმა „ლიდსის" გაპარტახება დაასრულა.

„ასტონ ვილამ" მეხუთედ მოიპოვა ლიგის თასი და შესაბამისად გაისად უეფას თასზე გამოვა. რომ არ აგვერიოს, ერთხელაც ვთქვათ, რომ ინგლისიდან თასების თასზე ფეხბურთის ასოციაციის თასის მფლობელი გადის და არა ლიგის თასისა.

— თამაშის წინ „ლიდსის" შემადგენლობა რომ შევიტყვეთ, მივხვდით, რომ მეტოქეს ჩვენი ცენტრალური მცველების „დასაბმელად" ტონი იებოა ჰყავდა განწესებული, ამასობაში კი მაკალისტერი უნდა შემოჭრილიყო და გოლი გაეტანა. კიდევ კარგი, ჩვენმა პირველმა გოლმა დროულად აურია მეტოქეს გეგმა. მეორე ტაიმში ფორდის ნაცვლად დინი გამოიყვანეს და ააწყვეს კიდეც თამაში, მაგრამ ისევ შევაგდეთ და თამაშიც საბოლოოდ ჩვენს სასარგებლოდ შემობრუნდა — თქვა „ასტონ ვილას" მწვრთნელმა ბრაიან ლიტსმა.

— გულსატკენია, რომ წავაგეთ — ეს ჰოვარდ ვილკინსონის სიტყვებია — ერთადერთი, რამაც გამახარა, ენდი გრეის თამაში იყო. ის ჩვენგან საუკეთესო იყო.

## «ტრაბზონი» ლიდერია

თურქეთის ჩემპიონატის მორიგ ტურში არველაძეების „ტრაბზონსპორმა" სტუმრად 2:1 სძლია „ქაისერი" და ქულე- [illegible] კი გადაასწრო მანამდე ლიდერ „ფენერბაჰჩეს", რომელიც „გალათასარაიმ" 2:0 დაამარცხა. ახლა ორივე გუნდს 64-64 ქულა აქვს. მომდევნო ტურში „ტრაბზონსპორი" კვლავ სტუმრად, ამჯერად „ანთალიასპორთან" თამაშობს, „ფენერბაჰჩე" კი „ქაისერის" ესტუმრება. მესამე ადგილზე 60 ქულით „ბეშიქთაშია".

## «აიაქსი» – 2 «ფეიენოორდი» – 0

მცირე კრიზისი დაძლეულია – ასე შეიძლება შეფასდეს „აიაქსის" ბოლოდროინდელი შედეგები. ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გერმანიის ჩემპიონთან იოლი გამარჯვების შემდეგ ამსტერდამელებმა ქვეყნის ჩემპიონატსაც სერიოზულად მოკიდეს ხელი და კვირას „ფეიენოორდი" ლიტმანენისა და კლუივერტის გოლებით 2:0 დაამარცხეს. ამასობაში „ეინდჰოვენმა" სტუმრად „გრონინგენთან" 0:1 წააგო და ახლა ოთხი ქულით ჩამორჩება „აიაქსს".

## „აიაქსი" საცალო ვაჭრობის ქსელში

ასეც განიხილეს და ისეც, დამალეს და ააწყვეს, მაგრამ გრძელვადიან კონტრაქტებზე უკეთესი, „ბოსმანის" წინააღმდეგ, ვერაფერი მოიფიქრეს. მცირე კლუბები კი არა ისეთი ბაყბაყ დევიც კი, ამსტერდამის „აიაქსი" რომ არის, ცუდ დღეში ჩავარდა. იტალიელმა და ესპანელმა ბობოლებმა მის ფეხბურთელებს თვალი დაადგეს და ლამისაა გაბდღვნან. ამგვარად, „აიაქსსაც" მოუწია რამდენიმე მოთამაშესთან მრავალწლიანი ხელშეკრულების გაფორმება.

კეთილი და პატიოსანი, მაგრამ, როგორც ირკვევა, გრძელვადიან კონტრაქტებსაც აქვთ ნაკლი. თანაც როგორი! ახლა ყველას გაახსენდა მადრიდის „რეალი", 80-იანი წლების შუაში ბუტრაგენიოსთან, მიჩელთან და მარტინ ვასკესთან გაწელილი კონტრაქტი რომ დასდო და დაღმასვლაც დაეწყო. ესპანეთის ჩემპიონი „ბარსელონა" ხდებოდა, „რეალის" მაშინდელი პრეზიდენტი რამონ მენდოსა კი ვალებში ჩაეფლო.

იოჰან კრუიფი თვლის, რომ გრძელვადიანი კონტრაქტი ფეხბურთელზე ცუდად მოქმედებს. მისი აზრით, თუ ხელშეკრულება ორ-სამ წლიანია, მოთამაშე ყველა ღონეს ხმარობს, რომ თავი გამოიჩინოს და შემდგომი კონტრაქტი იმავე, ან უფრო ძლიერ კლუბთან, უფრო სარფიანად გააფორმოს. ხანგრძლივი „დაყოვნებისას" კი სპორტსმენი რისკისა და სტიმულის გარეშეა, რაც მის თამაშზე აისახება.

ასეა საქმე! ვნახოთ რა მოხდება, მანამდე კი „უორლდ სოკერში" გამოქვეყნებულ, „აიაქსის" მოთამაშეთა სატრანსფერო ამბებს გადავხედოთ. ცხრილში, ფეხბურთელების გვარ-სახელების მერე მოყვანილია კონტრაქტის ვადის გასვლის თარიღი, შემდეგ მისი იმდროინდელი ასაკი, დღევანდელი სატრანსფერო ფასი გირვანქებში და კლუბი ან ქვეყანა, რომელსაც ამ მოთამაშის გადაბირება სურს.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ედგარ დავიდსი | 1996 ივნისი | 23 | 3 000 000 | მილანი |
| ნვანკვო კანუ | 1996 ივნისი | 19 | 4 000 000 | ინტერი |
| მიხაელ რაიციგერი | 1996 ივნისი | 23 | 2 000 000 | მილანი, რეინჯერსი, რეალი |
| სონი სილოი | 1996 ივნისი | 32 | თავისუფალი | ტიროლი |
| იგნასიო ტუპუტერუ | 1996 ივნისი | 22 | 500 000 | — |
| დენი ბლინდი | 1997 ივნისი | 35 | 1 000 000 | ასტონ ვილა |
| უინსტონ ბოგარდე | 1997 ივნისი | 26 | 2 000 000 | — |
| ფინიდი ჯორჯი | 1997 ივნისი | 26 | 4 500 000 | იუვენტუსი |
| პატრიკ კლუივერტი | 1997 ივნისი | 20 | 6 000 000 | მილანი |
| იარი ლიტმანენი | 1997 ივნისი | 26 | 6 500 000 | ბარსელონა, ვალენსია |
| მარტინ როიზერი | 1997 ივნისი | 22 | 750 000 | — |
| არნოლდ სხოლტენი | 1997 ივნისი | 35 | 200 000 | დენ ბოსხი |
| ანდრეი დემჩენკო | 1998 ივნისი | 21 | 500 000 | — |
| ფრედ გრიმი | 1998 ივნისი | 32 | 100 000 | — |
| კიკი მუსამპა | 1998 ივნისი | 21 | 500 000 | — |
| დენის სხულპი | 1998 ივნისი | 20 | 500 000 | — |
| ნორდინ ვოოტერი | 1998 ივნისი | 21 | 1 500 000 | — |
| მარსიო სანტუში | 1999 ივნისი | 29 | 2 000 000 | ბრაზილია |
| ედვინ ვან დერ საარი | 1999 ივნისი | 28 | 2 000 000 | იტალია, ესპანეთი, ინგლისი |
| ფრენკ დე ბური | 2000 ივნისი | 30 | 5 500 000 | იუვენტუსი |
| რონალდ დე ბური | 2000 ივნისი | 30 | 8 000 000 | იუვენტუსი |
| მარკ ოვერმარსი | 2000 ივნისი | 27 | 10 000 000 | არსენალი, მანჩესტერი |
| პეტერ ჰუკსტრა | 2002 ივნისი | 29 | 5 000 000 | — |

### 1990 წლის მერე „აიაქსიდან" წასულები

| | | |
|---|---|---|
| 1991 | | |
| პეტერ ლარსონი | ნორჩიოპინგი | თავისუფალი |
| რიხარდ ვიჩხე | ბარსელონა | 3,5 მილიონი |
| 1992 | | |
| ჯონ ვან ლუნი | ფეიენოორდი | 600 000 |
| იან ვაუტერსი | ბაიერნი | 500 000 |
| ჯონ ჰანსენი | ოდენსე | 200 000 |
| 1993 | | |
| დენის ბერხკამპი | ინტერი | 7 მილიონი |
| ვიმ იონკი | ინტერი | 3 მილიონი |
| ბრაინ როი | ფოჯა | 1 მილიონი |
| ალფონს გრუნენდაიკი | მანჩესტერ სიტი | 300 000 |
| ჯონ ვანტ სხიპი | ჯენოა | 1,5 მილიონი |
| მარსიანო ფინკი | ჯენოა | 1,5 მილიონი |
| არონ ვინტერი | ლაციო | 2 მილიონი |
| რონ ვილემსი | გრასჰოპერი | 400 000 |
| 1994 | | |
| სტენლი მენცო | ეინდჰოვენი | 250 000 |
| დან პეტერსენი | მონაკო | 500 000 |
| მიშელ კრეეკი | პადოვა | 1 მილიონი |
| სტეფან პეტერსონი | გიოტებორგი | თავისუფალი |
| 1995 | | |
| კლარენს ზეედორფი | სამპდორია | 4,5 მილიონი |
| პეტერ ვან ფოსენი | ისტანბულსპორი | 2 მილიონი |
| ჯონ ვან დენ ბრომი | ისტანბულსპორი | 2 მილიონი |
| ტარიკ ულიდა | სევილია | 1 მილიონი |

## ესპანეთი

32-ე ტური. ხიხონი — მერიდა 3:1; ტენერიფე — ბეტისი 1:2; კომპოსტელა — ვალენსია 0:4; სოსიედადი — რეალი 1:1; სელტა — ატლეტიკი 3:1; სალამანკა — ბარსელონა 1:3; ალბასეტე — ოვიედო 0:1; სანტანდერი — რაიო ვალეკანო 1:2; ატლეტიკო — სარაგოსა 1:1; სევილია — ვალიადოლიდი 1:1; ესპანიოლი — დეპორტივო 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ატლეტიკო | 32 | 21 | 6 | 5 | 56:21 | 69 |
| ბარსელონა | 32 | 18 | 9 | 5 | 56:27 | 63 |
| ვალენსია | 32 | 19 | 4 | 9 | 61:39 | 61 |
| ბეტისი | 32 | 15 | 11 | 6 | 49:33 | 56 |
| ესპანიოლი | 32 | 15 | 10 | 7 | 44:28 | 55 |
| კომპოსტელა | 32 | 16 | 5 | 11 | 42:43 | 53 |
| რეალი | 32 | 14 | 9 | 9 | 60:44 | 51 |
| ტენერიფე | 32 | 14 | 9 | 9 | 55:45 | 51 |
| სოსიედადი | 32 | 13 | 9 | 10 | 42:41 | 48 |
| დეპორტივო | 32 | 12 | 10 | 10 | 51:30 | 46 |
| სელტა | 32 | 10 | 11 | 11 | 36:38 | 41 |
| ოვიედო | 32 | 10 | 8 | 14 | 35:46 | 38 |
| სარაგოსა | 32 | 9 | 10 | 13 | 38:46 | 37 |
| რაიო ვალეკანო | 32 | 10 | 7 | 15 | 37:53 | 37 |
| სანტანდერი | 32 | 9 | 10 | 13 | 35:51 | 37 |
| სევილია | 32 | 8 | 11 | 13 | 31:44 | 35 |
| ატლეტიკი | 32 | 8 | 10 | 14 | 31:46 | 34 |
| ხიხონი | 32 | 9 | 6 | 17 | 39:45 | 33 |
| ვალიადოლიდი | 32 | 8 | 9 | 15 | 40:50 | 33 |
| ალბასეტე | 32 | 7 | 9 | 16 | 41:60 | 30 |
| მერიდა | 32 | 5 | 12 | 15 | 25:46 | 27 |
| სალამანკა | 32 | 5 | 9 | 18 | 40:62 | 24 |

## გერმანია

32-ე ტური. მიუნხენი — შალკე 1:1; კარლსრუე — ჰამბურგი 3:1; დორტმუნდი — აინტრახტი 6:0; ფრაიბურგი — კიოლნი 2:0; კაიზერი — ვერდერი 0:0; ლევერკუზენი — ბაიერნი 1:2; ზანკტ პაული — ჰანზა 3:2; ურდინგენი — ფორტუნა 1:3; მიონხენგლადბახი — შტუტგარტი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დორტმუნდი | 23 | 15 | 6 | 2 | 60:25 | 51 |
| ბაიერნი | 24 | 16 | 2 | 6 | 53:31 | 50 |
| გლადბახი | 23 | 11 | 5 | 7 | 36:36 | 38 |
| შტუტგარტი | 24 | 9 | 9 | 6 | 48:45 | 36 |
| შალკე | 23 | 8 | 10 | 5 | 27:27 | 34 |
| ჰამბურგი | 23 | 8 | 9 | 6 | 37:33 | 33 |
| ფრაიბურგი | 24 | 9 | 6 | 9 | 23:26 | 33 |
| ლევერკუზენი | 22 | 7 | 10 | 5 | 26:18 | 31 |
| ჰანზა | 22 | 7 | 8 | 7 | 34:31 | 29 |
| მიუნხენი | 24 | 7 | 8 | 9 | 34:37 | 29 |
| კარლსრუე | 24 | 7 | 8 | 9 | 33:36 | 29 |
| ვერდერი | 24 | 5 | 12 | 7 | 23:29 | 27 |
| აინტრახტი | 24 | 6 | 8 | 10 | 34:46 | 26 |
| ზანკტ პაული | 23 | 6 | 7 | 10 | 31:37 | 25 |
| ფორტუნა | 24 | 5 | 10 | 9 | 25:39 | 25 |
| კიოლნი | 24 | 4 | 12 | 8 | 21:26 | 24 |
| კაიზერი | 23 | 3 | 12 | 8 | 20:30 | 21 |
| ურდინგენი | 24 | 2 | 10 | 12 | 22:39 | 16 |

## ინგლისი

### ვესტ ჰემი 4:2 სიტი

24 017 მაყურებელი

ვესტ ჰემი: მიკლოშკო, ბრიჭერი, ბილიჩი, რიპერი, დიქსი, როულენდი, ჰიუზი, ვილიამსონი, ბიშოპი, დუმიტრესკუ (დანი 69), დაუი

მანჩესტერ სიტი: იმელი, სამერბი (მაცარელი 72), კერლი, საიმონსი, ფრონცეკი (ჰილი 57), ლომასი, ქინქლაძე, ბრაუნი, ბრაისველი, კლაფი, როსლერი (ქუინი 57)

გოლი: დაუი (21, 54), ქუინი (75, 90), დიქსი (83), დანი (84)

გაფრთხილება: რიპერი, ვილიამსონი, ლომასი

გაძევება: ლომასი (74)

### არსენალი 2:0 ნიუკასლი

38 271 მაყურებელი

არსენალი: სიმენი, დიქსონი, კიოუნი, ლინიგელი, უინთერბურნი (ჰელდერი 89), მერსონი, მარშალი, პლატი, რაიტი (ჰარლოუ 41), პართსონი, ბერხკამპი

ნიუკასლი: სრნიჩეკი, ბარტონი (უოთსონი 59), ჰაუი, ალბერი, ბერესფორდი, ლი, ბეტი, ბერდსლი, ჟინოლა, ფერდინანდი, ასპრილია

გოლი: მარშალი (3), რაიტი (17)

გაფრთხილება: კიოუნი, ბერხკამპი, ალბერი, ბარტონი, ბერესფორდი, ბერდსლი, ბეტი

### ბოლტონი 2:1 შეფილდი

18 368 მაყურებელი

ბოლტონი: დევისონი, ბერგსონი, კოულმენი, ფაერკლაფი, ფილიპსი, კურჩიჩი, სელერსი, სტაბსი, მაკგინლი, ტომპსონი, დე ფრეიტასი

შეფილდი: ვუდსი, აზერტონი, პემბრიჯი, პირსტი (კოვაჩევიჩი 44), შერიდანი (პაიდი 55), დეგრიზი, უოქერი, ვიტინგემი, ნიუსონი, ბრისქო, ჰამფრაისი (უოდლი 63)

გოლი: ვითინგემი (37), სელერსი (44), კურჩიჩი (52)

გაფრთხილება: ბერგსონი, უოქერი

### ჩელსი 1:1 ქუინზ პარკი

25 590 მაყურებელი

ჩელსი: ჰიჩკოკი, კლარკი, გულიტი, სპენსერი (ჰიკოკი 82), ჰიუზი (ფარლონგი 52), ვაიზი, ბარლი, ლი (ჯონსონი 79), პეტრესკუ, ფილანი, დაბერი

ქუინზ პარკი: სომერი, ბარდსლი, მედიქსი (რიდი 46), მაკდონალდი, იეითსი (ბრეზირი 88), ბრევეთი, ბარკერი, იმფი, დიჩიო, გალენი (ჰეიტლი 77), სინკლერი

გოლი: სპენსერი (8), ბარკერი (19)

გაფრთხილება: ჰიუზი, ფარლონგი, ბარდსლი, ბარკერი, დიჩიო

### ევერტონი 2:4 უიმბლდონი

31 382 მაყურებელი

ევერტონი: საუთჰოლი, ჰოტიგერი, უოთსონი, შორტი, ჰინჩქლიფი, კანჩელსკისი, ჰორნი, ებრელი (რიდაუთი 46), ლიმპარი, სტიუარტი (ამოკაში 57), ფერგიუსონი

უიმბლდონი: სალივანი, კანინგემი, ქიმბლი, ჯოუნზი (კასტლიდაინი 28), ბლექველი, ლეონარდსენი, ირლი, ეკოკუ (გუდმენი 59), გეილი, ჰერი, კლარკი

გოლი: გეილი (12), შორტი (21), კანჩელსკისი (61), კასტლიდაინი (65), კლარკი (86), გუდმენი (88)

### ნოტინგემი 1:0 ლივერპული

29 058 მაყურებელი

ნოტინგემი: კროსლი, ლიტლი, პირსი, კუპერი, ჩეთლი, ჯემილი (ფილიპსი 63), სტოუნი, ლი, ვოანი, ბარტ-ვილიამსი, როი (ალენი 80)

ლივერპული: ჯეიმსი, მატეო (რედკნაპი 69), რადოქი, სქეილზი, რაიტი, მაკატირი, მაკმანამანი, ტომასი, კოლიმორი (რაში 69), ბარნსი, ფაულერი

გოლი: სტოუნი (42)

გაფრთხილება: სტოუნი, ლი, რაიტი, კოლიმორი

### იუნაიტედი 1:0 ტოტენჰემი

50 157 მაყურებელი

მანჩესტერ იუნაიტედი: შმეიხელი, ბრიუსი, შარპი, კანტონა, გიგზი, მეი, კინი, კოული (მაკკლეირი 73), ბატი, ჯ. ნევილი, ფ. ნევილი (ბექემი 64)

ტოტენჰემი: უოქერი, ოსტინი, ჰაუელსი, მაბატი (ნესერქოთი 51), ფოქსი, შერინგემი, არმსტრონგი, დოზელი, უილსონი, კემპბელი, სინტონი

გოლი: კანტონა (51)

გაფრთხილება: კინი, ბატი, მაბატი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერ იუნ | 32 | 20 | 7 | 5 | 60:31 | 67 |
| ნიუკასლი | 30 | 20 | 4 | 6 | 55:28 | 64 |
| ლივერპული | 31 | 17 | 8 | 6 | 60:27 | 59 |
| ასტონ ვილა | 32 | 16 | 8 | 8 | 47:31 | 56 |
| არსენალი | 32 | 15 | 9 | 8 | 44:28 | 54 |
| ტოტენჰემი | 30 | 14 | 9 | 7 | 40:30 | 51 |
| ევერტონი | 32 | 13 | 9 | 10 | 50:38 | 48 |
| ბლექბერნი | 31 | 14 | 6 | 11 | 47:36 | 48 |
| ნოტინგემი | 30 | 12 | 11 | 7 | 40:40 | 47 |
| ჩელსი | 32 | 11 | 12 | 9 | 37:35 | 45 |
| ვესტ ჰემი | 31 | 12 | 6 | 13 | 38:44 | 42 |
| ლიდსი | 28 | 11 | 6 | 11 | 35:41 | 39 |
| მიდლსბრო | 32 | 9 | 9 | 14 | 29:42 | 36 |
| შეფილდი | 32 | 9 | 8 | 15 | 43:51 | 35 |
| უიმბლდონი | 31 | 7 | 9 | 15 | 46:63 | 30 |
| მანჩესტერ სიტი | 32 | 7 | 9 | 16 | 26:49 | 30 |
| ქოვენთრი | 30 | 5 | 12 | 13 | 37:55 | 27 |
| საუთჰემპტონი | 29 | 5 | 10 | 14 | 28:43 | 25 |
| ბოლტონი | 32 | 7 | 4 | 21 | 35:62 | 25 |
| ქუინზ პარკი | 32 | 6 | 6 | 20 | 28:50 | 24 |

# ინგლისში დიდი ბრძოლებია

ყაველაშვილი მჯობიაო, უთქვამს გიორგი ქინქლაძეს და ახლა, მომდევნო ტურში, „ბოლტონთან“, „მანჩესტერ სიტის“ ქომაგები ქართულ გოლებს ელიან.

— დღეს გამოჩნდა, რატომაც ვყიდულობ ახალ თავდამსხმელს. საჯარიმოს მისადგომებთან მშვენივრად ვთამაშობდით, მაგრამ საბოლოო დარტყმები კოშმარული გვქონდა — განრისხდა შაბათს, ლონდონში, „ვესტ ჰემთან“ 2:4 წაგების შემდეგ „სიტის“ მწვრთნელი ალან ბოლი. — შეშლილი, გიჟური თამაში იყო. სანამ პირველ გოლს გაგვიტანდნენ, ურიგოდ არ ვმოქმედებდით, შემდეგ კი, თუმც ბურთი შუბლთან მისდიოდათ, ჩვენი ფორვარდები თავს ვერ ანძრევდნენ, რომ გოლი შეეგდოთ. უვე როსლერი რაზე ფიქრობდა, ვერ გეტყვით. დაცვაშიც საშინელი შეცდომები მოგვდიოდა. რამდენჯერმე გაოგნებული დავრჩი. მეტოქისთვის ხელის შესაშლელად პასუხისმგებლობა ვერავინ იკისრა. 4:2 მაცდური ანგარიშია, ვინმე შესაძლოა იფიქროს, რომ დავმარცხდით, მაგრამ ღირსეულად ვითამაშეთ. სინამდვილეში მეტად უსუსურნი ვიყავით.

ანგარიში 21-ე წუთზე ლონდონელებმა გახსნეს — დაუიმ თაურით შეაგდო ბურთი იმელის კარში. დაუიმ კიდევ გაიტანა თაურით, ოღონდ ეს მეორე ტაიმში, 54-ე წუთზე მოხდა. მანამდე კი, პირველი ტაიმის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე, ქინქლაძემ ბურთი დიქსს თავზე გადაუგდო, როულენს შემოურბინა, მაგრამ შეტევის დამთავრება არ დასცალდა, რადგან როულენდმა წააქცია. პენალტი კერლმა დაარტყა, მაგრამ მასპინძელთა მეკარემ ლუდეკ მიკლოშკომ მოიგერია.

75-ე წუთზე „სიტიმ“ სხვაობა შეამცირა. როსლერის ნაცვლად შესულმა ქუინმა ქინქლაძის დარტყმის შემდეგ მიკლოშკოს ცუდად მოგერიებულს დაამატა — 2:1.

აქ მანჩესტერელებს ახალი უბედურება დაატყდათ თავს. დიქსის წაქცევისთვის მოედნიდან სტივ ლომასი გააძევეს და სტუმართა გუნდს ერთადერთ იმედად ქართველი ლეგიონერი და მისი ფინტები დარჩა.

გავეშებული „ვესტ ჰემის“ წინააღმდეგ ალარაფერმა გაჭრა. მასპინძლებმა გამარჯვების მოახლოება შეიგრძნეს და 83-ე წუთზე დიქსმა 22 მეტრიდან მესამე შეაგდო. არც მეოთხე გოლმა დააყოვნა. ერთ წუთში ვესტ ჰემელთა პორტუგალიელმა დანიმ სტუმართა მცველებს ჩაუდრიბლინგა და ისე იმარჯვა. ანგარიში ბოლო წამს შეიცვალა. მანჩესტერელი ქუინის ლამაზი გოლის შემდეგ მსაჯმა თამაშის ცენტრიდან განახლება ვეღარც მოასწრო.

ამ შეხვედრაში გიომ კინალამ ყვითელი ბარათი მიიღო. იგი დიქსს ჩაუწვა ბურთის წასართმევად, მაგრამ გვარიანი სარმა გამოუვიდა. მსაჯმა ის-ის იყო ხელი ჯიბისკენ წაიღო ქართველის დასასჯელად, რომ მოცელილი ლონდონელი, რომელსაც კვანტის გამოდებასა და გაფრთხილებების მიღებაში თავად აქვს ჭიპი მოჭრილი, ქინქლაძეს გამოესარჩლა და არბიტრს გადაწყვეტილება შეაცვლევინა.

„ბოლტონი“, რომელთანაც „სიტის“ ახლა სტუმრობა უწევს, მშვენიერ ფორმაშია და ქულას ქულაზე აგროვებს. აკი დააღწია კიდეც თავი ბოლო ადგილს, მაგრამ ჯერ საშიში ზონიდან გასვლამდე დიდი გზა აქვს. საამისოდ მანჩესტერელთა ძლევაც სჭირდება. სამი ტურის წინ ბოლტონელთა მწვრთნელი იქადნებოდა, ახლა გამარჯვებებს ერთიმეორეს მივაყოლებო. კვირას, „შეფილდთან“ მატჩში აუტსაიდერმა სიტყვა საქმედ აქცია. სილარსის და კურჩიჩის გოლებს სტუმრებმა მხოლოდ ვითინგემისა დაუპირისპირეს — 2:1. არადა პირველი ბურთი შეფილდელებმა გაიტანეს. თავიდან ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ მათ ზედიზედ მესამე წარმატების მიღწევა არ უნდა გასჭირვებოდათ, „ბოლტონს“ კი სასწაული თუ იხსნიდა. 37-ე წუთზე დევიდ ჰირსტმა 18 წლის რიჩი ჰამფრიზს მიაწოდა, რომელიც პრემიერლიგაში პირველად თამაშობდა. ჰამფრიზმა ბურთი საჯარიმოში ჩააგდო, სადაც „ბოლტონის“ მცველები დაიბნენ და გაი უიტინგემს გაატანინეს.

45-ზე ვითარება შეიცვალა. სტაბსმა სერბ სას კურჩიჩს მიაწოდა, მან სკოტ სილარსს დაუგორა, სილარსმა კი გაქვითა. 52-ზე თავად კურჩიჩმა შეაგდო გამარჯვების გოლი.

ცხრილში „მანჩესტერ სიტის“ ახლომახლო მოტრიალე გუნდებიდან იმძლავრა „უიმბლდონმაც“. ლონდონის ეს გუნდი ლივერპულს ჩავიდა და იქაურ „ევერტონს“ 4:2 მოუგო. სტუმრებმა მასპინძლებს ეს უმნიშვნელოვანესი გამარჯვება ბოლო ხუთ წუთში გამოგლიჯეს ხელიდან.

თავიდან მე-12 წუთზე ვინი ჯოუნზის წაქცევისთვის დანიშნული ჯარიმა მარკუს გეილმა გოლად აქცია — ასე დაწინაურდა „უიმბლდონი“. 21-ზე შორტის პასით ნეილ სალივანმა გაათანაბრა.

33-ე წუთზე „ევერტონის“ გრემ სტიუარტმა, რაღაც სასწაულად, ექვსი მეტრიდან ვერ შეაგდო. 61-ზე მასპინძლებმა სასწორი თავისკენ გადახარეს. ახალშესული დანიელ ამოკაშის პასით რუსმა ანდრეი კანჩესკისმა გაიტანა, მაგრამ სასწორი იმის სასწორია, ხან ცალ მხარეს დაიწევს, ხანაც მეორე მხარეს. 65-ე წუთზე, ესტლდაინმა იგი ისევ გააწონასწორა.



რაც ფაუსტინო ასპრილია „ნიუკასლში“ გადავიდა, ჩემპიონატის ლიდერს აწყობილი საქმე აერია.

86-ზე და 88-ზე კი კლარკმა და გუმენმა მასპინძლებს შავი დღე აყარეს. გამარჯვებულთა მწვრთნელი ჯო კინიერი მატჩის შემდეგ მეცხრე ცაზე იყო.

— ამ მოგებამ პრემიერლიგაში დაგვტოვა — თქვა მან — ვერც კი წარმოიდგენთ, რას ნიშნავდა ეს ჩვენთვის. გასახდელ ოთახში ნამდვილი ზეიმია. 1:2-ს რომ ვაგებდით, მეშინოდა არ წაგვეგო. კლარკმა საუცხოოდ ითამაშა. ის პატარა ბიჭია, მაგრამ „ევერტონის“ დაცვა დატანჯა.

„ჩელსიმ“ „ქუინზ პარკ რეინჯერსს“ უმასპინძლა. მეტოქეებმა თითო გოლი გაუტანეს ერთმანეთს და შინაც თითო ქულა გაიყოლეს. გოლები კი დასაწყისშივე გავიდა. მასპინძელმა სპენსერმა მე-8-ზე შეაგდო, სტუმარმა ბერკერმა მე-19-ზე.

დამარცხდა ოქროს მაძიებელი „ნიუკასლ იუნაიტედი“. ლონდონში „არსენალთან“ სტუმრობა კევინ კიგანის გუნდისთვის ნავსიანი გამოდგა. მწვრთნელს დანა პირს არ უხსნიდა. ხუმრობა ხომ არ არის, 69 წლის მერე „ნიუკასლს“ ჩემპიონობის შანსი მიეცა და ახლა შეიძლება ხელიდან გამოეცალოს. მატჩის შემდეგ გულშემატკივრები მას მიმართავდნენ: „კიგან, მოგვაშორე თავიდან შენი ჩეკ-ბუქი.“

როგორც ჩანს, დიდძალი ფულის ხარჯვა და მთელი დუნიის ვარსკვლავების ყიდვა ყოველთვის კარგად არ მთავრდება. საქმე მარტო მქუხარე სახელი როდია — მთავარი გუნდია. ნიუკასლელთა შემთხვევაში ჯოხი ცნობილ კოლუმბიელ ფორვარდზე ფაუსტინო ასპრილიაზე ტყდება. რაც ასპრილია კიგანის გუნდში გადავიდა, საქმე აირია. მანამდე გუნდი გუნდობდა, ახლა კი ეტყობა მექანიზმი თავიდანაა ასაწყობი. ამგვარი ექსპერიმენტები, შუა სეზონში, უადგილო ყოფილა.

მასპინძლებმა მე-3 წუთზე გახსნეს ანგარიში. მცველმა სკოტ მარშალმა პოლ მერსონის მიერ კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს, გზად მარტინ კიოუნმა რომ შეაშველა თავი, „ნიუკასლის“ ბადეში მიუჩინა ადგილი. მე-17-ზე კი იან რაიტმა, რაც „არსენალშია“, 140-ე გოლი შეაგდო და ახლა ამ უძველესი კლუბის ისტორიაში მესამე ბომბარდირია. მის წინ კლივ ბესტინი და ჯონ რედფორდი არიან.

„მანჩესტერ იუნაიტედმა“ ცხრილში პირველ ადგილზე გადაინაცვლა. „ტოტენჰემ ჰოთსპურს“ გამარჯვების გოლს ვინ გაუტანდა, თუ არა ერიკ კანტონა, რომელსაც უკვე მეხუთე თამაშია, რაც გადამწყვეტი გოლები გააქვს. ეს 51-ე წუთზე მოხდა, როდესაც... „ტოტენჰემი“ უტევდა. ენდი სინტონის ჩაწოდებული ფილ ნევილმა კუთხურზე გადააგდო, მსაჯმა კი ვერ შეამჩნია და კარიდან დარტყმა დანიშნა. აღშფოთებულმა სტუმრებმა რეფერისთან კამათი გადაწყვიტეს. იმავდროულად ისინი მოთამაშის შეცვლას ლამობდნენ. მოკლედ, სანამ ლონდონელთა ყურადღება ამგვარ საკითხებზე იყო გადართული, მანჩესტერელებმა შეტევა წამოიწყეს და საჯარიმოს კიდიდან გოლი შეაგდეს.

— არა მგონია, „მანჩესტერ იუნაიტედს“ ჩემპიონობისკენ მიმავალ გზაზე რაიმე პრობლემა შეექმნას — თქვა „ტოტენჰემის“ განრისხებულმა მწვრთნელმა გერი ფრენსისმა — მსაჯების შეცდომა სამ ქულად დაგვიჯდა. მატჩის მერე ვნახე არბიტრი. ასე მითხრა, ის ეპიზოდი ტელევიზორში ვნახე და თურმე შევმცდარვარ, კუთხური უნდა დამენიშნაო. კარგი დროსი იყო. ჩემმა გუნდმა მშვენივრად ითამაშა, მაგრამ ეს ქულებით არ გამოიხატა.

გამარჯვებულთა თავკაცმა ალექს ფერგიუსონმა კოლეგის ასეთი განცხადება იწყინა: „მოვისმინე გერი ფრენსისის კომენტარი და გული გამიტყდა. თანამსაჯმა კუთხური არ დანიშნა, მეტოქის ფეხბურთელებმა კი თამაში შეწყვიტეს. ჩვენი ბრალია აქ რაიმე?“

„ლივერპულმა“ ნოტინგემში „ფორესტს“ ჩააკითხა და 0:1 წააგო. ერთადერთი გოლი პირველი ტაიმის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე სტოუნმა გაიტანა. განსაკუთრებით განაწყენებული დარჩა სტენ კოლიმორი, რომელიც თავის ყოფილ გუნდს შეება იმ სტადიონზე, სადაც „ლივერპულში“ გადასვლამდე მას ქომაგობდნენ და პირშიჩალაგამოვლებული დარჩა. საფინალო სასტვენამდე 20 წუთით ადრე იგი მსაჯმა გააფრთხილა, მწვრთნელმა კი შეცვალა.


**ინგლისური ენის შესწავლის მსურველებს**

**გიწვევთ ილონა დავიდოვას „ექსპრეს-მეთოდით“ შემსწავლელ სამთვიან კურსებზე. სწავლება მიმდინარეობს ლინგოფონური სისტემით.**

ჩვენი მისამართია:
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მე-7 კორპუსი, მე-3 სართული, საგზაო-საავტომობილო ფაკულტეტის დეკანატი.

ტელეფონი:
36-00-94, 36-65-00, 93-36-71




# „დიდი ტურის“ მოლოდინში

ვერის ბაღში დასრულდა საქართველოს ჩემპიონატის მეორე წრის პირველი ტური „ბ“ ჯგუფში. როგორც მოსალოდნელი იყო, ფავორიტებმა „დინამომ“ და „კაქტუსმა“ აშკარად, უმტკივნეულოდ დაჯაბნეს მეტოქენი. დაძაბული არცერთი შეხვედრა არ ყოფილა, აუტსაიდერების — „მაკაბი-ინტერის“ და „კოლხას“ მატჩიც კი პირველის აშკარა უპირატესობით წარიმართა. დამაინტერესებელი მხოლოდ „დინამოსა“ და „კაქტუსის“ მატჩი შეიძლებოდა ყოფილიყო, მაგრამ იგი გადაიდო (თუ რატომ, წინა „სარბიელში“ გაუწყეთ). მოკლედ, ტურმა საკმაოდ უფერულად ჩაიარა, რაც მეტოქეთა კლასში დიდი სხვაობის შედეგია. 30 მარტიდან ე. წ. დიდი ტური იწყება, სადაც ყველა გუნდი მოიყრის თავს. იმედია, საინტერესო მატჩებს მაშინ მაინც ვიხილავთ.

ვერის ბაღი.
საქართველოს ჩემპიონატი „ბ“ ჯგუფი.
21 მარტი

**კაქტუსი 104:75 მაკაბი-ინტერი**

კაქტუსი: ჩხეიძე (26), თორთლაძე (5), მაჭარაძე (7), ჩუბინიძე (19), დავითულიანი (25), აბულაძე (11), აბრამიძე (10), ახალკაცი (1), გაგნიძე

მაკაბი-ინტერი: უძილაური (17), ხუხაშვილი (14), ანდღულაძე (22), ტალაბაძე (10), ტაბატაძე (12), შველიძე, დავარაშვილი

**ქიმიკოსი 61:80 დინამო**

ქიმიკოსი: გურასპაული (8), კიკვიძე (3), მიქიაშვილი (5), გ. ბერუაშვილი (11), მ. ბერუაშვილი (25), კეჭაყმაძე (9), აბზიანიძე

დინამო: მაისურაძე (13), დარსაძე (6), კილაძე (11), სხიერელი (5), ჩერქეზიშვილი (4), ცხვედიანი (23), ულენტი (4), ხოშტარია (8)

22 მარტი

**კოლხა 49:89 მაკაბი-ინტერი**

კოლხა: ქვილითაია (8), აქერთავა (2), კვაჭაძე (6), ქარუმიძე (13), ბერია (7), ჯიგანია (7), აბულაძე (6), შამუგია, კვარაცხელია, კიკალიშვილი, ვაშაკიძე, სიხარულიძე

მაკაბი-ინტერი: უძილაური (24), ხუხაშვილი (13), ანდღულაძე (19), შველიძე (7), ტალაბაძე (6), თეთრუაშვილი (6), ტაბატაძე (12), კოპალეიშვილი (4)

**ქიმიკოსი 55:90 კაქტუსი**

ქიმიკოსი: გურასპაული (6), კიკვიძე (2), კეჭაყმაძე (7), გ. ბერუაშვილი, მ. ბერუაშვილი (20), გოგოლაძე (11), ნიკლაური (7), ხაიაური (2)

კაქტუსი: ჩხეიძე (19), თორთლაძე (14), ოთიურიძე (12), დავითულიანი (6), ჩუბინიძე (15), ახალკაცი (6), აბრამიძე (11), მაჭარაძე (4), აბულაძე (3), გაგნიძე, მეჭურჭლიშვილი


საფეხბურთო ტოტალიზატორი
**ლაკლას-ტოტო**

მატჩების სია — ტირაჟი № 24 (30-31 მარტი)

| | | |
|---|---|---|
| 1 | პიაჩენცა — მილანი | იტალიის ჩემპიონატი |
| 2 | იუვენტუსი — პარმა | იტალიის ჩემპიონატი |
| 3 | ინტერი — ფიორენტინა | იტალიის ჩემპიონატი |
| 4 | ნაპოლი — კალიარი | იტალიის ჩემპიონატი |
| 5 | ატლეტიკო — რეალი | ესპანეთის ჩემპიონატი |
| 6 | ალბასეტე — ბარსელონა | ესპანეთის ჩემპიონატი |
| 7 | ესპანიოლი — მერიდა | ესპანეთის ჩემპიონატი |

ბილეთების რეგისტრაცია შეწყდება შაბათს, 30 მარტს 16. 00 სთ-ზე

**ყურადღება!**

„თამაშის წესების“ მე-10 პუნქტში შეტანილია ცვლილებები. ამიერიდან — იმ შემთხვევაში, თუ ტირაჟის ერთი რომელიმე მატჩი არ ჩატარდა, მოთამაშეებს შესაბამისი მატჩის ანგარიში ჩაეთვლებათ გამოცნობილად. თუ არ ჩატარდა ორი ან მეტი მატჩი — ტირაჟი გამოცხადდება გაუქმებულად. ბილეთის ღირებულება უკან დაბრუნდება. არჩატარებულად ჩაითვლება:

1) მატჩი, რომელიც არ ჩატარდება (დამთავრდება) მომდევნო ტირაჟის ბილეთების რეგისტრაციის (ჩაბარების) ვადის ამოწურვამდე;

2) მატჩი, რომელიც დაიწყება შესაბამისი ტირაჟის ბილეთების რეგისტრაციის (ჩაბარების) ვადის ამოწურვამდე.

ბილეთები იყიდება მეტროს სადგურებთან (ში): დელისი, პოლიტექნიკური, მარჯანიშვილი, ახმეტელი, სამგორი. ბილეთების (2 ვარიანტი) ფასი 30 თეთრი.

მოგება გაიცემა მისამართზე: ხეთაგუროვის 2, მესამე სართ. ფირმა „ესკიზი“ (11.00-დან 14.00 სთ-მდე). თან იქონიეთ პასპორტი.

მიმდინარეობს ლინგოფონური


ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

## ტოტალიზატორი "CROCO"

ესპანეთის ჩემპიონატი. 33-ე ტური
27 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ატლეტიკი — კომპოსტელა | 1,6 | 2,8 | 3,2 |
| ვალენსია — სალამანკა | 1,1 | 3,2 | 8,0 |
| 0:2 | 1,9 | 3,5 | 1,9 |
| ბარსელონა — ტენერიფე | 1,25 | 2,8 | 6,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,5 | 1,9 |
| ბეტისი — ალბასეტე | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| 0:1 | 1,8 | 3,5 | 2,0 |
| რეალი — სანტანდერი | 1,1 | 3,2 | 8,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,5 | 2,4 |
| რაიო ვალეკანო — ატლეტიკო | 4,0 | 3,0 | 1,4 |
| 1:0 | 1,8 | 3,5 | 2,0 |
| სარაგოსა — ხიხონი | 1,3 | 3,0 | 5,0 |
| 0:1 | 2,2 | 3,5 | 1,7 |
| მერიდა — სევილია | 1,8 | 2,7 | 2,7 |
| ვალიადოლიდი — ესპანიოლი | 2,0 | 2,5 | 2,5 |
| დეპორტივო — სელტა | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,5 | 1,9 |
| 28 მარტი | | | |
| ოვიედო — სოსიედადი | 1,9 | 2,6 | 2,6 |

საერთაშორისო ამხანაგური მატჩები
27 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბელგია — საფრანგეთი | 2,6 | 2,8 | 1,8 |
| შოტლანდია — ავსტრალია | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| ავსტრია — შვეიცარია | 2,0 | 2,5 | 2,5 |
| ხორვატია — ისრაელი | 1,1 | 3,2 | 8,0 |
| პორტუგალია — საბერძნეთი | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| გერმანია — დანია | 1,4 | 2,7 | 4,7 |
| ინგლისი — ბულგარეთი | 1,4 | 2,8 | 4,4 |
| ირლანდია — რუსეთი | 2,0 | 2,5 | 2,5 |
| ჩეხეთი — თურქეთი | 1,4 | 2,8 | 4,4 |

ფსონების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

## CROCO-2

### ტირაჟი № 15

(27-28 მარტი)

1. ატლეტიკო — კომპოსტელა
2. ვალენსია — სალამანკა
3. ბეტისი — ალბასეტე
4. რეალი — სანტანდერი
5. ვალეკანო — ატლეტიკო
6. სარაგოსა — ხიხონი
7. მერიდა — სევილია
8. ვალიადოლიდი — ესპანიოლი

## თამაშის წესები

თამაშში მონაწილის მიზანია გამოიცნოს მატჩის ძირითადი დროის შედეგი. მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტი ყოველ შესაძლო შედეგზე. შედეგის გამოცნობის შემთხვევაში მიიღებთ თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია. ფსონები მიიღება მატჩის ანგარიშის გამოცნობაზეც (კოეფიციენტი — 4,0). ფსონის მინიმალური თანხაა — 50 თეთრი.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩზე ერთდროულად. თუ ფსონს ჩამოხვალთ რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, თქვენი კოეფიციენტი ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს შეადგენს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე).

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში და, შესაბამისად, მატჩის შედეგიც განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ერთი და იგივე მატჩის შეტანა ერთ ვარიანტში ორი სხვადასხვა სახით (მაგ: ლაციო — პარმა 1, და ლაციო — პარმა 3-0) არ შეიძლება, კოეფიციენტები არ გამრავლდება. კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზებისთვის: შედეგი — შედეგზე, თასის ალება — თასის ალებაზე და ა.შ.

თუ მატჩი ჩატარდა დანიშნულ თარიღზე ადრე, მატჩის ჩატარების შემდეგ ჩამოსული ფსონები, მიუხედავად მასში აღნიშნული შედეგისა, დაბრუნდება უკან. ფსონები უქმდება მაშინაც, თუ მატჩი გადაიდო, შეიცვალა მასპინძელი გუნდი ან არ დამთავრდა (ჩაიშალა). თუ ასეთი მატჩები შეტანილია სხვა მატჩებთან ერთად ორ ვარიანტში, მაშინ ვარიანტი განიხილება ამ თამაშის გარეშე. თუ მატჩი დამთავრდა, მისი შედეგი დაფიქსირდა, შემდეგ კი იგი გაპროტესტდება და გადათამაშდება, მოგებები გაიცემა პირველი მატჩის შედეგის მიხედვით. თუ ფსონი დადებულია გუნდის შემდგომ ეტაპზე გასვლაზე და თამაშის შედეგად გუნდი გავა კიდევაც, შემდეგ კი რაიმე სანქციების გამო შემდეგ ეტაპზე გასულად სხვა გუნდი ჩაითვლება, მოგებები გაიცემა თამაშის შედეგად შემდეგ ეტაპზე გასულ გუნდზე. თუ ტურში არ ჩატარდება რომელიმე მატჩი, ფსონი კი დადებულია გატანილი გოლების რაოდენობაზე, მოგება გაიცემა ან ფსონი წაგებულად ჩაითვლება, თუ ამ მატჩის შედეგი გავლენას ველარ ახდენს პროგნოზის გამოცნობაზე. სხვა შემთხვევაში ფსონი ბრუნდება უკან.

მოთამაშე პასუხისმგებელია ქვითრის სწორად შევსებისთვის. თუ ქვითრის ორი ნაწილი განსხვავებულად არის შევსებული, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ტოტალიზატორში ჩაბარებულ ნაწილს.

მოგებები გაიცემა და ფსონები უკან ბრუნდება ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ, ქვითრის გარეშე და არასწორად ან არასრულად შევსებულ ქვითრებზე მოგებები არ გაიცემა. თუ ქვითარში არ არის მითითებული თანხა, ფსონები ჩაითვლება მისი მინიმალური ოდენობით (50 თეთრი).

**ფსონები მიიღება: სამშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს, შაბათს და კვირას 13-დან 16 საათამდე სასტუმრო „აჭარის" ფოიეში.**

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ALBACETE BALOMPIE | ■ | 0-0 | | 2-0 | | 1-3 | 1-0 | 1-1 | 1-2 | 1-1 | | | 0-1 | 3-5 | 0-0 | 3-3 | 3-2 | | 1-3 | 4-2 | 4-0 | 2-0 |
| 2 | RCD ESPAÑOL BARCELONA | 1-0 | ■ | | 3-0 | | 0-0 | | 0-2 | | 3-1 | | 1-0 | 1-1 | [illegible] | [illegible] | 3-1 | 0-1 | 2-1 | [illegible] | 2-0 | 2-2 | [illegible] |
| 3 | FC BARCELONA | 3-0 | 2-1 | ■ | 4-1 | 1-0 | 1-0 | 1-1 | | 2-0 | 3-0 | 4-1 | 1-1 | 3-1 | | 1-0 | 4-1 | | | 1-0 | 1-0 | | 2-2 |
| 4 | ATHLETIC DE BILBAO | | 0-0 | 0-0 | ■ | | 2-1 | 1-0 | 0-2 | | 0-5 | 0-1 | 4-0 | 1-0 | 0-0 | 0-1 | | 1-1 | | 0-1 | 2-1 | 3-0 | 1-1 |
| 5 | SD COMPOSTELA | 3-1 | 2-1 | 2-1 | 2-1 | ■ | 1-0 | 4-0 | | 1-0 | 3-3 | 4-1 | 2-0 | 3-2 | | 1-2 | 0-0 | | | | 1-3 | 1-1 | 1-0 |
| 6 | SPORTING GIJON | 3-0 | 2-3 | | 1-2 | | ■ | 1-1 | 1-2 | | 0-0 | | 4-2 | 4-1 | 1-1 | 2-3 | 3-2 | 3-1 | | 1-3 | 4-2 | 1-0 | 3-1 |
| 7 | DEPORTIVO LA CORUÑA | 5-0 | 0-1 | | | 2-0 | 1-0 | ■ | 2-2 | | 3-0 | | 2-3 | 2-3 | 1-1 | 0-0 | 2-0 | 3-2 | 1-1 | 3-0 | 3-1 | | |
| 8 | ATLETICO DE MADRID | | 2-1 | 3-1 | 4-1 | 3-0 | 2-0 | 1-0 | ■ | 0-0 | | 3-0 | 2-0 | | 4-1 | | | 0-1 | 3-1 | | 0-2 | 3-2 | 1-1 |
| 9 | RAYO VALLECANO | 2-0 | 1-0 | 1-1 | | 0-1 | 2-0 | 0-6 | | ■ | 1-5 | 1-2 | 1-2 | | 2-0 | 1-2 | 1-4 | | 2-4 | 3-2 | | | 4-1 |
| 10 | REAL MADRID CF | 2-0 | | 1-1 | 1-2 | 2-1 | | | 1-0 | 1-2 | ■ | 2-3 | | 2-2 | 3-2 | 4-2 | 5-0 | 4-1 | 2-0 | 0-0 | 4-1 | 1-0 | |
| 11 | REAL OVIEDO | 1-0 | 1-2 | 1-2 | 0-0 | 3-1 | 1-0 | 0-2 | | 2-0 | 1-2 | ■ | 2-1 | 1-1 | | 0-1 | 2-2 | | 1-3 | 0-1 | | | 0-0 |
| 12 | RACING SANTANDER | 5-5 | 1-1 | | 1-1 | | 1-1 | 2-1 | 0-4 | | 2-0 | | ■ | 0-0 | | 0-0 | 2-1 | 1-1 | | 0-3 | 0-0 | 2-1 | 2-0 |
| 13 | REAL ZARAGOZA | 3-1 | | 0-3 | | 1-0 | | | 0-1 | 1-1 | | 1-0 | 1-2 | ■ | 1-2 | 1-2 | 1-1 | 0-1 | 0-2 | 4-1 | 5-3 | 0-0 | |
| 14 | REAL SOCIEDAD | | 0-1 | 1-1 | | 0-1 | 2-0 | 2-1 | 1-0 | 2-1 | | 1-1 | 2-1 | 3-1 | ■ | | | 1-0 | 0-1 | | 1-0 | 3-1 | 1-2 |
| 15 | REAL BETIS SEVILLA | | | 1-5 | 0-0 | 5-0 | | | 2-1 | 0-0 | 0-0 | 2-1 | | 3-1 | 3-1 | ■ | 4-0 | 1-1 | 3-3 | 3-0 | 3-0 | 0-3 | 0-1 |
| 16 | SALAMANCA | | 2-2 | | 2-1 | | | 0-5 | 1-3 | 1-2 | 0-2 | 0-1 | | 0-1 | 3-3 | 2-1 | ■ | 4-1 | 1-2 | 4-0 | 0-0 | 0-1 | 2-2 |
| 17 | SEVILLA FC | 1-1 | 0-3 | 1-0 | 1-1 | 0-1 | 2-0 | 0-0 | 0-0 | 1-0 | | 1-1 | 0-1 | | 2-1 | | | ■ | 0-1 | | | 0-0 | 3-0 |
| 18 | CD TENERIFE | 1-3 | 1-4 | 1-1 | 3-2 | 1-1 | 3-0 | 1-1 | | 2-2 | 3-0 | 3-3 | 2-0 | 1-2 | | 1-2 | | 4-2 | ■ | | 1-0 | 1-0 | 1-0 |
| 19 | VALENCIA CF | | | 4-1 | 3-1 | 5-2 | | 2-1 | 0-1 | 3-0 | 4-3 | 3-1 | | 0-0 | 0-1 | 1-1 | | 1-0 | | ■ | 1-0 | 3-0 | 4-1 |
| 20 | REAL VALLADOLID | 3-0 | | 0-2 | 2-2 | 0-0 | 1-0 | | 0-1 | 1-1 | | 2-2 | 3-1 | | 3-0 | | 1-0 | 3-3 | 3-0 | 2-5 | ■ | 1-1 | 1-1 |
| 21 | RC CELTA VIGO | 2-2 | 4-2 | 1-0 | | 0-1 | 0-0 | 0-0 | 0-3 | 2-0 | | 1-0 | 0-0 | | 1-1 | | 2-1 | 4-0 | 2-2 | | | ■ | 2-0 |
| 22 | MERIDA | 1-1 | 0-1 | 0-0 | | 0-2 | 1-0 | 0-2 | 0-1 | | 2-2 | | 3-1 | 1-1 | 1-2 | 1-1 | 0-0 | | 2-0 | 0-2 | | | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | BAYER 04 LEVERKUSEN | ■ | 2-1 | 1-2 | 1-1 | 0-0 | 2-0 | 0-1 | | 0-1 | 2-0 | | | | | 1-1 | 0-0 | 0-0 | 2-2 |
| 2 | BAYER UERDINGEN | | ■ | 1-6 | 0-2 | | 1-1 | | 1-3 | 1-1 | 1-1 | 1-1 | | 1-1 | 2-0 | 2-5 | 1-1 | 3-4 | 3-0 |
| 3 | FC BAYERN MÜNCHEN | 1-0 | 2-0 | ■ | | 1-2 | | 2-0 | | 3-2 | | 2-0 | 1-4 | | 4-2 | | 4-0 | 5-3 | 2-0 |
| 4 | BORUSSIA DORTMUND | | | 3-1 | ■ | 2-1 | 6-0 | | 3-0 | | 1-2 | 1-1 | 4-1 | 3-0 | 3-1 | 1-0 | | 6-3 | |
| 5 | BORUSSIA MÖNCHENGLADBACH | 0-0 | 2-1 | | 2-2 | ■ | 4-1 | 1-0 | | 1-2 | 3-2 | | | | | 2-4 | 4-1 | | 1-0 |
| 6 | EINTRACHT FRANKFURT | 1-1 | 1-0 | 4-1 | 3-4 | | ■ | 0-1 | 3-0 | | | 3-1 | 2-2 | 1-0 | 4-2 | 2-2 | | | |
| 7 | SC FREIBURG | | 1-1 | 3-1 | 0-1 | 0-0 | 2-0 | ■ | | 0-3 | 2-1 | | | 2-0 | | 0-2 | 1-2 | 2-1 | 0-1 |
| 8 | FORTUNA DUSSELDORF | 1-1 | 1-0 | 0-2 | | 3-2 | | 0-0 | ■ | 2-2 | 2-2 | | 2-0 | 1-1 | | | 2-0 | 1-2 | 1-1 |
| 9 | HAMBURGER SV | | | 2-1 | 2-2 | | 5-1 | | 4-1 | ■ | 1-1 | 1-0 | 0-0 | 0-0 | 2-2 | 1-0 | 1-1 | | 3-3 |
| 10 | HANSA ROSTOCK | 1-2 | | 0-0 | 3-2 | 2-3 | 1-1 | | 0-0 | | ■ | 3-0 | | | | 2-0 | | 3-3 | |
| 11 | 1. FC KAISERSLAUTERN | 1-0 | | 2-3 | 1-1 | 1-3 | 1-1 | 1-2 | 2-0 | | | ■ | 2-2 | 1-1 | 0-0 | 0-0 | | 1-1 | 0-0 |
| 12 | KARLSRUHER SC | 1-4 | 2-0 | 2-6 | | 4-0 | 1-1 | 1-1 | 3-1 | 3-1 | 0-2 | | ■ | 1-0 | | | 0-1 | 1-2 | 1-1 |
| 13 | 1. FC KÖLN | 2-2 | 0-0 | 0-0 | | 0-2 | | 1-1 | 0-0 | 3-2 | 3-0 | | 0-1 | ■ | 2-0 | | 0-1 | 2-2 | |
| 14 | TSV 1860 MÜNCHEN | 0-1 | | 0-2 | | 4-0 | 3-1 | 3-0 | 2-1 | | 1-1 | | 1-1 | 2-1 | ■ | 2-0 | 1-1 | 1-1 | 1-1 |
| 15 | ST. PAULI HAMBURG | | | 0-1 | 0-3 | 0-2 | | 1-1 | 2-1 | | | 1-2 | 1-1 | 3-3 | 4-2 | ■ | | 1-3 | |
| 16 | FC SCHALKE 04 | | 1-1 | | 1-2 | | 2-0 | | 1-1 | 3-0 | 1-3 | 1-1 | 2-1 | 0-0 | 1-1 | 2-0 | ■ | | 2-1 |
| 17 | VfB STUTTGART | 1-4 | 0-0 | | 0-5 | 5-0 | 3-2 | 3-1 | | 3-0 | | 2-0 | | | 2-3 | | 2-2 | ■ | 1-1 |
| 18 | WERDER BREMEN | | 1-0 | | 2-2 | | 1-1 | 0-2 | 1-1 | 2-1 | 0-2 | 1-1 | 1-0 | 0-1 | 2-0 | 1-1 | | | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ATALANTA | ■ | | | 1-1 | 1-3 | 1-1 | 0-1 | | 0-1 | 1-3 | | 1-1 | 2-0 | 2-1 | 3-2 | | 0-0 | 3-1 |
| 2 | BARI | 1-3 | ■ | 3-0 | | 1-1 | 4-1 | | 3-3 | 1-0 | 1-1 | | 1-1 | 0-0 | | 1-3 | 2-2 | | 0-2 |
| 3 | CAGLIARI | 2-0 | 4-2 | ■ | 1-0 | 0-0 | | 0-0 | 0-1 | | 2-0 | 0-1 | | | 0-2 | 3-0 | 1-0 | 4-1 | |
| 4 | CREMONESE | 1-1 | 7-1 | 3-1 | ■ | 0-0 | | 3-3 | | 0-0 | 1-1 | 2-1 | 0-2 | | 0-1 | 0-0 | 1-1 | 2-2 | |
| 5 | FIORENTINA | | 3-2 | 3-1 | 3-2 | ■ | 1-1 | | 2-0 | 2-2 | 3-0 | | 1-0 | 2-1 | | 2-2 | 2-0 | 3-0 | 1-1 |
| 6 | INTER | 1-0 | | 4-0 | 2-0 | | ■ | | 0-0 | 1-1 | 4-0 | | 1-1 | 0-0 | 2-0 | | 4-0 | 2-1 | 1-0 |
| 7 | JUVENTUS | | 1-1 | 4-1 | 4-1 | 1-0 | 1-0 | ■ | 4-2 | 1-1 | 1-1 | 3-1 | | 2-0 | 0-2 | | 5-0 | | 1-0 |
| 8 | LAZIO | 5-1 | 4-3 | 4-0 | 2-1 | | 0-1 | 4-0 | ■ | 0-1 | | 2-0 | | 4-1 | 1-0 | 6-3 | 1-1 | 2-2 | |
| 9 | MILAN | 3-0 | 3-2 | 3-2 | | | 0-1 | 2-1 | | ■ | 0-0 | 1-0 | | 3-0 | 3-1 | 3-0 | 1-1 | 2-1 | 4-0 |
| 10 | NAPOLI | 2-0 | 1-0 | | 0-0 | 0-2 | 2-1 | 0-1 | 1-0 | | ■ | 2-0 | 1-1 | 0-0 | 0-2 | | | | 1-1 |
| 11 | PADOVA | 3-2 | 3-0 | | | 0-1 | 2-1 | 0-5 | 1-3 | 1-2 | 4-2 | ■ | 1-3 | 1-1 | | 1-1 | 1-1 | | 3-2 |
| 12 | PARMA | 2-0 | | 4-0 | | 3-0 | 2-1 | 1-1 | 2-1 | 0-0 | | 2-1 | ■ | 3-2 | 1-1 | 1-0 | | 1-0 | 0-1 |
| 13 | PIACENZA | 2-2 | 3-2 | 1-1 | 2-1 | | 1-0 | 0-4 | 2-1 | | 0-1 | | 2-1 | ■ | 1-0 | 3-2 | | 0-2 | |
| 14 | ROMA | 0-1 | 2-1 | 1-1 | 3-0 | 2-2 | | | 0-0 | 1-2 | | 2-0 | 1-1 | | ■ | 3-1 | 1-0 | | 1-1 |
| 15 | SAMPDORIA | | | 1-2 | 2-0 | 2-1 | 0-0 | 2-0 | | | 2-2 | 3-1 | 3-0 | 3-0 | 1-1 | ■ | 1-0 | 1-0 | 2-2 |
| 16 | TORINO | 0-1 | 3-1 | | | 0-3 | 0-1 | | | | 0-0 | 2-0 | 2-2 | 4-2 | 2-2 | 1-1 | ■ | 2-0 | 1-0 |
| 17 | UDINESE | 3-0 | 1-2 | 1-0 | 3-2 | | | 1-0 | 1-1 | 0-2 | 3-2 | 3-1 | 0-0 | | 1-1 | | 1-0 | ■ | 1-1 |
| 18 | VICENZA | | 2-0 | 0-1 | 1-0 | 1-0 | 1-1 | 2-1 | 1-0 | 1-1 | | 2-1 | | 1-1 | | | 2-1 | 0-1 | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | FC ARSENAL | ■ | 2-0 | 0-0 | | 1-1 | 1-1 | 1-2 | | | 3-1 | 1-0 | 1-1 | 2-0 | 1-1 | 3-0 | 4-2 | 4-2 | | 1-0 | 1-3 |
| 2 | ASTON VILLA | 1-1 | ■ | 2-0 | 1-0 | 0-1 | 4-1 | 1-0 | 3-0 | 0-2 | | 3-1 | 0-0 | 1-1 | 1-1 | 4-2 | 3-2 | | 2-1 | | 2-0 |
| 3 | BLACKBURN ROVERS | | 1-1 | ■ | 3-1 | 3-0 | 5-1 | | 1-0 | 2-3 | 2-0 | 1-2 | 1-0 | | 7-0 | 1-0 | 3-0 | 2-1 | 2-1 | 4-2 | |
| 4 | BOLTON WONDERERS | 1-0 | 0-2 | 2-1 | ■ | | 1-2 | 1-1 | 0-2 | 0-1 | | 0-6 | 1-1 | 1-3 | 1-1 | 0-1 | 2-1 | | | 0-3 | 1-0 |
| 5 | FC CHELSEA | 1-0 | | | 3-2 | ■ | 2-2 | 0-0 | | 2-2 | 1-1 | 1-4 | 5-0 | 1-0 | 1-0 | 1-1 | 0-0 | 3-0 | 0-0 | 1-2 | 1-2 |
| 6 | COVENTRY CITY | 0-0 | 0-3 | 5-0 | 0-2 | 1-0 | ■ | 2-1 | | | 2-1 | 0-4 | 0-0 | 0-1 | 1-1 | | 0-1 | 1-1 | 2-3 | 2-2 | 3-3 |
| 7 | FC EVERTON | 0-2 | | 1-0 | | 1-1 | 2-2 | ■ | 2-0 | | 2-0 | 2-3 | 4-0 | 1-3 | 3-0 | 2-0 | 2-2 | 2-0 | 1-1 | 3-0 | 2-4 |
| 8 | LEEDS UNITED | 0-3 | 2-0 | 0-0 | 0-1 | 1-0 | 3-1 | 2-2 | ■ | 1-0 | 0-1 | 3-1 | | | | 1-3 | 2-0 | | | 2-0 | 1-1 |
| 9 | FC LIVERPOOL | 3-1 | 3-0 | 3-0 | 5-2 | 2-0 | 0-0 | 1-2 | 5-0 | ■ | 6-0 | 2-0 | | | 4-2 | 1-0 | 1-0 | 1-1 | 0-0 | | 2-2 |
| 10 | MANCHESTER CITY | 0-1 | 1-0 | 1-1 | 1-0 | 0-1 | 1-1 | 0-2 | 0-0 | | ■ | | 0-1 | 3-3 | 1-1 | 2-0 | | 2-1 | 1-1 | 2-1 | 1-0 |
| 11 | MANCHESTER UNITED | | 1-1 | 1-0 | 3-0 | 1-1 | | | | 2-2 | 1-0 | ■ | 2-0 | 2-0 | | 2-1 | 2-2 | 4-1 | | 2-1 | 3-1 |
| 12 | MIDDLESBROUGH | 2-3 | 0-2 | 2-0 | 1-4 | 2-0 | 2-1 | 0-2 | 1-1 | 2-1 | 4-1 | | ■ | 1-2 | 1-1 | 1-0 | | 0-0 | 0-1 | 4-2 | |
| 13 | NEWCASTLE UNITED | 2-0 | | 1-0 | 2-1 | 2-0 | 3-0 | 1-0 | 2-1 | 2-1 | 3-1 | 0-1 | 1-0 | ■ | 3-1 | | 2-0 | | | 3-0 | 6-1 |
| 14 | NOTTINGHAM FOREST | 0-1 | 1-1 | | 3-2 | 0-0 | | 3-2 | 2-1 | 1-0 | 3-0 | 1-1 | 1-0 | | ■ | | 1-0 | 1-0 | | 1-1 | 4-1 |
| 15 | QUEEN'S PARK RANGERS | 1-1 | 1-0 | 0-1 | 2-1 | 1-2 | 1-1 | | 1-2 | 1-2 | 1-0 | 1-1 | 1-1 | 2-3 | 1-1 | ■ | 0-3 | | 2-3 | | 0-3 |
| 16 | SHEFFIELD WEDNESDAY | | 2-0 | 2-1 | 4-2 | | 4-3 | | 6-2 | 1-1 | 1-1 | 0-0 | 0-1 | 0-2 | 1-3 | 1-3 | ■ | 2-2 | 1-3 | 0-1 | 2-1 |
| 17 | FC SOUTHAMPTON | 0-0 | 0-1 | | 1-0 | 2-3 | | 2-2 | 1-1 | 1-3 | 1-1 | | 2-1 | 1-0 | 3-4 | 2-0 | | ■ | 0-0 | 0-0 | |
| 18 | TOTTENHAM HOTSPUR | 2-1 | 0-1 | 2-3 | 2-2 | | | 0-0 | 2-1 | 1-3 | 1-0 | 4-1 | | 1-1 | 0-1 | 1-0 | 1-0 | 1-0 | ■ | 0-1 | 3-1 |
| 19 | WEST HAM UNITED | 0-1 | 1-4 | 1-1 | | 1-3 | 3-2 | 2-1 | 1-2 | 0-0 | 4-2 | 0-1 | 2-0 | | 1-0 | 1-0 | | 2-1 | 1-1 | ■ | |
| 20 | FC WIMBLEDON | 0-3 | 3-3 | 1-1 | 3-2 | 1-1 | | 2-3 | 2-4 | 1-0 | | 2-4 | 0-0 | 3-3 | | 2-1 | 2-2 | 1-2 | 0-1 | 0-1 | ■ |

# DREAM TEAM III




იმაში, რომ ატლანტის ოლიმპიადაზე ამერიკელები კალათბურთში ოქროს მედლებს მოიპოვებენ, ეჭვი არავის ეპარება. საკითხავი მხოლოდ ისაა, ისეთივე ძლიერია თუ არა „დრიმ თიმ III", როგორიც მისი წინამორბედი ორი ოცნების გუნდი იყო? 1992 წელს ბარსელონის ოლიმპიადაზე თამაშობდნენ ლეგენდარული „მეჯიქ" ჯონსონი, ლარი ბერდი და მაიკლ ჯორდანი. 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ტორონტოში — შაკილ ონილი, ლარი ჯონსონი და ალონზო მურნინგი. ამერიკული კალათბურთის სპეციალისტებს თუ დავუჯერებთ, „დრიმ თიმ III" I-სა და II-ის ოპტიმალური ნაზავია. ორი კალათბურთელის ვინაობა ჯერჯერობით უცნობია, მწვრთნელი მათ შემდგომ დაასახელებს.

ქვემოთ აშშ-ს ოლიმპიური ნაკრების უკვე შერჩეული 10 წევრის ვინაობას გაგაცნობთ.

1. **კარლ მელოუნი**. „იუტა ჯაზი". ბოლო ათი წლის ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელია. მეტსახელად „ფოსტალიონი". 2,06 მეტრი სიმაღლისაა და თანაგუნდელ ჯონ სტოქტონთან ერთად NBA-ში საუკეთესო დუეტს შეადგენს. ბოლო დროს დახვეწა საშუალო მანძილიდან სროლის ტექნიკა.

2. **დევიდ რობინსონი**. „სან ანტონიო სპურზი". 2,13 მეტრიანი „ადმირალი" ჭეშმარიტი ცენტრია, მაგრამ სისწრაფე და მოქნილობა თავდამსხმელისა აქვს. იგი NBA-ს ბოლო სეზონის „უძვირფასეს მოთამაშედ" აღიარეს.

3. **გრანტ ჰილი**. „დეტროიტ პისტონზი". სიმაღლე 2,03 მეტრი. თამაშობს „სმოლ ფორვარდის" პოზიციაზე და ხშირად სკოტი პიპენს ადარებენ. კარგ ასისტენტობას უწევს თანაგუნდელებს.

4. **სკოტი პიპენი**. „ჩიკაგო ბულზი". სიმაღლე 2,01 მეტრი. უნივერსალური კალათბურთელია. კარგი გამთამაშებელია, ჩინებულად ისვრის საშუალო მანძილიდან. სისწრაფისა და მაღალი ნახტომის წყალობით მეტოქეთათვის ძნელი შესაჩერებელია. წლევანდელი სეზონი მისთვის საუკეთესოა.

5. **ჰაკიმ ოლაჯუონი**. „ჰიუსტონ როკიტსი". სიმაღლე 2,13 მეტრი. მეტსახელი „ოცნების ჰაკიმი". სუსტი მხარეები არ გააჩნია. მისი სიმაღლისთვის საოცრად მოძრავია. ჩინებულად თამაშობს დაცვაში. ბოლო ათწლეულის ერთ-ერთი უძლიერესი კალათბურთელია.

6. **ანფერნი ჰარდევეი**. „ორლანდო მეჯიქი". მისი პასები „დრიმ თიმ I"-ში მოთამაშე „მეჯიქ" ჯონსონისას მოგვაგონებს. NBA-ში კარგი მცველისა და ფარიდან ასხლეტილი ბურთების მომპოვებლის სახელი აქვს გავარდნილი.

7. **რეჯი მილერი**. „ინდიანა პეისერსი". ყველა გუნდს სჭირდება სათანადო მცველი. მილერი მათ შორის ერთ-ერთი საუკეთესოა. კარგად თამაშობს ბურთის გარეშეც, ამის გამო სტოქტონს და ჰარდევეის ბევრჯერ ექნებათ შანსი მისთვის პასის მიცემისა.

8. **შაკილ ონილი** „ორლანდო მეჯიქი". სიმაღლე 2,16 მეტრი. ვერავინ ტენის ფარში ბურთს ისე ძლიერად, როგორც ეს 140 კილოიანი გოლიათი. მეტოქეები აქედანვე შეჩვეულნი არიან, რომ შაკის შეტევის შეჩერება შეუძლებელია.

9. **ჯონ სტოქტონი**. „იუტა ჯაზი". წინა სეზონში NBA-ს ყველა დროის საუკეთესო ასისტენტი გახდა. შედეგიანი პასების რაოდენობით მან ირვინ „მეჯიქ" ჯონსონს გაუსწრო. წლების მანძილზე კარლ მელოუნის და მისი დუეტი NBA-ში საუკეთესოდ ითვლებოდა.

10. **გლენ რობინსონი**. „მილუოკი ბაქსი". მეტსახელად „დიდი ძაღლი". თამაშობს ფრთაზე, მაგრამ თავდამსხმელის ფუნქციის შესრულებაც მაღალ დონეზე შეუძლია.



## საშინაო მიღწევა

### რუმინეთიდან

დაგვიბრუნდა ქვეყნის [illegible] კაცთა ნაკრები, რომელიც იქ საწვრთნელი მატჩების გასამართად იყო.

ჩვენები სხვადასხვა რანგის სამ გუნდს ეთამაშნენ: პირველი, უსუსტესი, ათიოდე ქულით დაამარცხეს, მეორესთან, კლუბთან, ხუთიოდე ქულით დამარცხდნენ, მესამესთან, მასპინძელთა ერთ-ერთ ნაკრებთან კი — სამი-ოთხი ქულით.

თამაშები დათოვლილ მოედნებზე გამართულა. მეორე მატჩში ფეხის მძიმე ტრავმა მიუღია გუჯა იოვაძეს („თბილისი").

ნაკრებმა ტურნე გამოიყენა ფირა-ს პირველობის გადამწყვეტი მატჩისათვის მოსამზადებლად. ჩვენები ხომ ჩეხეთს წითელ პარასკევს, 12 აპრილს, ქუთაისში უმასპინძლებენ და თუ გაიმარჯვებენ, შემოდგომიდან ფირა-ს პირველობის „ა" კლასში იასპარეზებენ.

**დადგენილა** შვიდკაცას საგაისო მსოფლიო თასის (მარტი, ჰონკონგი) შესარჩევი ტურნირების ფორმულა.

მსოფლიო რაგბის მმართველ „ბებერ მუცლის ქარებს" ისეთი სისტემა მოუფიქრებიათ, საქართველოს რაგბის კავშირმა მსგავსი რამ რომ შესთავაზოს თავის წევრ კლუბებს, ესენი უეჭველად სასაცილოდ აიგდებენ.

საქართველო ლისაბონის შესარჩევ ტურნირშია გამწესებული. იქ სულ 24 გუნდია, რომელთაგანაც საჰონკონგოდ რვა უნდა შეირჩეს.

შეჯიბრება შაბათ-კვირას, 1-2 ივნისს იმართება. შაბათის ქვეჯგუფთა შემადგენლობა ამთავითვე ცნობილი. ჩვენი მეტოქეები ნამიბია და ავსტრია არიან.

ფორმულა-1-ის ავტორბოლისა არ იყოს, შაბათის შეჯიბრი საკვირაოსთვის ოდენ კვალიფიკაცია ყოფილა. საწყისი ქვეჯგუფების თამაშების შედეგთა მიხედვით თურმე 24-ვე გუნდს ჩამოაწიკწიკებენ ერთ დიდ ცხრილად, აქედან კი კვირისთვის ისევ რვა სამ-სამ გუნდიან ჯგუფს შეაკოწიწებენ.

სწორედ ამ ჯერაც უცნობი ჯგუფების გამარჯვებულებს ერგებათ ჰონკონგის საგზურები. მაგრამ ამით ლისაბონის შეჯიბრი როდი დასრულდება: კვირის ჯგუფების გამარჯვებულები ოლიმპიური სისტემით შეეცილებიან ერთმანეთს თასს, მეორე ადგილებზე დარჩენილები კი — სანუგეშო ლანგარს. ერთი სიტყვით, 24 მონაწილიდან მავან ოთხს კვირას ხუთ-ხუთი მატჩის გამართვა მოუწევს.

**ლისაბონის** შეჯიბრამდე ერთი კვირით ადრე ვიიახოიაში (ალიკანტე, ესპანეთი) მეათედ ეწყობა ბენიდორმის შვიდკაცა, რომელიც ბევრ გუნდს გასახურებელ შეჯიბრად შეუგულებია. იქ ჩვენების გარდა უკრაინა, ბულგარეთი, ესპანეთი, უნგრეთი, პორტუგალია, კორეა, ირლანდია, ნამიბია და შვეიცარიაც აპირებენ თამაშს. სავარაუდო ლისაბონელ კონკურენტთაგან არ ჩანან მხოლოდ ზელანდია, კანადა, რუმინეთი, ლატვია და პოლონეთი.

**ქვეყნის ჩემპიონატი** 16 აპრილს იწყება. თბილისის „უნივერსიტეტი" უმცროს, „ბ" ჯგუფში კი თამაშობს, მაგრამ მის გარდა ვერავინ დაიკვეხნის სანაქებო ტრადიციას: აგერ უკვე მეოთხე წელია, უნივერსიტეტელები არ უფრთხიან ჭირვეულ მარტს და ზუსტად 15-ში მართავენ „ახლანდელი უნივერსიტეტისა" და „ყველა დროის უნივერსიტეტის" თამაშს, ბანკეტით რომ მთავრდება ხოლმე.

წელს თამაში ფიზკულტურისა და სპორტის აკადემიის საფეხბურთო სტადიონზე გაიმართა. „ბებრებმა" 13 (2ლ, ს) : 12 (2ლ, გ) გაიმარჯვეს, თუმც კი ბოლო წუთზე „ჯეელებს" არეკნი რომ არ გასცუდებოდათ, მოიგებდნენ, რაც პრინციპულად არაფერს შეცვლიდა — თამაში ხომ ალალად ამხანაგური იყო.

* * * იყიდება* * *

-- ქუთაისის იატაკის წითელი ხადებავი

-- ოლიფა

-- ახალი ელექტრო-შალაშინი

ტელ: 95 2256 (საღამოს)

## რუსეთის ჩემპიონატი გუდაურში!

გუდაურში ახულს ჩვენი სინამდვილისთვის ერთობ უჩვეულო ამბავი დამხვდა: რუსეთის სამთო-სათხილამურო სპორტის მამები აქ თავისი ქვეყნის ჩემპიონატს ატარებდნენ. თუმცა სასტუმრო „გუდაურში" შესვლა უცხო პირთათვის „სასტიკად აკრძალული იყო", როგორც მედიის მსახურს ანგარიში გამიწიეს და სასტუმროს დირექტორის შემწეობით რუსეთის სამთო-სათხილამურო სპორტისა და სნოუბორდის ფედერაციის გენერალურ მდივან ნინა სტარშინოვას გავესაუბრე. ეს ქალბატონი რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელიცაა.

— რუსეთის ღია ჩემპიონატი FIS-ის (სამთო-სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაცია) ეგიდით ტარდება. ნებისმიერი ქვეყნის სპორტსმენს შეუძლია შეჯიბრში მონაწილეობა. აქ მეორე ეტაპი გაიმართება. პირველი ციმბირში, კმეროვოს ოლქში ჩატარდა. გუდაურში მოთხილამურეები სწრაფდაშვებაში და სუპერ-გიგანტში იასპარეზებენ. მონაწილეობის სურვილი ყირგიზეთმა, სომხეთმა, საქართველომ და უკრაინამ გამოთქვეს. გარდა ამისა, სამ ავსტრიელ მოთხილამურესაც ველოდებით. რუსეთიდან სულ 37 კაცი და 15 ქალი ჩამოვა. გამონაკლისი მხოლოდ ჩვენი ნაკრების ლიდერი და პირველი ეტაპის გამარჯვებული ზილენსკაია იქნება — მას მხრის ოპერაცია გაუკეთეს. მის გარდა, გუდაურში ყველა უძლიერესი შეიკრიბება.

რუსი მოთხილამურეები 23 მარტს ჩამოვიდნენ ჩარტერული რეისით და 24-ში უკვე ვარჯიშსაც შეუდგნენ. FIS-ის წარმომადგენელი შეჯიბრზე ავსტრიელი ვოლფგანგ მიტერი იქნება.

— რატომ აირჩიეთ რუსეთის ჩემპიონატის ჩატარების ადგილად გუდაური?

— თქვენს ფედერაციასთან დიდი ხნის მეგობრული ურთიერთობა გვაქვს. სწორედ მათ შემოგვთავაზეს, ერთობლივად ჩაგვეტარებინა რაიმე შეჯიბრი. ჩვენც ვისარგებლეთ ამ წინადადებით. თანაც, არ ვაჭარბებ, გუდაურში სრიალი თუნდაც ერთხელ ნამყოფი ყველა სპორტსმენის ოცნებაა. ამას დაუმატეთ ქართული სტუმართმოყვარეობა და ჩინებული ორგანიზაცია. მსაჯების თქმით, ტრასაც საუცხოოა.

...რუსეთის ღია ჩემპიონატზე მოასპარეზე ქართველების ვინაობა იმ დროისთვის ჯერჯერობით უცნობი იყო.

**ერეკლე კიკილაშვილი**





მერაბ რატიშვილი

ბუდაპეშტიდან

## მხოლოდ ორი ლიცენზია

ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე გამართულ ფილას კონგრესზე საბოლოოდ დადგინდა, რომ თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ატლანტის ოლიმპიადის ლიცენზიას თითოეულ წონაში მიიღებს არა პერსონალურად მოჭიდავე, არამედ ქვეყანა. ამით ჩვენთვის აღნიშნულ საკითხს ნათელი მოეფინა, რადგან საქართველოს სპორტულ წრეებში ამის შესახებ სხვადასხვა ინფორმაცია მოდიოდა. როგორც გავიგეთ, სხვა ქვეყნებიც იგივე დღეში იყვნენ: არ იცოდნენ, რომელი ინსტრუქციისთვის დაეჯერებინათ. ამრიგად, თავისუფალ ჭიდაობაში ევროპის ჩემპიონატზე პირველ რვა ადგილზე გასულ მოჭიდავეებს თავიანთი ქვეყნებისათვის ოლიმპიური ლიცენზიები მოაქვთ.

ეს, რაც ხალიჩის მიღმა ხდება, ფალავნებს კი სულაც არ აღელვებთ კაბინეტებში მიმდინარე ამბები და ცალკე ჩემპიონატის მედლებისთვის, ცალკე კი ლიცენზიებისთვის იბრძვიან.

შეგახსენებთ, რომ 21-22 მარტს ასპარეზობაში 48, 57, 68, 82, და 100 კგ. წონის მოჭიდავეები ჩაებნენ. ქართველი ფალავნების 21 მარტის დღის შეხვედრების შესახებ წინა „სარბიელიდან" შეიტყობდით. ახლა დანარჩენებზე.

57 კგ. საქართველოდან აქამდე ერთადერთი დაუმარცხებელი გიორგი გაგიშვილი მეორე წრეში ბულგარელ სერაფიმ ბარზაკოვის შეხვდა და ერთი წუთის განმავლობაში ჩოქბჯენში ჰყავდა. იგი მეტოქის დატრიალებას ცდილობდა, მაგრამ ბულგარელს მისი ფეხი ეჭირა. მესამე წუთზე ბარზაკოვმა ფეხიდან აყვანით სამი ქულა გააკეთა. შემდეგ ინიციატივა მთლიანად აიღო და გაგიშვილი 2.11 წუთის მანძილზე ხიდურზე ჰყავდა გაყვანილი. ქართველი თავს კარგად იცავდა და ბეჭები ხალიჩაზე არ დაუდია. ამის მიუხედავად, მაინც ბარზაკოვმა მოიგო — 6:0.

მესამე წრეში გაგიშვილი აზერბაიჯანელ არიფ აბდულაევს დაეჭიდა. ქართველი ორჯერ აღმოჩნდა ჩოქბჯენში, ერთხელაც მეტოქემ სამქულიანი გდება გაუკეთა. აბდულაევი ამას არ დასჯერდა და დამთავრებამდე 1.10 წუთით ადრე აშკარა უპირატესობით მოიგო. გაგიშვილი ტურნირს გამოეთიშა და ვერც ლიცენზია მიიღო.

68 კგ. ემზარ ბედინეიშვილს მესამე წრეში იტალიელი სალვატორე რინელა შეხვდა. ჩვენებურმა ბრწყინვალედ ჩაატარა შეხვედრა და 1.56 წუთში 10:0 მოიგო, თანაც, მრავალფეროვანი ილეთებით: ჩოქბჯენიდან ტრიალით, ფეხიდან აყვანით, ჰაერში ამოტრიალებით.

ბედინეიშვილს მეოთხე წრეშიც ასე ალმავლობით რომ ეჭიდავა, ლიცენზიას ჯიბეში ჩაიდებდა, მაგრამ ბელარუსმა ოლეგ გოგოლმა იქით შეუტია და ერთ წუთში 3:0 იგებდა. ემზარს ორჯერ მიეცა ჩოქბჯენიდან ქულის ალების შანსი, მაგრამ ვერცერთხელ ვერ გამოიყენა. ერთადერთი რაც შესძლო, მეტოქეს უკნიდან შემოუარა და ქულა აიღო. 3:1 გაიმარჯვა გოგოლმა.

ბედინეიშვილი ჩემპიონატს კი გამოეთიშა, მაგრამ მაინც რჩებოდა პირველ რვა კაცში მოხვედრის შანსი. ამისთვის აზერბაიჯანელ ალაჰვერდიევს უნგრელი ფორასი უნდა დაემარცხებინა, რაც მოსალოდნელი იყო. ბევრი უტია ჩვენმა მეზობელმა მასპინძელს, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ფორასმა 4:2 მოიგო და ბედინეიშვილის იმედები ხალიჩიდან გინებ-გინებით გასულ ალაჰვერდიევს გაატანა.

82 კგ. ავთო გოგოლიშვილს მესამე წრეში გიცა (რუმინეთი) — სტანისლავსკის (პოლონეთი) წყვილის გამარჯვებული უნდა შეხვედროდა. გიცამ მოიგო, მაგრამ პოლონელმა პროტესტი შეიტანა, რომლის დაკმაყოფილების შემდეგ გამარჯვება სტანისლავსკის მისცეს და ისიც გოგოლიშვილს შეხვდა. ავთომ მეტად დახვეწილად იჭიდავა და მეტოქეს უხეშობის გარდა არანაირი გზა არ დაუტოვა. სტანისლავსკი აშკარად ირტყმევინებოდა სახეში, გოგოლიშვილი კი ქულების დაგროვებით პასუხობდა. მან მოპოვებული უპირატესობა მშვიდად შეინარჩუნა — 6:1.

მეხუთე წრეში ავთოს პირისპირ გერმანელი ჰანს შტიოტნერი დადგა. გოგოლიშვილმა ჩოქბჯენიდან ტრიალი გააკეთა, მაგრამ კინაღამ თავად აღმოჩნდა ბეჭებზე. ამის გამო ორივეს 2-2 ქულა მისცეს, თუმცა ჩვენიანი მეტოქეს ზემოდან მოექცა და 3:2 დაწინაურდა. შემდეგ ავთომ თავისი „საფირმო" უკუგდებით 3 ქულა აიღო. გერმანელმა ფეხების ჯვარედინი ჩავლებით სცადა მეტოქის დატრიალება, მაგრამ გოგოლიშვილმა თავი კარგად დაიცვა — 6:3.

22 მარტს, როცა უკრაინელ სერგეი გუბრინიუკთან საჭიდაოდ გადიოდა, ქართველ ფალავანს ლიცენზია განაღდებული ჰქონდა და მედლისთვის აგრძელებდა ბრძოლას. გუბრინიუკი ორჯერ გააფრთხილეს, მანამდე კი ავთომ ქულა აიღო. ძირითადი დრო 1:0 მთავრდებოდა, როცა სირენამდე 5 წამით ადრე უკრაინელმა კონტრილეთზე გამოიჭირა ჩვენებური, სამქულიანი გდება შეასრულა და მეტოქე ტურნირს გამოთიშა. მიუხედავად ამისა, ავთომ ოლიმპიური ლიცენზია მოიპოვა.

100 კგ. მეორე წრეში ზაზა ტყეშელაშვილს ალბანელი შელქიმ ტროპლინი არ გამოუცხადდა და წმინდა გამარჯვება ჩაეთვალა. მისი მომდევნო მეტოქე, ევროპის ექს-პრიზიორი აზერბაიჯანელი დაუდ ძაჰამადოვი იგვიანებდა ხალიჩაზე გამოსვლას. ბოლოს როგორც იქნა მივიდა, მსაჯებმა კი, ერთი პირობა, არ დაგიშვებთო — უთხრეს. მერე მაინც აჭიდავეს. ზაზამ ორჯერ ერთი და იგივე ხერხით თითო ქულა აიღო: მეტოქეს ფეხი დაუჭირა და ჩოქბჯენში ჩაიყვანა. აზერბაიჯანელმა ტრიალი კი გააკეთა, მაგრამ ტყეშელაშვილმა მისი ფეხის დაჭერა მოასწრო და მეტოქეებს ორ-ორი ქულა არგუნეს. ბოლო წუთზე მაჰამადოვს ქულა აჩუქეს: მან სასტვენის შემდეგ გააკეთა ილეთი, თუმცაღა საბოლოო შედეგს არაფერი დასტყობია — 4:2 მოიგო ტყეშელაშვილმა.

12 მარტს ტყეშელაშვილის ლიცენზიის ბედი გარკვეული ჯერ არ იყო. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, თუ როგორ იჭიდავებდა ზაზა გერმანელ არავატ საბეევთან, ხოლო საბეევი, თავის მხრივ, თურქ ქაიალისთან. ტყეშელაშვილი 6:9 დამარცხდა, ხოლო თურქი საბეევთან საჭიდაოდ არ გამოცხადდა — ფეხი ისეთ დღეში მაქვს, ვერ დავდივარო — მითხრა. ეს მისი პრობლემა იყოს: ქაიალი მე-10 ადგილზე გავიდა, ხოლო ტყეშელაშვილმა მე-8 ადგილთან ერთად ჩვენს ქვეყანას 100 კგ წონაში ოლიმპიური ლიცენზია მოუტანა.

22 მარტს ხუთ წონაში დიდი და მცირე ფინალები გაიმართა. ნიშანდობლივი ის იყო, რომ ხალიჩაზე გამოსული 20 ფალავნიდან 18 ყოფილი საბჭოთა კავშირის და სოცბანაკის ქვეყნებიდან იყო. სამი მათგანი კი — ბერძენი ნიკო ჭკუასელი (48), უკრაინელი ზაზა ზოზიროვი (68) და რუსი დავიდ მუსულბესი (ადრე გვარად ბუთხუზი იყო, 100), თავადაც მიხვდებით, ადრე რომელი ქვეყნიდან იყვნენ.

ევროპის ჩემპიონატის პრიზიორები გახდნენ:

48 კგ. 1. ვიქტორ ეფტენი (უკრაინა), 2. არმენ მკრტჩიანი (სომხეთი), 3. ვუღარ ორუჯევი (რუსეთი)

57 კგ. 1. სერაფიმ ბარზაკოვი (ბულგარეთი), 2. ჰარუნ ბოგდანი (თურქეთი), 3. არიფ აბდულაევი (აზერბაიჯანი)

68 კგ. 1. ვადიმ ბოგიევი (რუსეთი), 2. არაიკ გევორქიანი (სომხეთი), 3. ზაზა ზოზიროვი (უკრაინა)

82 კგ. 1. მაჰამად იბრაჰიმოვი (აზერბაიჯანი), 2. ლასლო დროვაკი (უნგრეთი), 3. ჰაჯიმურად მაგომედოვი (რუსეთი)

100 კგ. 1. მარეკ გარმულევიჩი (პოლონეთი), 2. მილან მაზაცი (სლოვაკეთი), 3. დავიდ მუსულბესი (რუსეთი)

რაგბი



# ლომუ დაოჯახდა

წინა კვირას, 17 მარტს, ცოლი მოიყვანა ზელანდიის „ოლ ბლექსისა" და ოქლენდის „ლურჯების" გარემარბმა ჯონა ლომუმ. იგია სამხრეთაფრიკელი სტუდენტი ტანია რუტერი, რომელიც ლომუმ შარშანდელი მსოფლიო თასის დროს, ზელანდია — იაპონიის მატჩის შემდეგ გამართულ წვეულებაზე გაიცნო.

ეჭვობენ, რომ მასპინძლებმა ეს ქალი განზრახ მიუგზავნეს მთავარი მეტოქის მთავარ დამრტყმელ ძალას, რათა ამას ლომუსთვის სავარაუდო ფინალის წინ სიქა გაეძრო.

მართლაც, ტლუ ბიჭს უმალ შეუყვარდა სტუდენტი გოგო, მსოფლიო ჩემპიონი სამხრეთი აფრიკა გახდა, მაგრამ ველარც ქალი შეელია ცნობილ მორაგბეს.

# პოლიტიკოსები „ქურციკს" ექომაგებიან



წინა ორშაბათს თათბირი გაუმართავთ სამხრეთი აფრიკის რესპუბლიკის პრეზიდენტ ნელსონ მანდელასა და სპორტის მინისტრ სთივ შვეტეს. ორივე ძველი დისიდენტი და რაგბის დიდი ტრფიალია. შვეტეს იმდენი უქნია, რომ რობინ-აილენდის საკონცენტრაციო ბანაკში დამწყვდეულ ტუსაღთა რაგბის საბჭოც ჩამოუყალიბებია და რადიომიმღებით უჩუმრადაც უსმენია სამხრეთი აფრიკა — ახალი ზელანდიის ტესტების რეპორტაჟებისათვის.

იმ ხანად შვეტე ყოველთვის „ქურციკთა" მეტოქეებს გულშემატკივრობდა, მაგრამ მას აქეთ, რაც აპარტჰეიდი გაუქმდა და „ქურციკებმა" განახლებული ქვეყნის იმიჯის გაუმჯობესებას ერთობ შეაწიეს მსოფლიო თასზე გამარჯვება, შვეტე გუნდის თავგადაკლული ქომაგი გახდა.

პრეზიდენტსა და მინისტრს გადაუწყვეტიათ, რომ მხარი დაუჭირონ ქვეყნის რაგბის კავშირს, რომელსაც ნაკრების თილისმად „ქურციკის" შენარჩუნება სურს. ამის წინააღმდეგი ყოფილა მანდელას პარტიის — აფრიკელთა ეროვნული ყრილობის (აეყ) სპორტული ქვედანაყოფი, რომელიც ჯიუტად ამტკიცებს, ქურციკი აპარტჰეიდის სიმბოლოაო.

მოუცლელი მანდელა მერე, სამშაბათს, მოღალატე ცოლს — ვინის გაეყარა, „ქურციკის" საკითხს კი ზანგი სპორტის დიდმოხელეები კვირის ბოლოს გადაწყვეტენ.

## ზე-12-ის პირველობა

22 მარტი
ქენთებრი 16:16 დას. კონცხი

23 მარტი
ტრანსვაალი 26:23 ვაიქათო

24 მარტი
ველინგთონი 25:32 ქვინზლენდი
ახ. სამხრ. უელსი 44:10 კანბერა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოთაგო (ზ) | 4 | 3 | 0 | 1 | 167:116 | 15 |
| ახ. სამხ. უელ (ავ) | 4 | 3 | 0 | 1 | 135: 75 | 15 |
| ქვინზლენდი (ავ) | 4 | 3 | 0 | 1 | 127:120 | 14 |
| კანბერა (ავ) | 4 | 3 | 0 | 1 | 98:115 | 14 |
| ჩრდ. ტრანს (აფ) | 3 | 3 | 0 | 0 | 121: 66 | 13 |
| ოქლენდი (ზ) | 3 | 2 | 0 | 1 | 119: 86 | 12 |
| ნატალი (აფ) | 3 | 2 | 0 | 1 | 99: 77 | 9 |
| ველინგთონი (ზ) | 4 | 1 | 0 | 3 | 113:119 | 7 |
| ვაიქათო (ზ) | 4 | 1 | 0 | 3 | 97:141 | 6 |
| ტრანსვაალი (აფ) | 5 | 1 | 0 | 4 | 77:129 | 5 |
| დას. კონცხი (აფ) | 4 | 0 | 1 | 3 | 85:126 | 3 |
| ქენთებრი (ზ) | 4 | 0 | 1 | 3 | 76:144 | 3 |

წინა უქმეებზე ალინუსხა პირველი ფრე, პირველი მარცხი იწვნია კანბერის ახალბედა გუნდმა, რომელმაც პირველად ითამაშა სტუმრად, და პირველი თამაში მოიგო ტრანსვაალმა, რომელიც ზღვისრეთიდან ხელცარიელი დაბრუნდა. ბომბარდირთა შეჯიბრს 80 ქულით ლიდერობს ახალი სამხრეთი უელსის „ვარათაზისა" და ავსტრალიის „ვოლაბიზის" მცველი მეთიუ ბერქი.

მძლეოსნობა

# ზანგთა ქეიფთაუნური მძლავრობა

შაბათს დიდი ზეიმი ჰქონდათ ქეიფთაუნში, თბილისის დარად ინტერნაციონალური ქალაქი რომაა. მის შემოგარენში, უფრო ზუსტად კი საუნივერსიტეტო ქალაქ სტელენბოსჩის გარშემო გაშენებულ ვენახებში გაიმართა კროსის 24-ე მსოფლიო პირველობა, რომელსაც თვით მსოფლიო მძლეოსნობის მამის — დოქტორ პრიმო ნებიოლოს დიდი მეგობარი, სამხრეთი აფრიკის რესპუბლიკის პრეზიდენტი ნელსონ მანდელა ადევნებდა თვალს.

შეჯიბრი აფრიკას 21 წლის შემდეგ დაუბრუნდა. ზანგ-ბერბერთა უპირატესობა ამჯერადაც აშკარა იყო — ყველა ოქრო მათ დარჩათ. მეტიც, ვაჟთა გარბენში საუკეთესო ევროპელმა — შოტლანდიელმა ჯონ ბრაუნმა მე-12 ადგილი დაიჭირა, ქალთა გარბენში კი არა-აფრიკელთაგან საუკეთესო იყო 5 000 მეტრზე რბენის მსოფლიო რეკორდსმენი, პორტუგალიელი ფერნანდა რიბეირუ, ვინაც მეექვსე ადგილზე დარჩა.

გუნდური „ოქროები" კენიელებმა მოიგეს. პირადში დიდი ეთიოპი ჰაილე გაბრესილასე დიდხანს ეტოქა შარშანდელ ჩემპიონს, კენიელ პოლ ტერგატს, მაგრამ ბოლო წრეზე მორს წამოედო და ისე წაბორძიკდა, რომ კინალამ ტერგატიც წააქცია. საბოლოოდ ტერგატმა 12 წამი მოუგო მაროკოელ სალაჰ ჰისუს, მესამე ადგილი კი კენიელ ისმაილ კირუის ერგო. გაბრესილასე ფინიშთან მეხუთე მივიდა.

ტრასა ბორცვებზე გადიოდა და მიხვეულ-მოხვეული იყო. ძალიან ცხელოდა. ქალთა გარბენში ეთიოპმა გეთა ვამიმ აჯობა კენიელ როუზ ჩერიოტს. ჭაბუკთა გარბენი მოიგო კენიელმა დევიდ ჩელულუმ, ქალიშვილთა შეჯიბრში კი შარშანდელი ჩემპიონი, ფინელი ანი-მარი სანდელი მეორე ადგილზე დატოვა ეთიოპმა კუტრე დულეჩამ.

ჩემპიონატმა გამარჯვებულთა გამოვლენის გარდა სხვა ფუნქციაც შეასრულა — მთელს დუნიას უჩვენა, რომ ქეიფთაუნს 2004 წლის ოლიმპიადის მასპინძლობა ნამდვილად ხელეწიფება.

**ქეიფთაუნშივე** სხდომა გამართეს მსოფლიო მძლეოსნობის მამებმა. გადაწყდა, რომ ატლანტის ოლიმპიადის განრიგი სამ ადგილას ჩასწორდეს.

ერთი, რომ 400 მეტრზე რბენის ფინალი 200 მეტრზე რბენის ჰითებამდე ორი დღით ადრე გაიმართება. ეს გაკეთდა იმიტომ, რომ ამერიკელ მაიქლ ჯონსონს შარშანდელი უნიკალური დუბლის გამეორების შანსი მიეცეს: ამ სპრინტერმა ხომ გეტებორგის მსოფლიო ჩემპიონატზე 200 მეტრზეც გაიმარჯვა და 400-ზეც.

მეორე: შეიცვალა სიგრძეზე ხტომის თარიღიც. ეს იმიტომ, რომ ლეგენდარულ კარლ ლუისს, რომელიც ჯერაც ვერ მოხვედრილა აშშ-ის ოლიმპიურ გუნდში, შეეძლოს 100 და 200 მეტრზე და სიგრძეზე ხტომაში ასპარეზობა.



პოლ ტერგატი

და მესამეც: ექიმთა რჩევით მარათონი საღამოს მაგივრად დილით გაიმართება, ვინაიდან სხვაფრივ ატლანტის ტენიანი ჰავა შეიძლება არ მოუხდეს მონაწილეთა ჯანმრთელობას.

**ამ მარათონში**, წესითა და რიგით, ვერ უნდა იასპარეზოს ბარსელონის ჩემპიონმა, სამხრეთკორეელმა ხვენ იან ჯომ, ვინაც კვირას, კვანჯუს (სამხრეთი კორეა) შესარჩევ მარათონში ფინიშთან 29-ემ მიირბინა, გაიმარჯვა კი ესპანელმა მარტინ ფისმა 2: 08. 25.

ხვენს ორი კვირა სტკივაა მარჯვენა ბარძაყი. იგი აზიის თამაშების ჩემპიონიცაა, შარშან ოქტომბერში, პირველ შესარჩევ მარათონში მეორე ადგილიც დაუჭერია, მაგრამ ამ კვირის მარცხის გამო ისე გაპფუჭებია ჯამური შედეგი, რომ ქვეყნის სამკაციან ნაკრებში ველარა ხვდება.

კორეული სპორტის მამები შერჩევის წესის შეცვლასა და გუნდში ოლიმპიური ჩემპიონის შეყვანას მაინც აპირებენ.

**უარესად** ჰქონია საქმე სამ ნიგერიელ სპრინტერს: მერი ონიალისა და ტყუპ ძმებს — ოსმან და დევიდსონ აზენვებს, რომლებსაც თებერვალში აღებულ დოპინგსინჯებში ეფედრინი აღმოუჩინეს, თუმცკი, როგორც თავად მძლეოსნები ამტკიცებენ, ის წამალი, რომელიც მათ დაულევიათ, რეცეპტის თანახმად ეფედრინს არ უნდა შეიცავდეს.

სამივენი სამ-სამი თვით არიან დისკვალიფიცირებული, ნიგერიის მძლეოსნობის ფედერაცია კი ჩივის, აქ რაღაც გაუგებრობააო: სამივე ჩვენიანი მერე პარიზშიც გასინჯეს, იქ კი ვერაფერი აღმოუჩინესო.

**კროსი** მხოლოდ ქეიფთაუნში როდი იმართება. 21 აპრილს სირბილის მოყვარულთა კლუბი „კუ" და ლექსო ბერნაძე, ვაკის პარკში ზედიზედ მე-17-ედ აწყობენ „ერთგულების თასის" გათამაშებას. კროსი ნებისმიერ ამინდში ჩატარდება. სტარტი 11 საათისთვისაა დანიშნული.

რეზო ნემსაძე



მანდელა და შვეტე

ჩოგბურთი

არავინა თქვას, ავსტრიელი თომას მუსტერი უნიჭო, ოღონდ იღბლიანიაო. მართალია, ეს კაცი ფიზმომზადებაზეა გადარეული და ერთი-ორის გამოკლებით, კარიერის ყველა ტიტულიც თიხაზე მოუგია, მაგრამ თუმც მსოფლიო პირველი ჩოგნობისთვის გარჯითა და თავდადებით მიუღწევია, ბედი მაინც არასოდეს წყალობდა: კი-ბისკეინში (ფლორიდა, აშშ) 1991 წელს ფინალში გასულს ვიღაც გიჟმა მანქანა დააჯახა და ისე დაუშავა მარცხენა მუხლი, რომ მუსტერის სპორტსმენობა კინაღამ დასრულდა.

ახლაც კი-ბისკეინის ტურნირი — ჩაისა და კაკაოს მწარმოებელი „ლიპტონის" ჩემპიონატი მიმდინარეობს. მუსტერი წელს უკვე მესამედაა პირველი ჩოგანი; ამ საპატიო ადგილის შესანარჩუნებლად ნახევარფინალს უნდა უწიოს, თუკი სამპრასი უფრო შორს წავა. მაგრამ დახეთ უიღბლობას: ავსტრიელი, ვინაც სხვა ბობოლათა დარად თავისუფალი იყო პირველი წრიდან (შეჯიბრში ხომ 64 პლუს 32 ანუ 96 მონაწილეა), შაბათს, მეორე წრეშივე დამარცხდა ვენესუელელ ნიკოლას პერერასთან, თავის დროზე ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონი რომ ყოფილა, — 6:7, 4:6 და გავარდა.

ამერიკელები მედგრად მიიწევენ წინ. 90-იან წლებში ერთთავად ისინი იმარჯვებენ: 1990 და 1995 წლებში ჩემპიონი აგასი იყო, 1993-94 წლებში — სამპრასი, 1991 წელს — კურიე, 1992 წელს კი — ჩანგი. წელს ოთხივე ფლორიდაშია და ყოჩაღადაცაა. სამაგიეროდ, ვერ თამაშობს გერმანელი ბორის ბეკერი, ვისაც სასუნთქი გზების ინფექცია შეყრია.

პარასკევს საყურადღებო ორად ორი მატჩი გამოდგა: იანვარში თვით სამპრასის მძლეველი ჭეელი მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) 6:4, 6:4 დაამარცხა იტალიელმა სტეფანო პესკოსოლიდომ, ვეტერანმა სტეფან ედბერგმა (შვედეთი) კი საჭაერო დარტყმებით 6:7, 6:3, 6:2 დაანგრია ემილიო სანჩესი (ესპანეთი).

შაბათის პროგრამიდან აღსანიშნავია ავსტრალიელი მაიქლ თებოთის მიერ ჰოლანდიელი პაულ ჰაარჰიუსის 6:1, 7:6 ძლევა, რაკიღა ჰოლანდიელმა წინა კვირაში ინდიან-უელზი ფინალამდე მიაღწია. სერხი ბრუგერამ (ესპანეთი) 6:3, 3:6, 6:3 აჯობა პერსპექტიულ ბრიტანელ თიმ ჰენმანს.

სამპრასი იოლად გაუსწორდა ჰოლანდიულ სხენკ სხალკენს, აგასი კი ხალხს ახლებურად გამოწყობილი წარუდგა: სადღა იყო ანდრეს შავი წინდები. სამაგიეროდ, ელეგანტურ ლას-ვეგასელს ახალი შავი წაღები მოერგო.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## უიღბლო მუსტერი

აგასიმ რის ვაი-ნაჩრობით 6:4, 1:6, 7:6 (7-4) გააგდო გერმანელი ბერნდ კარბახერი, კვირას კი ნაკლებად როდი გაუჭირდა სამპრასსაც: პიტმა ძალისძალად 7:5, 7:6 აჯობა შვეიცარიელ იაკოვ ჰლასეკს და მერვედფინალში გავიდა. ამავე ეტაპს მიაღწიეს თოდ მარტინმა (აშშ), გორან ივანიშევიჩმა (ხორვატია), ანდრეი მედვედევმა (უკრაინა), ბრუგერას მძლეველმა რიხარდ კრაიჩეკმა (ჰოლანდია) და განუთესელმა ამერიკელმა ვინს სპეიდიამ.

იქვე ქალებიც თამაშობენ. შტეფი გრაფი მეხუთე „ლიპტონურ" ტიტულს უმიზნებს, მონიკა სელეშს კი ისევ ბეჭი აწუხებს. ამის გამო, რომ მედიის მშერა მოჭკვიანებულ ჯენიფერ კაპრიატის მიუკერია.

ჯენიმ ხუთშაბათს 7:5, 6:1 დაამარცხა ფრანგი ლეა ჟირარდი-რუბი, შაბათს კი 6:4, 0:6, 6:1 — სამხრეთაფრიკელი ამანდა კეტცერი (10). გრაფმა პარასკევს 6:1, 7:5 მოუგო სანდრა ქეისიჰს (აშშ), კვირას კი ამერიკელსავე ჯიჯი ფერნანდესს 6:3, 6:2 აჯობა. უკვე გავარდნენ ნორჩი მარტინა ჰინგისი (შვეიცარია), ვისაც პარასკევს 5:7, 6:1, 6:3 მოუგო მსოფლიოს 101-ე ჩოგანმა ნანა მიაგიმ (იაპონია), და ექს-ჩემპიონი, ესპანელი არანჩა სანჩეს-ვიკარიო (2), რომელმაც 98-ე ჩოგან კარინა ჰაბსუდოვასთან (სლოვაკეთი) 6:2, 3:6, 6:7 წააგო. სამაგიეროდ, არგენტინელმა გაბრიელა საბატინიმ კვირას 6:3, 6:2 დაამარცხა კატრინ შვენდტი.

კვირასვე დასრულდა სანქტ-პეტერბურგის (რუსეთი) ტურნირი. შარშანდელმა ჩემპიონმა და პირველ ნომრად განთესილმა რუსმა ევგენი კაფელნიკოვმა ზედიზედ კი დაამარცხა ომარ კამპორეზე (იტალია) 6:3, 6:3, დიკ ნორმანი (ბელგია), ჯეფ ტარანგო (აშშ), ფილიპ დევულფი (ესეც ბელგია) 6:3, 6:4, მაგრამ ფინალი 2:6, 6:7 წააგო შვედ მაგნუს გუსტაფსონთან (7), ვინაც ნახევარფინალი 7:5, 7:5 მოუგო გერმანელ ლარს ბურგსმიულერს.

ვასილ გუჩმაზაშვილი

# „ხარები" რეკორდს უმიზნებენ

CHICAGO BULLS

ერთობ შეაწუხა კალათბურთის ეროვნული ასოციაცია (ნბა) მოთამაშეთა უგვანო საქციელმა. თუ შარშან ერთადერთ კალათბურთელს მოხვდა მუშტი, წელს ისე გახშირდა ცემა-ტყეპა, თავის ძგერება და ყელში წვდომა, რომ უკვე 39 კაცი დაისაჯა, რაც შარშანდელზე სამჯერ მეტია. ამიტომაა, ნბა დაჭირავებულ სამუშაო ძალას რომ ექადნება, თუ ჭკუით არ მოიქცევით, უარესად დაგსჯითო. ბოლო რეპრესირებული „ფილადელფია 76"-ის ახალბედა ჯერი სთაქჰაუსია, ვინაც ამ ექვსი დღის წინ ყელში სწვდა იუტელ ჯეფ ჰორნაჩეკს. შარისთავს ორი თამაში უქმობა და 7 500 დოლარი ჯარიმა მიესაჯა.

რაც შეეხება საკუთრივ სპორტულ მხარეს, მაიქლ ჯორდანმა კვირას თუმც 36 ქულა ჩაუგდო „ტორონტო რაპტორზს", მისი „ჩიკაგო ბულზი" სტუმრად მაინც დამარცხდა 108:109 და ახლა ბოლო 14 თამაშიდან 10-ის მოგება სჭირდება, რეკორდს — სეზონში 70 გამარჯვებას რომ შესწვდეს.

„სარბიელის" თანამშრომლები თანაუგრძნობენ ჩვენს რედაქტორ თამაზ მიგრიაულს მამის — რომანის გარდაცვალების გამო

## აქეთური, იქითური და ასე შემდგომ და მისთანები

**ლიგის რაგბი** გუშინ, ავსტრალიაში, მეამბოხე სუპერ-ლიგის კრახით დასრულდა ძალაუფლებისათვის ბრძოლა, ერთი წელი რომ გაგრძელდა. სიდნეის სასამართლომ სუპერ-ლიგის პატრონს, რუპერტ მერდოქის „ნიუზ ლიმითედს" უბრძანა, კლუბებიცა და მოთამაშეებიც დაუბრუნოს კანონიერ მფლობელს, ავსტრალიის რაგბის ლიგას (არლ). გარდა ამისა, „ნიუზ ლიმითმეს" აეკრძალა ფულის ძლევა იმ 311 მოთამაშისთვის, არლ-ის ეგიდით თამაში რომ არ სურს და ევროპული სუპერ-ლიგის ნაქეზებით ამ პარასკევიდან არლ-ის ალტერნატიული მსოფლიო ლიგის დაწყებას მაინც რომ აპირებდა. სასამართლომ ამ ახალ შეჯიბრსაც ყადაღა დაადო, პარასკევს კი არლ-ის სეზონი სამი კვირის დაგვიანებითლა დაიწყო, თუმცკი ამბოხის გამო 10 თამაშიდან მხოლოდ 4 გაიმართა.

**გოლფი** ევროპის საუკეთესო მოთამაშემ, შოტლანდიელმა ქოლინ მონთგომერიმ ჯერ სამი თვე შეისვენა, წინის წინა კვირაში კი ევროპულ ტურზე დაბრუნება იმით აღნიშნა, რომ დუბაიში ნორმაზე 18-ით უკეთესი შედეგით მოიგო „უდაბნოს კლასიკური". მონთგომერის ერთი დარტყმით ჩამორჩა ესპანელი მიგელ-ანხელ ხიმენესი, რომელიც კარგა ხანს ლიდერობდა შეჯიბრს, მაგრამ მას შემდეგ დამარცხდა, რაც შოტლანდიელმა ბოლო ორმოზე „ჩიტუნია" გაახერხა. ცნობილმა ამერიკელმა ფრედ კაპლზმა გამარჯვებულთან ხუთი დარტყმით წააგო, უელსელმა იენ ვუზნემმა — შვიდით. კვირას, ტურის მორიგი შეჯიბრი, ლისაბონის მახლობლად რომ გაიმართა, ავსტრალიელმა ვეინ რაილიმ მოიგო. ხუთშაბათს თამაში ნისლმა შეაფერხა, კვირას კი — ელვამა და წვიმამ.

**ცურვა** ჩინელები აღშფოთებულან იმის გამო, რომ საერთაშორისო ფედერაციამ წელს დოპინგ-ტესტის ჩაფლავება შეუნდო ავსტრალიელ სამანთა რაილისა და ამერიკელ ჯესიკა ფოშის, მაშინ როცა შარშან ორ-ორწლიანი დისკვალიფიკაციები ჩამოურიგა შვიდ ჩინელს, მათ შორის მსოფლიო ჩემპიონებს — ლუ ბინსა და იენ ეი პუას, რომლებიც შარშანწინ, ჰიროშიმაში გამართულ აზიის თამაშებზე ჩავარდნენ. ჩინეთის ეოკ-ის გენერალურ მდივან ვეი ჟი შონს ესეც უთქვამს, დამნაშავეებს თუ არ დასჯით, სხვებიც თავს აიშვებენ, რაც ერთობ აზარალებს დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლასო.

**ბადმინტონი** ბირმინგემში, სრულიად ინგლისის პირველობის ქალთა ფინალში ჩინელმა იე ჟაო ინმა (1) სასტიკად — 1:11, 1:11 წააგო ბან სუ ხუნთან (3), ვაჟთა ფინალში კი დანიელმა პაულ-ერიკ პოია-ლარსენმა (2) 15:7, 15:6 აჯობა მალაელ რაშიდ სიდეკს (9) და ტიტული შეინარჩუნა. ვაჟთა შეჯიბრს პანტა-პუნტით გამოეთიშნენ ბობოლა ინდონეზიელები იოკო სუპრიანტო (1), პირიანტო აბი (3) და ალან-ბუდი კუსუმა (4). მანამდე მოეწყო მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატის წილისყრა (მაისი, ჰონკონგი). ვაჟთა „თომასის თასზე" ერთ ქვეჯგუფში მოხვდნენ ინდონეზია, ჩინეთი, ინგლისი და შვედეთი, მეორეში — დანია, მალაიზია, ჰონკონგი და სამხრეთი კორეა. ქალთა „უბერის თასზე" გუნდები ასე დაიყვნენ: „ა"-ში ინდონეზია, ჩინეთი, იაპონია და რუსეთი, „ბ"-ში — სამხრეთი კორეა, დანია, ჰონკონგი და ინგლისი. ჯგუფებიდან ნახევარფინალში ორ-ორი გუნდი გადის.

**ბალახის ჰოკეი** ინგლისელებმა მილთონ-ქინსში კვირას გაიხსნეს ეროვნული სტადიონი. ამასთან დაკავშირებით მოეწყო ინგლისი — ინდოეთის (კაცები) და ინგლისი — საფრანგეთის (ქალები) მატჩები. გაიმარჯვეს ინდოელმა კაცებმა და ინგლისელმა ქალებმა, შესაბამისად 4:3 და 2:0.

**სქვოში** კვირას ჩრდილოეთ ლონდონში, პართფილდის სუპერ-მარკეტში, სუპერ-სერიის ფინალში ინგლისელმა დელ პარისმა (6) 10:8, 7:9, 9:4, 6:9, 9:2 დაამარცხა ავსტრალიელი ბრეთ მარტინი (3). მანამდე, ჯგუფში, პარისმა ბოლო ორი წლის მანძილზე პირველი მარცხი აგემა ლეგენდარულ პაკისტანელ ჯაშირ ხანს (1) 9:4, 8:10, 8:10, 9:6, 9:6, მარტინმა კი ჯგუფში დიდი შიში ჭამა: თანამემამულე როდნი აილსთან (2) შეხვედრამდე ორგანიზატორებმა დაუთვალეს და უთხრეს, ფინალში გასასვლელად ორი ხელის მოგება გყოფნისო. მარტინმა მართლაც 2-3 წააგო, მაგრამ მსაჯებმა მყის ქოში უკუ პყარეს, შეგვშლია და ფინალშიც აილსი გაეიდაო. ამ კრიტიკულ მომენტში თავად აილსმა ივაჟკაცა და უჭკუო ორგანიზატორებს განაჩენი შეაცვლევინა.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობითა და პარასკეობით. ინდექსი 66 441

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მეძველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
მერაბ რატიშვილი

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი-79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29